პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- — ბელოსტოკში (პოლონეთი) დაიწყო 8.000 ფეიქარის გაფიცვა.
- — ვარშავაში დახურეს რუს თეთრგვარდიელთა კომიტეტი.
- — განაჩენი 136-ის საქმეზე ბელოსტოკში.
- — ტოკიოში გაფიცულია 50.000 მეზღვაური.
- — 94 ინდოელ გლეხის პროცესი ლაგორში.
- — საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ არჩეულია ფერნანდ ბუისონი.

ხუთშაბათი, 7 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 130 (2173)

საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე მოწვევის ცეკას
მესამე პლენუმი
გაიხსნება 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე

სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი

მნიშვნელოვანი დოკუმენტი

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში „პარტიის ყველა წევრებისა და ყველა მუშებისადმი" გარკვეულად და მკაფიოდ განსაზღვრავს იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე სდგას თვითკრიტიკის ლოზუნგის ვატარების დროს. ყველა ჩვენს პარტორგანიზაციებს ევალება ცეკას ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი გააცნოს მუშათა ფართო მასებს და გამოიწვიონ მათში აქტიობა მიმართვაში აღნიშნული ამოცანების შესრულებისათვის.

ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში. ჩვენი პრაქტიკული სამოქმედო ლოზუნგები სავსებით არის დაკავშირებული სოციალისტურ მშენებლობის საერთო ამოცანებთან. „ცეკა აცხადებს,—ნათქვამია მიმართვაში, რომ რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანები არ შეიძლება გადაიჭრას მასების უაღრესად გაბედულ, უაღრესად გადამჭრელ და უაღრესად თანამიმდევრობით ჩაბმის გარეშე სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, ამ მილიონიან მასების მხრივ მთელი აპარატის შემოწმების, კონტროლის და მისი უვარგისი ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეში".

კურსის აღება თვითკრიტიკაზე თავისი არსებით არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. პირველი შეხედვით „უარყოფითი" ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ „მკაცრი თვითკრიტიკის" გატარების დროს— აპარატების გაწმენდა უვარგისი ელემენტებისაგან,—ნამდვილად არ შეიძლება იქნას განცალკევებული თვითკრიტიკის დადებითი და შემოქმედებითი ამოცანებისაგან, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ მასები უაღრესად გაბედულად, გადამჭრელად და უაღრესად თანამიმდევრობით იქნან ჩაბმული სოციალისტური მშენებლობის საქმეში". მუშათა ფართო მასები დაუნდობლად აწარმოებენ რა კრიტიკას, კიდევ უფრო უშუალოდ უახლოვდებიან სოციალისტურ მშენებლობის საქმეს ამ მშენებლობის სხვადასხვა ფრონტებზე და თავისი წრიდან აყენებენ სულ ახალ და ახალ აქტიურ შემოქმედებით ძალებს.

ამიტომ ცეკა თავის მიმართვაში თვითკრიტიკის ლოზუნგს მჭიდროდ, ორგანიულად უკავშირებს შინაპარტიული და პროფკავშირულ დემოკრატიის გატარებას: „... მხოლოდ თანამიმდევრობით განხორციელებული შინაპარტიულ და კავშირული დემოკრატია, არჩეულობის პრინციპის სავსებით გატარება ყველა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებში, სრული შესაძლებლობა ყოველი ბიუროს, ყოველი კომიტეტის, ყოველი მდივნის გადაყენებისა, შექმნის მუდმივ კონტროლს მასების მხრივ და შესძლებს მოაშოროს ბიუროკრატიული ხორცმეტები ჩვენს აპარატს, მოსპოს ბიუროკრატიული გადამახინჯების, ძმა-ბიჭური საქმიანობის, ჩინოვნიკური ლაქუცობისა და თავხედობის, მასების ინტერესების დავიწყების და მეშჩანური გულდამშვიდების შემთხვევები. თვითკრიტიკის ლოზუნგი ამ ღონისძიებათა გარეშე გადაიქცევა უბრალო ფორმალურ ცნებად, რომელიც მხოლოდ სახელს გაუტეხს მასების თვალში ამ ლოზუნგს, პარტიის ხელმძღვანელობას და თვით პარტიას".

მხოლოდ მაშინ, როცა პარტიულ —მუშათა მასამ მტკიცედ იცის, რომ შინაპარტიული და პროფკავშირული დემოკრატია იძლევა ნამდვილი არჩეულობის გარანტიას, ყოველი არჩეული ორგანოს და ყოველი პირის გადაყენების შესაძლებლობას, — მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სათანადოდ განვითარდეს კრიტიკა მასების მხრივ და ამ კრიტიკას სავსებით მიეცეს ის საქმიანი, შემოქმედებითი ხასიათი, რომელიც საჭიროა სოციალიზმის წარმატებათა და გამარჯვებათა უზრუნველსაყოფად

ცეკა აღნიშნავს, რომ თვითშემოწმებისა და თვითკრიტიკის გასატარებლად პარტიამ უკვე გააკეთა საკმაო ბევრი რამ: „პარტიამ ჩაატარა სათანადო კამპანია პრესაში და ამრიგად ის ხელს უწყობდა ამ საქმეს ზევიდან. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ შემოქმედებითი თვითკრიტიკის მძლავრი ტალღები ავამოძრავოთ ქვედა ფენებიდან, რაც ნამდვილად გამოაცოცხლებს და განაახლებს ყველა ჩვენს პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებს".

ამ „შემოქმედებითი თვითკრიტიკის ტალღების ამოძრავებამ ქვევიდან" უნდა სძლიოს „უბოროტესი ბიუროკრატიზმი" მუშათა კლასის სახელმწიფო აპარატში, „საქმის უმსგავსი გაჭიანურება", ისე როგორც კულაკურ-კაპიტალისტურ ფენებთან „შეზრდილი" ელემენტები; თვითკრიტიკის ამ ტალღამ პროფკავშირებში და პარტიაში უნდა წალეკოს „გახრწნა, ჩინოვნიკური გადაგვარება, თავაშვებულება, ლოთობა, უვიცობა, კონსერვატიზმი და რუტინა, რომლებიც ხანდახან გვხვდება პროფკავშირებსა და პარტიაში".

პარტიის შიგნით ცეკას მიმართვა მოითხოვს „უზრუნველყოფილ იქნეს შინაპარტიული დემოკრატიის თავისუფლება" და ბოლო მოეღოს ისეთ შემთხვევებს, რაც დამოუკიდებელ აზრს და კრიტიკას „წინდაწინვე უარჰყოფენ, როგორც „გადახრას", „კინკლაობას" და სხ. ჩვენი ამოცანაა, „მოისპოს კომუნისტების სასჯელის შემსუბუქების პრაქტიკა", ჩვენ უნდა გვახსოვდეს ლენინის ძველი დებულება პარტიის წევრების უფრო სასტიკად დასჯის შესახებ, და პარტიულ ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოს „პარტიის წევრის დანაშაულისა და შეცდომის მიფუჩეჩება, რაგინდ დიდი ადგილიც არ უნდა ეჭიროს დამნაშავეს პარტიული ორგანოების სისტემაში".

ცეკამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმას, რომ პროფკავშირებმა ერთი წუთითაც არ უნდა გაუშვან მხედველობიდან „თავისი განსაკუთრებული სპეციფიური ამოცანები, რომლებიც განსხვავდება სამეურნეო ორგანოების უშუალო ამოცანებისაგან". პროფკავშირებმა პირველ რიგში უნდა გამოაცოცხლონ თავისი ქვედა საფეხურის ქსელის მუშაობა—ფაბქარხკომების, საწარმოო თათბირების და დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობა—და მიაღწიონ იმას, რომ „უფრო სწრაფად იქნას ცხოვრებაში გატარებული მუშათა პრაქტიკული წინადადებანი". პროფკავშირებმა „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა ჩამორჩენილი ფენების მატერიალური და კულტურულ-პოლიტიკური დონის აწევას".

„ახალი კადრების დაწინაურება პროფკავშირულ სამუშაოზე, უპარტიოთა ფართოდ მიზიდვა და მათი აქტიური როლის უზრუნველყოფა"—ასეთია პროფკავშირების ამოცანები.

საბჭოთა აპარატის დარგში ცეკამ ხაზი გაუსვა, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებასთან ერთად საჭიროა „აპარატის შემდგომი გაბედული გამარტივება", „მუშათა დაწინაურება სახელმწიფო-სამეურნეო სამუშაოზე" ერთგული ახალი სპეციალისტების კადრების შექმნა და სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესება.

ცეკას მიერ აღნიშნული ყველა ეს სხვადასხვა დირექტივები პარტიამ გადაუხრელად უნდა გაატაროს ცხოვრებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი „პიროვნებათა მიუხედავად", „კრიტიკა ჩვენი აპარატისა მთელი სიგრძე-სიგანით არის ერთ-ერთი ცენტრალური სადღეისო ლოზუნგი".

მუშათა კლასი ბოლშევიკური პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობით, მიუხედავად ყველა სიძნელეთა, მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ და მომავალშიაც წავა წინ ლენინის გზით. ცეკას მიმართვაში მშვენივრად არის ნათქვამი: „მუშათა კლასი და მისი პარტია ყოველ ძალღონეს ხმარობს, რომ ღატაკი, უვიცი ქვეყანა გადააქციოს მდიდარ, კულტურულ, სოციალისტურ ქვეყნად, პირველ ხარისხოვანი ტეხნიკით, მოწესრიგებული საზოგადოებრივი მეურნეობით, განათლებით, ფხიზელი, შრომის მოყვარე ხალხით, ქვეყნად, რომელშიაც სრულებით არ იქნებიან მათხოვრები, ჩაგრულები და უპატრონო ბავშები, რომელშიაც არ იქნებიან აგრეთვე არც ექსპლოატატორები, მჩაგვრელები, კაპიტალისტები და მემამულეები". „თავისი რიგებიდან ყოველი დახავსებულის და ნამდვილად გადაგვარების გზაზე მდგომის განდევნით, მტრებთან სისტემატიური ბრძოლით და თავის საკუთარი თავისათვის წაყენებული მოთხოვნილებების სისტემატიურად გადიდებით, მუშები სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებებს და მიაღწევენ გადამჭრელ გამარჯვებებს".

„პრავდა", 6 ივნისი.

ძირითად საბჭოთა ორგანოების მუშაობა
(ცაკის მიერ მოწვეულ თათბირის შედეგები)

ამ დღეებში დამთავრდა საქართველოს ცაკის მიერ მოწვეული ქვედა საფეხურის საბჭოების მუშაკთა თათბირი. თათბირის მიზანს შეადგენდა საბჭოების მუშაობისა და მის ნაკლოვანებათა გამორკვევა და ღონისძიებების შემუშავება საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და გარდასაქმნელად ეხლანდელ ამოცანებთან (სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, ინტენსიფიკაცია, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და სხ.) შეფარდებით.

თათბირმა სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და ამავე დროს ცხადყო ქვედა საფეხურის საბჭოების მუშაკთა კვალიფიკაციის დონე, დღის წესრიგში დასმულ საკითხებისადმი (მოხსენებები ადგილებიდან და საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების სადირექტივო მოხსენება) საქმიანმა მიდგომამ შესაძლებლობა მისცა თათბირს სწორად აღენიშნა საბჭოების მუშაობის უარყოფითი მხარეები და შეემუშავებია კონკრეტიული ღონისძიებები მისი მუშაობის გამოსაცოცხლებლად მომავალში.

თათბირმა დიდი ყურადღება მიაქცია იმ პრინციპიალურ საკითხებს, რომელთა სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია როგორც საბჭოების შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა, ისე იმ აუცილებელი ცვლილებების შეტანა თემსაბჭოების დებულებაში, რომლებიც გამოწვეულია მუშაობის პირობებით სოფლის განვითარების ეხლანდელ სტადიაში.

ამ მიზნით, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თათბირმა საჭიროდ სცნო საბჭოების სარევიზიო კომისიების არჩევა დეპუტატების წრიდან საბჭოების პირველ საორგანიზაციო სხდომაზე და არა საარჩევნო უბნებში.

ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო შემდეგი გარემოებით: სარევიზიო კომისიების არჩევის დროს საარჩევნო უბნებში თავს იყრის ბევრი ამომრჩეველი, და სარევიზიო კომისიის 3 წევრისა და 2 კანდიდატის ასარჩევად საჭირო იყო კანდიდატებისათვის კენჭის ყრა ყველა საარჩევნო უბნებში, რის გამო იყო შემთხვევები, როცა კანდიდატებს არ ირჩევდნენ იმიტომ, რომ არ იცნობდნენ მათ და ხშირად გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი; გარდა ამისა, სარევიზიო კომისიები, რომლებსაც ამომრჩევლები ირჩევდნენ უშუალოდ, ფიქრობდენ, რომ ისინი საბჭოზე უფრო მაღლა დგანან, ამიტომ ხშირად ერეოდენ საბჭოების ფუნქციებში და ცილდებოდენ საბჭოების საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის რევიზიის ფარგლებს.

მეორე ცვლილება, რომლის შეტანაც ახალ დებულებაში საჭიროდ მიაჩნია თათბირს, ეხება საკანდიდატო სისტემის გაუქმების საკითხს; კანდიდატების გაუქმების აზრი გამოწვეულია შემდეგი მოტივებით: ა) საბჭოები ისედაც უნდა აბამდენ თავისი სექციების საშუალებით ყოველდღიურ მუშაობაში საბჭოების არა წევრთ ღარიბი და საშუალო გლეხების, მოჯამაგირეების და სოფლის ინტელიგენციის აქტივიდან; ბ) საკანდიდატო სისტემის არსებობა ხელს უწყობს იმას, რომ დეპუტატები წესიერად არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს, რადგან ფიქრობენ რომ მათ კანდიდატებით შესცვლიან გ) საბჭოს დეპუტატის კანდიდატის არსებობა უფლებას არ აძლევს საბჭოს შეიყვანოს საბჭოში ესა თუ ის კანდიდატები საბჭოდან გასულ დეპუტატის ნაცვლად, სანამ შესაფერ საარჩევნო უბნის ამომრჩევლებს არ შეეკითხება და დ) საკანდიდატო სისტემის არსებობის სამი წლის პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ კანდიდატები არ არიან ჩაბმული საბჭოებისა და მათი სექციების მუშაობაში.

მთავარ საკითხად კამათში წამოყენებული იყო საკითხი იმის შესახებ—დარჩენილიყო საბჭოების სექციების ორგანიზაციის წესი, თუ უმჯობესია სოფლის კომისიების სისტემაზე გადასვლა, როგორც ეს მოიმოქმედა გორის მაზრამ ერთი წლის წინად.

საქმე იმაშია, რომ საბჭოების სექციები საერთოდ, მცირე გამონაკლისის გარდა, სუსტად მუშაობენ; ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს სათემო ცენტრებიდან სოფლების დაშორება, რის გამო შეუძლებელი ხდება სექციების სხდომებზე დასწრება და მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა ამავე მიზეზით სექციები მოკლებული არიან შესაძლებლობას ჩააბან თავის მუშაობაში სოფლის აქტივი.

საბჭოების მასიური მუშაობისა და სექციების მუშაობის გაუმჯობესების სხვა ფორმების ძიების შემდეგ, გორის მაზრამ უკვე ერთი წელიწადია რაც შემოიღო საბჭოების სასოფლო კომისიების მოწყობის სისტემა. ამ სისტემის მიხედვით თვითეულ თემში წინად არსებულ 7 სექციის ნაცვლად მოეწყო 30—35 სასოფლო კომისია.

აღნიშნულ კომისიების მუშაობის შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ მუშაობა გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესებულია; სუსტია თემსაბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობა ამ კომისიებზე და სოფლის აქტივი დაქუცმაცებულია მრავალრიცხოვან კომისიებში. გარდა ამისა არის საფრთხე, რომ ეს კომისიები, რომლებიც მოწყვეტილი არიან სათემო ცენტრებს, გადაიქცევიან სოფლის წვრილ საბჭოებათ. ამიტომ თათბირმა სავსებით სამართლიანად უარყო სექციების ასეთი სტრუქტურა და საჭიროდ სცნო სათემო სექციების დატოვება, ხოლო მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება სექციების ყოველდღიური მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ.

ამომრჩეველთა შორის საბჭოების ავტორიტეტის აწევის მიზნით, თათბირმა აუცილებლად სცნო სახელწოდება „ალმასკომი"-ს ხმარებიდან ამოღება და მომავალში ამ სახელწოდების ნაცვლად „საბჭოს პრეზიდიუმის" ხმარება; თათბირის აზრით, საბჭოს პრეზიდიუმმა ამიერიდან საკანცელარიო მიწერ-მოწერა და საერთოდ ყოველგვარი საქმიანობა უნდა აწარმოოს საბჭოს პრეზიდიუმისა და არა ალმასკომის სახელით.

საბჭოები და ცალკე დეპუტატები უკანასკნელ საანგარიშო კამპანიამდე თითქმის არსად არ უდგენდნენ თავისი მოღვაწეობის ანგარიშს ამომრჩევლებს არამც თუ სამი თვის განმავლობაში, არამედ გადარჩევიდან გადარჩევამდეც კი. თათბირმა, აღნიშნა რა ეს არანორმალური მოვლენა, გამოიტანა დადგენილება, რომ მომავალში აუცილებლად განხორციელდეს ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ანგარიშგება რეალური იქნეს. გადაწყდა ანგარიშგება მოხდეს რეგულიარულად ექვს თვეში ერთხელ.

საბჭოების საპატიო წევრების შესახებ გამოირკვა, შემდეგი: თემებში ირჩევენ რამდენიმე საპატიო წევრს, ისინი ირიცხებიან დეპუტატთა სიაში, მაგრამ მათ არა აქვთ ფიზიკური შესაძლებლობა დაესწრონ საბჭოების სხდომებს.

ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი არ შეიტანონ მომუშავე დეპუტატების საერთო სიაში საბჭოს საპატიო წევრები, გამოყონ ისინი ცალკე და ისე აღრიცხონ.

ამასთანავე ერთად თათბირმა აღნიშნა, რომ თემსაბჭოების დებულებაში არაფერია ნათქვამი დეპუტატების უფლებების შესახებ, ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ქალაქის საბჭოების დეპუტატების მსგავსად, ისინიც იქნენ აღჭურვილი უფლებებით, რა თქმა უნდა, თემის პირობებთან შეფარდებით.

ვ. კვირიკაშვილი.

ენ-სი-შანის ჯარებმა 4 ივნისს დაიკავეს პეკინი
ძალაუფლება პეკინში გადაეცა ენ-სი-შანს.—ხმები ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ
გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია.—ჩინეთის და ალბანეთის საჩივარი
გერმანიის პრესა ამხ. კალინინის განცხადების შესახებ

ბრძოლა ჩინეთში

ენ-სი-შანმა დაიკავა პეკინი

შანხაი, 5 ივნისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური საგენტო იუწყება, რომ 4 ივნისს შანსიის ჯარების მოწინავე ნაწილებმა დაიკავეს პეკინი, როცა მუკდენის ჯარების უკანასკნელი რაზმები სტოვებდენ ქალაქს. პეკინის დაკავება მოხდა სრულიად უბრძოლველად.

ჩჟან-სუე-ლიანი და მუკდენის ჯარების შტაბის უფროსი იან-იუ-ტინი ენ-სი-შანთან აწარმოებენ მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ მზად არიან დანებდენ მას თავისი ჯარებით. დანებების პირობების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აგრეთვე სუნ-ჩუან-ფანის ჯარები, რომლებიც დაბანაკებული არიან ტიანძინ-პუკოუს რკინის-გზის გასწვრივ.

ჩან-ცზუნ-ჩანი გაიქცა დაირენში. ჩუ-იუ-პუმ თავი შეაფარა იაპონიის კონცესიის ტერიტორიას ტიანძინში. ლუ ვენ-კანი და ველინგტონ-კუ გაიქცენ ტიანძინში.

ენ-სი-შანმა დაიკავა პეკინი ნანკინის მთავრობის ინსტრუქციების თანახმად. მას დავალებული აქვს აიღოს თავის ხელში ძალა უფლება პეკინში. ნანკინის მთავრობამ დაადგინა ნება დართოს მუკდენის მოხელეებს მონაწილეობა მიიღონ პეკინის „პოლიტიკურ აღდგენაში". ჩჟან-სუე-ლიანი და იან-იუ-ტინი დასთანხმდენ, ყოველგვარ პირობის გარეშე გადაეცათ პოლიტიკური ძალაუფლება ენ-სი-შანისათვის. მიღებულ ცნობების თანახმად, ნანკინის მთავრობამ იან-იუ-ტინს და ჩჟან-სუე-ლიანს წაუყენა შემდეგი პირობები, რომლებიც შეუცვლელად უნდა იქნეს მიღებული, რის შემდეგ შეწყდება სამხედრო ოპერაციები მანჯურიაში: ჩან-ძო-ლინი უნდა ჩამოშორდეს ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობას; ჩან-ძო-ლინის მემკვიდრე უნდა იქნეს სუნ-იატ-სენის სამი პრინციპის გულწრფელი მომხრე და უნდა ემორჩილებოდეს ნანკინის მთავრობის განკარგულებებს. მთელს მანჯურიაში გამოფენილი უნდა იქნეს ნანკინის მთავრობის დროშები. პასუხისათვის მიცემულია რამოდენიმე დღე. (ადს).

პეკინისაკენ

პეკინი, 5 ივნისი. „პეკინ-ვან-ბაო" იუწყება, რომ ენ-სი-შანის და ფინ-იუ-სიანის ძალები უახლოვდებიან პეკინს და იქნებიან იქ დაახლოებით 5 ივნისს საღამოთი ან 6-ს დილით. (ადს).

ხმები ჩან-ძო-ლინის შესახებ

ტოკიო, 5 ივნისი. ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ ჩან ძო-ლინი გარდაიცვალა მატარებლის აფეთქების დროს მიღებულ ჭრილობებისაგან. ეს ხმები ჯერ არ დადასტურებულა არავითარ სარწმუნო წყაროებიდან. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ჩან-ძო-ლინის მატარებელზე თავდასხმის შესახებ

პეკინი, 5 ივნისი. იაპონიის დეპეშათა სააგენტო „ტოჰოს" მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები ჩან-ძო-ლინის მატარებელზე თავდასხმის შესახებ. აფეთქება მოხდა 4 ივნისს დილის 5 საათზე მუკდენიდან 10 ვერსის დაშორებით, როცა მატარებელი გადადიოდა რკინის გზის ვიადუკზე. აფეთქებამ სრულიად დაანგრია რკ.-გზ. ხაზი, ვიადუკი და ოთხი ვაგონი, მათ შორის ვაგონი, რომელშიაც ეკავა ჩან-ძო-ლინს, უ-ცზიუნ-შენს (ჰეილუნცზიანის და მუკდენის პროვინციების გუბერნატორი) და ანგოცზიუნის შტაბს. ჩან-ძო-ლინი დაიჭრა თავში და ტვინის შერყევის გამო დაჰკარგა გრძნობა.

მანჯურიის იაპონური გაზეთები იუწყებიან, რომ ცნობამ აფეთქების შესახებ მუკდენში პანიკა გამოიწვია. მანჯურიის პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვა ვერსიები არსებობს აფეთქების შესახებ. ტოჰოს სააგენტო ამტკიცებს, თითქოს აფეთქება მოაწყვეს სამხრეთელების საიდუმლო აგენტებმა. ხარბინის იაპონური ორგანო „ხარბინ ნიჩი ნიჩი" კომენტარიებს უკეთებს ცნობას აფეთქების შესახებ და აქვეყნებს ვერსიას, თითქოს აფეთქება მოაწყვეს მუკდენის პარტიის ჯგუფმა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს არ დაუშვას ჩან-ძო-ლინის დაბრუნება მუკდენში. (ადს).

ჩან-ძო-ლინი სიკვდილის პირასაა?

შანხაი, 5 ივნისი. ჩრდილოეთიდან მიღებული ცნობები ეხებიან ჩან-ძო-ლინის მატარებლის აფეთქებას.

უკანასკნელ ცნობების თანახმად, ჩან-ძო-ლინი სიკვდილის პირასაა. ტოკიოდან მიღებულ დეპეშის თანახმად, ჩან-ძო-ლინი მოკვდა, მაგრამ ამას საიდუმლოთ ინახავენ. (ადს).

400 კომუნისტის დახვრეტა

ლონდონი, 5 ივნისი. ასოშიეტედ პრეს კანტონიდან იუწყება, რომ გუანდუნის ჯარებმა დახვრიტა 400 კომუნისტი, რომლებიც დააპატიმრეს ხაინანის კუნძულზე. (ადს).

ნანკინის გარეშე საქმეთა სამინისტრო?

შანხაი, 5 ივნისი. ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრის დუან-ფუს გადადგომით გამოწვეული კრიზისი გრძელდება. სწარმოებს მოლაპარაკება სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რამაც ჯერ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. „შანხაი ტაიმს" სწერს, რომ მინისტრის არჩევისაგან არის დამოკიდებული ნანკინის და საბჭოთა კავშირის შემდგომი ურთიერთობის საკითხი. შანხაიში ჩავიდა გენერალი ლი-ლიე-ჩუნი, რომელმაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ზოგიერთი პროვინციები წინააღმდეგი არიან ვან-ჩჟენ-ტინის კანდიდატურის.

მანჯურია—იაპონიის კოლონია

ტოკიო, 6 ივნისი. როგორც „ხოცი" იუწყება, იმ ნერვიული მდგომარეობის გამო, რომელიც გამოიწვია თავდასხმამ ჩან ძო-ლინის მატარებელზე, იაპონიის მთავრობამ შეიძლება გაგზავნოს ახალი ჯარები მანჯურიაში. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ იაპონიას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება უუმბარის აფეთქების გამო, ვინაიდან რკინის გზის კვანძის დაცვა ჩინეთის ხელისუფლების ორგანოების ხელში იყო. მანჯურიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ „ხოცი" ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იაპონიამ ხელი უნდა აიღოს ცალკე პირთა დახმარების პოლიტიკაზე ჩინეთში. გაზეთი სწერს:

„მანჯურიაში უნდა შეიქნას სპეციალური პოლიტიკური სისტემა, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს იაპონიის ინტერესებთან" (ადს).

„როტე ფანე" ესალმება ამხ. ჩიჩერინს

ბერლინი, 5 ივნისი. „როტე ფანე" გერმანიის რევოლუციონური პროლეტარიატის სახელით ესალმება ჩიჩერინს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის პოსტზე ათი წლის მოღვაწეობის გამო.

„ჩიჩერინის სახელით,—სწერს გაზეთი,— განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ძლიერების შეუჩერებელ ზრდასთან. ჩიჩერინის შესანიშნავი ნიჭი, რომელიც მან გამოიჩინა როგორც წითელი დიპლომატიის მეთაურმა და შემქმნელმა, დიპლომატის, რომელიც კაპიტალისტურ მოწყობილობის გარემოცვის პირობებში მოწინავე პოსტზე იცავს მუშათა სახელმწიფოს ინტერესებს,—საყოველთაოდ ცნობილია. ენერგიამ, მოქნილობამ და ტაქტიკურმა უნარმა, რომლებითაც ჩიჩერინი იცავდა ამ ინტერესებს, გახადეს ის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულიარულ ფიგურად საბჭოთა კავშირში და საშიშ მტრად კაპიტალისტური დიპლომატიისათვის, რომელიც საუცხოვოდ იცნობს მის ბრწყინვალე ნიჭს". (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 5 ივნისი. 4 ივნისს გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მე-5-ე სესია. 5 ივნისს საბჭო განიხილავს ზემო სილეზიის პოლონური ნაწილის ნაციონალური უმცირესობათა საჩივრებს, 6 ივნისს მოსმენილი იქნება მოხსენება სენგოტარდის ინციდენტის გამოძიების შესახებ (იარაღის ფარულად გატანა უნგრეთში), 7 ივნისს განხილული იქნება რუმინეთის და უნგრეთის დავა სეკეიელ მემამულეთათვის ანაზღაურების მიცემის შესახებ და 8 ივნისს —ლიტვის საკითხი (ადს).

ჩინეთის პროტესტი

ჟენევა, 5 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოში ჩინეთმა შეიტანა პროტესტი იაპონიის მოქმედების წინააღმდეგ. პროტესტი შეიცავს მოთხოვნილებას, რომ ერთა ლიგა ჩაერიოს ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში.

პროტესტს შეიტანდნენ ჩინეთის სავაჭრო პალატების გაერთიანების, ჩინეთის ბანკების ასოციაციის, ჩინელ ბანკირების კორპორაციის, ჩინეთის გაზეთების ასოციაციის, ჩინელ ჟურნალისტების კავშირის და შანხაის სავაჭრო პალატის სახელით (ადს).

ალბანეთის მთავრობის საჩივარი

ჟენევა, 5 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე ირჩევდა ალბანეთის მთავრობის საჩივარი ალბანური ნაციონალური უმცირესობის უფლებების დარღვევის შესახებ საბერძნეთში. ალბანეთის წარმომადგენელი ფარჩერი მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოს ჩარევას და შერეული კომისიის დანიშვნას ალბანელთა მდგომარეობის გამოსაკვლევად საბერძნეთში. საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა პოლიტისმა ხაზი გაუსვა, რომ ერთა ლიგამ არაერთხელ უარყო სხვა ქვეყნების მთავრობების უფლება გამოსულიყვნენ ნაციონალურ უმცირესობათა სახელით. პოლიტისი ალბანეთის გამოსვლას უწოდებს „პირდაპირ ჩარევას მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში". საკითხი გადადებულია მოხსენების წარმოდგენამდე ამ საკითხზე. მოხსენების წარდგენა ევალება ზალესკის (ადს).

ვოლდემარასი ჟენევაში

ჟენევა, 5 ივნისი. ჟენევაში ჩამოსულმა ლიტვის პრემიერმა ვოლდემარასმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მან მხოლოდ გზაში მიიღო ცნობა პოლონეთის ნოტის შესახებ, რომელზედაც პასუხს გასცემს კოვნოში დაბრუნების შემდეგ. „ლიტვა —სთქვა მან—მზად არის დაიცვას ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლი იმ სახელმწიფოთა ტერიტორიალური ხელშეუხებლობის შესახებ, რომლებიც შედიან ერთა ლიგაში, მაგრამ ამის შესრულებას ის შესძლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოირკვევა საზღვრები პოლონეთსა და ლიტვას შორის".

გერმანიის პრესა ამხ. კალინინის განცხადების შესახებ

ბერლინი, 5 ივნისი. კალინინის განცხადებამ შახტის პროცესის გამო გაცხოველებული გამოძახილი გამოიწვია ბერლინის პრესაში.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი სწერს:

„ყველანი კმაყოფილებით წაიკითხავენ ამ უეჭველად გულწრფელ განცხადებას, სახელმწიფოს მეთაურისას, რომლის მოღვაწეობაც ყოველთვის გამსჭვალულია სურვილით, ანგარიში გაუწიოს ფაქტებს, ხელი შეუწყოს მშვიდობიან განვითარებას ყველა დარგში და შეძლებისდაგვარად შეანელოს წინააღმდეგობანი. თავისთავად ცხადია, რომ უნდა დაუცადოთ პროცესის დამთავრებას, რათა გადავწყვიტოთ, თუ როგორ არის შეფასებული იმ ბრალდებულ გერმანელებისა და გერმანელ ფირმების დანაშაული, რომელთა წინააღმდეგ საბრალმდებლო დასკვნა ასე უხვად აყენებს ბრალდებებს".

შემდეგ კორესპონდენტი უარყოფს გერმანიის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ „საბჭოთა კავშირიდან მასიურად გარბიან იქ მომუშავე უცხოელი ინჟინრები".

„ასეთი ცნობების გავრცელება,—ამბობს კორესპონდენტი,—არ წარმოადგენს შესაფერ საშუალებას გერმანიის თვალსაზრისის გასატარებლად მოსკოვში". (ადს).

ბერლინი, 5 ივნისი. გერმანიის ყველა გაზეთები ესალმებიან ამხ. კალინინის განცხადებას, მაგრამ ამავე დროს ერთგვარ სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენენ ამ განცხადების არაპრაქტიკულ შედეგებისადმი.

„დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ„-ის კორესპონდენტის სიტყვით, მის მიერ წინად გამოთქმული იმედი, რომ გერმანელ ფირმების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები უკანვე იქნება წაღებული, ეხლა კალინინის განცხადების შემდეგ, შეიძლება განხორციელებულად ჩაითვალოს.

„ჩვენ იმედი გვაქვს,—ამბობს კორესპონდენტი,— რომ საბჭოთა პრესა მიბაძავს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს და კალინინის კარგი სიტყვების შემდეგ, ჩვენ სასამართლოს კარგ საქმეებს". (ადს).

ბერლინი, 5 ივნისი. გერმანიის პრესის კომენტარიებში კალინინის განცხადების გარშემო გაისმის უკმაყოფილება მოსკოვის გამოძახილით გერმანიის გაზეთების გამოხმაურებაზე სოვრემენნიკის წერილის გამო „იზვესტიაში", გერმანიის პრესას შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ ის, რომ ზოგიერთი ბრალდებული არიგებდა ქრთამს და აგზავნიდა კერძო წერილებს, გერმანიის გაზეთები კატეგორიულად უარყოფენ, რომ ბრალდებულები შეგნებულად აწარმოებდნენ საზიანო მუშაობას და რომ მათ იცოდენ რამე შეთქმულების შესახებ. ამიტომ გერმანიის პრესა უარყოფს მტკიცებას, რომ შახტის საბოტაჟი არის კაპიტალისტური სახელმწიფოების შემჭიდროებული მთლიანი ფრონტის შედეგი. გერმანიის ავტორიტეტული გაზეთები გაკვრით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთისა და პოლონეთის გენერალურ შტატებისა და მაღაროების ყოფილ პატრონების მისწრაფებებსა და გერმანიის პოლიტიკის მისწრაფებას შორის არაფერი საერთო არაა. (ადს).

დე-მონზის წერილი
საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის როლის შესახებ

ბერლინი, 5 ივნისი. „ბერლინერ ბერზენ კურიერ" ათავსებს დე-მონზის წერილს საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის როლის შესახებ.

„ევროპის სახელმწიფოები,—სწერს დე-მონზი,—ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ მათ ხელი უნდა შეუშალონ ჩინეთის ოთხასმილიონიანი მოსახლეობის გაერთიანებას საბჭოთა კავშირის 150 მილიონიან მოსახლეობასთან რათა შორეული აღმოსავლეთი არ გადაიქცეს ბოლშევიზმის დასაყრდენ პუნქტად. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ჩინელი გლეხი უფრო გამოსადეგია, ვინემ ინგლისელი ჯარისკაცი. მოსკოვის გეგმა მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას იაპონიის და რუსეთის კავშირი, ხოლო შემდეგ წინადადება მისცეს ჩინეთს და გერმანიას შეუერთდეს ამ კავშირს. ეს ფაქტი არა ერთხელ ყოფილა განხილული „იზვესტიის"-ს (?) ფურცლებზე, ხოლო იაპონიას ერთხელაც არ უარუყვია ის. ალბათ შტრეზემანიც იცნობს ამ გეგმას, თუმცა გამოურკვეველია დადებითად თუ უარყოფითად უყურებს ის ამას.

ყველაფერი ეს საფრანგეთის წინაშე აყენებს ამოცანას უზრუნველყოს კავშირი იაპონიასთან და ინგლისთან, ხოლო შემდეგ დაუბრუნოს გერმანიას ის როლი ევროპაში, რომელიც შეადგენს მის დანიშნულებას. გერმანია, რომელსაც დასავლეთ ევროპის მხრიდან უქმნიან დაბრკოლებებს, იძულებულია თავისი ყურადღება მიაპყროს აღმოსავლეთს. გამოურკვეველი მდგომარეობით აიხსნება საფრანგეთის თავდაჭერილობა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს. მთავარი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიკების ბელადები ითვისებენ ყველა სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევის უფლებას და ამავე დროს სასტიკად უკრძალავენ სხვა ქვეყნებს ჩაერიონ თუგინდ მეორეხარისხოვან საკითხებში, რომლებიც შეეხება რუსეთს.

ის გარემოება, რომ საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, აიხსნება მით, რომ საფრანგეთს აქვს უსაფუძვლო იმედი, თითქო რუსეთი აღადგენს მეგობრულ ურთიერთობას ძველ მოკავშირეებთან. მაგრამ შორს აღარ არის მომენტი, როცა საჭირო გახდება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების დაყენება არაორაზროვან ალტერნატივის წინაშე. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოება იქნება მომენტი, როცა უნდა დაისვას ეს საკითხი. ჩინეთის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება დასავლეთ სახელმწიფოებთან დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, იმაზე,—მიაღწევენ თუ არა ევროპის სახელმწიფოები შეთანხმებას ურთიერთ შორის". (ადს).

თეთრგვარდიელთა კომიტეტის დახურვა ვარშავაში

ვარშავა, 5 ივნისი. მთავრობის კომისარმა ვარშავაში დახურა რუს თეთრგვარდიელთა კომიტეტი. შენობა დაბეჭდილია. ამავე დროს მთავრობის კომისარმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებით, დაშალოს ეს ორგანიზაცია კანონის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის. (ადს).

136-ის პროცესი ბელოსტოკში

ვარშავა, 5 ივნისი. 136-ის პროცესზე ბელოსტოკში გამოტანილია განაჩენი. ბრალდებულები პასუხისგებაში იყვნენ მიცემული იმის გამო, რომ ეკუთვნოდნენ დასავლეთ ბელორუსიის კომუნისტურ პარტიას.

იაფეტ შერმანს და ვერა იარონეს მიუსაჯეს საკატორღო მუშაობა რვა-რვა წლის ვადით, სამ ბრალდებულს—შვიდ-შვიდი წლით, 12—ექვს-ექვსი წლით, 13—ოთხ-ოთხი წლით, 22—სამ-სამი წლით, 15—2 ნახ. წლით თვითეულს, 5—ორ-ორი წლით და 39—თითო წლით.

25 ბრალდებული გამართლებულია.

ვინაიდან ბრალდებულებს ჩაეთვალა წინასწარი პატიმრობა, ყველა ისინი, ვისაც მისჯილი აქვს საკატორღო მუშაობა 2 ნახ. წლის და ნაკლები ვადით, დაუყოვნებლივ იქნებიან განთავისუფლებული.

განაჩენის გამოქვეყნების დროს ერთმა ბრალდებულმა დაიძახა: „ძირს ფაშისტური მთავრობა!" ამის შემდეგ დაიწყო საერთო დემონსტრაცია. ბრალდებულებმა დაიწყეს ინტერნაციონალის სიმღერა. პოლიციამ გაიყვანა დემონსტრატები. (ადს).

საქმე ეკონომიურ ჯაშუშობის შესახებ

ბერლინი. 5 ივნისი. შტუტგარდტში ირჩევა სენსაციური საქმე ეკონომიურ ჯაშუშობის შესახებ.

ეს საქმე დაიწყო საჩივრით, რომელიც წარუდგინა სააქციო საზოგადოება „ნორმა"-მ ფირმა „რიბე-ვერკე"-ს, რომელიც კონკურენციას უწევს „ნორმა"-ს. მთავარი ბრალდებულია ინჟინერი კარერი. მას ბრალად ედება ფირმა „ნორმა"-ს ნახაზების მოთვისება და მათი გამოყენება ფირმა „რიბე-ვერკე"-ში გადასვლის შემდეგ. კარერი უარყოფს მითვისების ფაქტს და აცხადებს, რომ ნახაზება მისი „გონების ნაყოფია". მაგრამ კარერი აღიარებს, რომ ეს ნახაზები მან გააკეთა იმ კუნსტრუქციული ნახაზების საფუძველზე, რომლებიც ეკუთვნოდა ფირმა „ნორმა"-ს.

პროცესი წარმოადგენს იმ გამწვავებულ საკონსტრუქციო ბრძოლის გამოხატულებას, რომელიც სწარმოებს ფირმებს შორის (ადს).

თავისიანი ვერ იცნეს
პოლიციამ სცემა თავის უფროსს

ბერლინი, 5 ივნისი. „მონტაგს პოსტ" სავსებით ადასტურებს „როტე ფანე"-ს ცნობას იმის შესახებ, რომ პოლიციასა და მუშებს შორის მომხდარ შეტაკების დროს პოლიციელებმა სცემეს ბერლინის პოლიციის პრეზიდენტის თანაშემწეს ვეისს. გაზეთის სიტყვით, ვეისმა სამართლიანად სცნო კომუნისტების პროტესტი პოლიციის ჩარევის წინააღმდეგ და უბრძანა პოლიციელებს რეზინის ჯოხები ჩაეგოთ ფუტლიარებში. პოლიციელებმა ვერ გაარჩიეს ვინ იძლეოდა ბრძანებას და სცემეს ვეისს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ჰყვიროდა: „მე პოლიციის პრეზიდენტის თანაშემწე ვარო".

ინციდენტთან დაკავშირებით, გაზეთი ჰკიცხავს პოლიციას მუშებთან მრავალრიცხოვან შეტაკებებისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბერლინის პოლიციის სათავეში სდგას სოციალ-დემოკრატი ცერგიბელი. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუქარესტის ორგანიზაციის დაშლა

ვენა, 5 ივნისი. „სოციალიზმუს"-ი აქვეყნებს ცნობას, რომ რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ალმასკომმა გადასწყვიტა დაშალოს პარტიის ბუქარესტის ორგანიზაციის კომიტეტი. ეს ღონისძიება მიმართულია ალმასკომის წევრ გელერტერის და მისი ჯგუფის წინააღმდეგ. გელერტერი სათავეში უდგა ბუქარესტის კომიტეტს და არაერთხელ აკრიტიკებდა პარტიის და უმთავრესად რეფორმისტულ პროფკავშირების პოლიტიკას (ადს).

„იტალია"-ს საძებნელად

მოსკოვი, 6 ივნისი. გაემგზავრენ ყველა ის მფრინავები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ დირიჟაბლ „იტალია"-ს ძებნაში. მფრინავი ჩუხნოვსკი გაემგზავრა ლენინგრადში, საიდანაც ჰიდროაეროპლანით გაფრინდება არხანგელსკში და შემდეგ ახალ მიწაზე. ექსპედიციის უფროსი ვიზე უკვე ლენინგრადშია, საიდანაც გაემგზავრება არხანგელსკში. ექსპედიციის მთელი მატერიალური და ტეხნიკური მოწყობილობა, რომელიც მოსკოვიდან გაიგზავნა ლენინგრადში, 9 ივნისს დატვირთული იქნება ყინულის გამკვეთ გემ „მალიგინ"-ზე. „მალიგინ"-ის ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის გაზეთების წარმომადგენლები. ექსპედიციის გემი „პერსეი" უკვე მურმანსკშია, სადაც ელის რადიომოწყობილობას, რომლის მიღების შემდეგ გავა ზღვაში (ადს).

მფრინავების დაღუპვა

ლონდონი, 6 ივნისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება ეგვიპტეში მოხდა ორი სამხედრო აეროპლანის დაჯახება. დაიღუპა ორი მფრინავი (ადს).

ბომბეის ფეიქრების სიმტკიცე

ქაბული, 6 ივნისი. ინდოეთის პრესის ცნობით, ფეიქართა გაფიცვა ქაბულში გრძელდება წინანდელი სიმტკიცით. საგაფიცვო კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ გაფიცვა გაგრძელდება მანამდე, სანამ მწარმოებლები არ მიიღებენ ყველა იმ პირობებს, რომლებიც წარუდგინეს მათ მუშებმა (ადს).

რუმინელი გენერლები პოლონეთში

ვარშავა, 6 ივნისი. ვარშავაში ჩავიდა რუმინეთის სამხედრო დელეგაცია. გაზეთი „ეპოქა" ფიქრობს, რომ სამხედრო დელეგაციას დღეს მიიღებს პილსუდსკი. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ რუმინელი გენერლები გაემგზავრებიან ივან-გოროდში, სადაც გაეცნობიან ადგილობრივ სამხედრო ავიაციის მდგომარეობას. დასასრულ „ეპოქა" სწერს, რომ შესაძლებელია რუმინელმა და პოლონელმა სამხედრო მოღვაწეებმა განიხილონ ის საკითხები, რომლებიც აინტერესებს ორივე ქვეყნის არმიებს (ადს).

პალატა ხმას აძლევს არაპირდაპირ გადასახადებს

ლონდონი, 6 ივნისი. თემთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო ბიუჯეტი. სნოუდენმა მუშათა პარტიის სახელით შეიტანა წინადადება ბიუჯეტის უარყოფის შესახებ, ვინაიდან ბიუჯეტი არ ამსუბუქებს საგადასახადო ტვირთს, რომელიც აწევს მოსახლეობას, და აწესებს ახალ არაპირდაპირ გადასახადებს. სნოუდენის წინადადება პალატამ უარჰყო 332 ხმის უმრავლესობით 135-ის წინააღმდეგ (ადს).

8.000 ფეიქრის გაფიცვა

ვარშავა, 5 ივნისი. ბელოსტოკში დაიწყო 8.000 ფეიქრის გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 40 პროცენტით. მოსალოდნელია აგრეთვე გაფიცვა ლოძის საფეიქრო წარმოებებში (ადს).

კრიზისი ბუქარესტის ბირჟაზე

ვენა, 5 ივნისი. ცნობებმა იმის შესახებ, რომ რუმინეთის მიერ საგარეო სესხის მიღებას გადაეღობა ახალი დაბრკოლებები, გამოიწვია ახალი კრიზისი ბუქარესტის ბირჟაზე. სახელმწიფო ბანკის აქციების და სხვა ფასიან ქაღალდების კურსი ძლიერ დაეცა (ადს).

სპეკულიაცია ნიუ-იორკის ბირჟაზე

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. მოკლევადიანი სესხების საკრედიტო პროცენტი ნიუ-იორკში გაიზარდა 7 პროცენტამდე. ამასთან ერთად ხდება სამრეწველო აქციების კურსის სწრაფი დაცემა.

ფედერალური სარეზერვო ბანკის დირექციამ განაცხადა, რომ მიიღებს ზომებს „გადაჭარბებული სპეკულიაციის წინააღმდეგ ბირჟაზე" (ადს).

ოკეანეზე გადაფრენის რეკორდი

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. ოთხი ამერიკელი მფრინავი, რომლებიც აეროპლანით გაფრინდნენ გონოლულუდან (სანდვიჩის კუნძულები წყნარ ოკეანეზე), მშვიდობიანად დაეშვენ კუნძულ სუვაზე, ავსტრალიის მახლობლად. მათ გადაიარეს ოკეანეზე 3.100 მილი და ამრიგად დაამყარეს ოკეანეზე გადაფრენის ახალი რეკორდი (ადს).

რეიხსტაგის გახსნის დღეს

ბერლინი, 5 ივნისი. გერმანიის კომპარტიამ, წითელ ფრონტელთა კავშირმა და რემედასის გერმანიის სექციამ რეიხსტაგის გახსნის დღეს დანიშნეს დიდი კრება ამნისტიისათვის ბრძოლის ლოზუნგით. ჰამბურგში კომპარტია და წითელ ფრონტელთა კავშირი 13 ივნისისათვის ნიშნავენ მასიურ დემონსტრაციას სოციალ-დემოკრატების კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ ჰამბურგის სენატში, პრუსიის ლანდტაგში და რეიხსტაგში.

ამხ. ლიტვინოვი შვებულებაში

მოსკოვი, 6 ივნისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ლიტვინოვს მიეცა ორი თვის შვებულება. (ადს).

ბუისონი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე

პარიზი, 5 ივნისი. რადიკალების მემარჯვენე ფრთის ლიდერმა ფრანკლენ ბუიონმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე. (ადს).

პარიზი, 5 ივნისი. 5 ივნისს დეპუტატთა პალატაში უნდა მოხდეს პრეზიდიუმის არჩევნები. მთავრობა თავისი დეკლარაციით გამოვა 7 ივნისს. (ადს).

პარიზი, 6 ივნისი. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ არჩეულია ბუისონი, პალატის უწინდელი 1926 წლის შემადგენლობის თავმჯდომარე. ბუისონი არჩეულია 327 ხმის უმრავლესობით 244 ხმის წინააღმდეგ, რომლებიც მიიღო ფრანკლენ ბუიონმა (ადს).

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ახალი ვიცე თავმჯდომარეები

პარიზი, 5 ივნისი. ფერნანდ ბუისონის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ შესდგა ვიცე თავმჯდომარეთა არჩევნები. ჯერ ჯერობით არჩეულია სამი: ანრი პატე, ლეო ბუისუ (რადიკალ-სოციალისტი) და ლეფონი (რადიკალების მემარცხენე ფრთა). კიდევ უნდა მოხდეს ხელახალი არჩევნები მეოთხე ვიცე თავმჯდომარის ასარჩევად (ადს).

პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო კონვენცია

ვენა, 5 ივნისი. უნგრეთის პრესა იუწყება, რომ რუმინელ გენერლების ვარშავაში ჩასვლის მიზანია პოლონეთ-რუმინეთის ახალი სამხედრო კონვენციის დადება. (ვარშავაში ჩასულ გენერლებს შორის არიან რუმინეთის არმიის მთავარი ინსპექტორი მარდარესკუ, რუმინეთის გენერალური შტაბის უფროსი სამსანოვიჩი და სამხედრო მინისტრის თანაშემწე დუმიტრესკუ).

მანიფესტაცია კომუნარების კედელთან

პარიზი, 5 ივნისი. ტრადიციული მანიფესტაცია კომუნარების კედელთან პარიზში გადაიქცა მუშათა გრანდიოზულ დემონსტრაციად, რომელიც ჩატარდა კომუნისტების ხელმძღვანელობით პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგით.

ხუთი საათის განმავლობაში მუშები წითელი დროშებით დადიოდენ კედლების გასწვრივ და გაიძახოდენ: „გაუმარჯოს კომუნას, ძირს სამხედრო საბჭოები, გავანთავისუფლოდ კლასობრივი ბრძოლის მსხვერპლნი კაშენი, მარტი, დორიო, მენეტრიე და დიუკლო". წესრიგს იცავდა ანტი-ფაშისტური თავდაცვის გვარდიის რაზმები. (ადს).

მეორე ინტერნაციონალის პრეზიდიუმში

პარიზი, 5 ივნისი. ბრიუსელში შესდგა მეორე ინტერნაციონალის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე საბოლოოდ იქნა დამტკიცებული მეორე ინტერნაციონალის მომავალი კონგრესის დღის წესრიგი. კონგრესი შესდგება მიმდინარე წლის აგვისტოში. კონგრესის პროგრამაში სხვათა შორის შეტანილია განიარაღების და კოლონიალური პოლიტიკის საკითხები და საკითხი მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ ომის შემდეგ.

ბელორუსიელ დეპუტატების დაპატიმრება

ვარშავა, 5 ივნისი. ნოვოგრუდკში დააპატიმრეს ბელორუსიელი დეპუტატი სტეპანოვიჩი, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა წართმეული ხელშეუხებლობის უფლება სეიმის დადგენილებით. სტეპანოვიჩს ბრალად ედება ის, რომ აწარმოებდა „აგიტაციას გრომადის სასარგებლოდ" (ადს).

94 ინდოელ გლეხის პროცესი

ლონდონი, 5 ივნისი. ლაგორში დამთავრდა 94 ინდოელ გლეხის პროცესი. ეს გლეხები არიან იმ აჯანყების მონაწილენი, რომელიც მოხდა აპრილში პროვინცია მალერკოტლაში. 48 ბრალდებულს მიესაჯა საკატორღო მუშაობა 8—10 წლის ვადით (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი
(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შახტის პროცესის პირველი შედეგები

მოსკოვი 6 ივნისი. ხუთ ივნის შახტის პროცესზე დასრულდა ბრალდებულთა და მოწმეების დაკითხვა. „იზვესტია" თავის მოწინავე წერილში, სათაურით, „პირველი შედეგები", სწერს:

დასრულდა სასამართლოს „მიერ წარმოებული კვლევა-ძიება შახტის პროცესზე. თვით „ბერლინერ ტაგებლატიც" კი იძულებულია განაცხადოს, რომ შახტის რაიონში ადგილი ჰქონდა შეგნებულ საბოტაჟს.

ვერცერთ ბრალდებულმა —განაგრძობს „იზვესტია", ვერ გაიარა ისე დაკითხვა, რომ არ ეღიარებია თავისი დანაშაული. ყველა მათგანი ერთხელ კიდევ გამოაშკარავებულ იქნა პროცესზე, როგორც საბჭოთა აღმშენებლობის მავნებელი. ელიაძეები და კოლოდუბები შერცხვენილნი და მორალურად განადგურებულნი გამოვიდნენ სასამართლოს დაკითხვიდან.

სასამართლოს მიერ უკვე ჩატარებულ მუშაობიდან საბოლოოდ და ყველასათვის თვალსაჩინოდ გამოირკვა, რომ არსებობდა სპეციალისტთა მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზაცია ხარკოვში, მოსკოვში და საზღვარგარეთ, რომელიც განსაზღვრული დირექტივებისა და გეგმის მიხედვით აწარმოებდა გამანადგურებელ მუშაობას შახტის რაიონში. ამასთან ერთად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ორგანიზაცია სუბსიდიებს ღებულობდა უცხოეთიდან.

ამასთან ერთად, შახტის პროცესმა ცხადჰყო პროლეტარიატის გიგანტიური შემოქმედებითი უნარი.

საქართველო უკან რჩება ბამბის კონტრაქტაციის დარგში

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ცნობა ბამბის კონტრაქტაციის მიმდინარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში. აღნიშნულ ცნობების მიხედვით საქართველოში კონტრაქტაცია ბამბაზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. საქართველო ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა რესპუბლიკებს. ამ გარემოებას არ მოუხდენია გავლენა კონტრაქტაციის საერთო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში კონტრაქტაციაქმნილია 1.036.203 ჰექტარი ბამბის ნათესი. წლის ამავე თვეში კი ჩვენ გვქონდა 978.400 ჰექტარი ბამბის ნათესი.

საქართველოს ხილი მოსკოვის ბაზარზე

მოსკოვი, 6 ივნისი. უკანასკნელ ხანებში მოხდა მოსკოვის ხილის ბაზრის შემოწმება. გამოირკვა, რომ ხილის ბაზარი მოსკოვში 67 პროცენტით კერძო ვაჭრების ხელშია, რაიც არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მოსკოვის სინამდვილისათვის. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ მოსკოვის ხილის ბაზარზე დიდ სპეკულიაციას აქვს ადგილი. საქართველოს ხილი სპეკულიანტურ კომბინაციების წყალობით მეტად ძვირათ ფასობს.

გადაწყვეტილია ხილის დამტარებელთა მძლავრ კოლექტივების შექმნა, რომლებიც აწარმოებენ ხილით საცალო ვაჭრობას მოსკოვში. აღნიშნულ კოლექტივებში ჩაბმული იქნება უმთავრესად უმუშევრები.

ავღანისტანის ფადიშახი სპარსეთში

ამანულა-ხანის რადიოგრამა

ბაქო, 6 ივნისი. დღეს გემ „პოლიუან“-დან აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარეს, ამხ. აღამალი-ოღლიმ ავღანისტანის ფადიშახ ამანულა-ხანისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის რადიო დეპეშა: „ვტოვებ რა თქვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქს, გიძღვნით ჩემს საუკეთესო სურვილებს და ერთხელ კიდევ გიცხადებთ გულწრფელ მადლობას მეგობრული შეხვედრისათვის. ამანულა“. (ადს).

ამანულა ხანი პეხლევში

პეხლევი, 6 ივნისი. დღის ორ საათზე პეხლევში გემ „პოლიუან“-ით მოვიდა ავღანისტანის ფადიშახი ამანულა-ხანი. სპარსეთის ხელისუფლებამ საზეიმო შეხვედრა გაუმართა ფადიშახს. ფადიშახის შესახვედრად თეირანიდან ჩამოვიდა სპარსეთის სასახლის მინისტრი თემურტაში და სპარსეთის მთელი რიგი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები (ადს).

—:—

შეცდომის გასწორება

გუშინდელი ცნობის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ფადიშახ ამანულას ბაქოდან გამგზავრების შესახებ, უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„ვსტოვებ რა აზერბეიჯანის ტერიტორიას, სთქვა ფადიშახმა ამხ. აღამალი-ოღლისთან და მუსაბეკოვთან გამოთხოვებისას, მე თან მიმაქვს საუკეთესო შთაბეჭდილებები“.

ინციდენტი პროვოკატორ სამბორსკის გარშემო

ვარშავა, 6 ივნისი. რამდენიმე გაზეთმა მოათავსა პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა, რომელშიაც განმარტებულია პროვოკატორ სამბორსკისთან მომხდარი ინციდენტის არასწორად გაშუქება პრესაში (ინციდენტს ადგილი ჰქონდა საბჭოთა წარმომადგენლობაში). სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ სამბორსკი მიიღო არა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბოგომოლოვმა, არამედ კონსულმა შახოვმა, რომელმაც აცნობა პოლიციას. სამბორსკი დააპატიმრეს; მას აღმოაჩნდა მიწერ-მოწერა და დოკუმენტები, რომლებიც ჩამოართვეს.

სააგენტო არაფერს ამბობს ამ მიწერ-მოწერისა და დოკუმენტების შინაარსის შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, რომ სამბორსკის აღმოაჩნდა დოკუმენტი მთავრობის კომისარიატის აგენტისა ვარშავაში. (ადს)

რა ხდება უცხოეთში.

უმუშევრობა შეერთებულ შტატებში

ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული ცნობები უმუშევრობის შესახებ, რომელიც შეერთებულ შტატებში ფართე ხასიათს მიიღო. ეს ცნობები შეეხებოდა წარსული წლის თვეებს და არ შეიცავდა მასალას უმუშევრობის შესახებ წარსული წლის უკანასკნელი და მიმდინარე წლის პირველი თვეების შესახებ. უკანასკნელად მიღებული ამერიკული გაზეთები საშუალებას გვაძლევს შევავსოთ შეერთებულ შტატებში გავრცელებული უმუშევრობის სურათი.

შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს ცნობებით, მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვი 1928 წ. თებერვალში, წარსული წლის თებერვალთან შედარებით, საშუალოდ 6,6 პროცენტით შემცირდა. ამავე დროს სამინისტრო აღნიშნავს სამრეწველო მუშების რიცხვის და მათი ხელფასის უმნიშვნელო ზრდას (თებერვალში) მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით: მუშების რიცხვი გაიზარდა 1 ნახევ. პროცენტით, ხელფასი კი—4,9 პროცენტით.

მუშების რიცხვის ეს უმნიშვნელო ზრდა მოდის საავტომობილო (9 ნახევ. პროც.), რკინისა და ფოლადის (16 პროც.) მრეწველობაზე და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგებზე (აბრეშუმის, შაქრის და სხვ.).

მეორე მხრივ სამინისტროს ცნობები აღნიშნავს უმუშევრობის ზრდას შალეულისა და ბამბეულის, ელექტრო-სამანქანო და გემთა საამშენებლო მრეწველობაში.

რამდენიმე—6,4 პროცენტით გაიზარდა მუშების რიცხვი საავტომობილო და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის (შინების და მზადება და სხ.) დარგებში.

შრომის სამინისტროს ცნობით, მოგება კაპიტალზე 1927 წ. თებერვალში 3,3 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1928 წ. იანვ. მაგრამ 0,6 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1927 წ. თებერვალში.

უმუშევრობის ზრდა შეეხო უმთავრესად შტატებს განვითარებული მრეწველობით (ილინოისი, ნიუ-იორკი და სხ.)). ოფიციალური ცნობებით, ნიუ-იორკის შტატში ას თავისუფალ ადგილზე 215 პრეტენდენტია (1927 წ. თებერვალში იყო—157); ილინოისის შტატში 100 ადგილზე პრეტენზიას აცხადებს 209 უმუშევარი (1928 წ. იანვარში—215). ნიუ-იორკში 100 თავისუფალ ადგილზე 210 პრეტენდენტია, ჩიკაგოში—283. მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით ყველაზე მწვავეა უმუშევრობა სატრანსპორტო და საამშენებლო მრეწველობაში. სატრანსპორტო მრეწველობაში 100 თავისუფალ ადგილზე 642 უმუშევარი მოდის, საამშენებლო—526.

ამერიკელ კაპიტალისტების ზრდა

სკოტ ნირინგი (ავტორი მთელ რიგ წიგნებისა ამერიკის ეკონომიური განვითარების საკითხებზე) ამერიკული კაპიტალის ხელმძღვანელი როლის შემდეგ შეფასებას იძლევა:

„ნახევარი საუკუნის წინ მსოფლიო ეკონომიკაში ბატონობისათვის იბრძოდა ოთხი სახელმწიფო: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და შეერთებული შტატები. პირველი ადგილი ეკუთვნოდა ინგლისს, მაგრამ დანარჩენი სამი სახელმწიფო ბევრად არ ჩამორჩებოდა მას უკან ახლა შეერთებულმა შტატებმა დიდათ გაუსწრო ყველა მათ“.

ნახშირის მოპოვება მშვენიერი მაჩვენებელია სახელმწიფოთა შედარებითი ეკონომიური მდგომარეობის. 1890 წ. პირველი ადგილი ნახშირის მოპოვების მხრივ ეკუთვნოდა ინგლისს და შეერთებულ შტატებს. ინგლისში ნახშირის წლიური მოპოვება შეადგენდა 184 მილიონ ტონას, შეერთებულ შტატებში—143 მილიონს, გერმანიაში—70 მილიონს და საფრანგეთში—25 მილიონ ტონას.

ახლა ინგლისმა დაჰკარგა პირველი ადგილი გერმანიის მრეწველობის ზრდის გამო. ნახშირის ამოღება შეერთებულ შტატებში ორჯერ სჭარბობს ნახშირის ამოღებას გერმანიაში, ოთხჯერ—ინგლისისას და თითქმის 12-ჯერ—საფრანგეთისას.

უკანასკნელ ხანებში სამრეწველო ქვეყნების კეთილდღეობის საზომათ ზოგჯერ სარგებლობენ ავტომობილების რიცხვით. 1927 წ. მთელს მსოფლიოში იყო 27.650.000 ავტომობილი. აქედან—1.023.000 მოდის ინგლისზე, 891.000—საფრანგეთზე, 319 000—გერმანიაზე, 138.000—იტალიაზე. საერთოდ, ევროპის ამ ოთხ დიდ სახელმწიფოში ავტომობილების რიცხვი არ აღემატებოდა 2.371.000. მარტო შეერთებულ შტატებში კი 22.137.000 ავტომობილია (ე. ი. მთელ მსოფლიოში აღრიცხული ავტომობილის ოთხი მეხუთედი).

შეერთებული შტატების უპირატესობა ნათელია აგრეთვე აღნიშნულ ქვეყნების სიმდიდრეთა შედარების დროს. ნახევარი საუკუნის წინ ინგლისის სიმდიდრე შეფასებული იყო 40 მილიარდ დოლარად, გერმანიის—38, საფრანგეთის—33 და შეერთებული შტატების—30 მილიარდ დოლარად. ომის შემდეგ კი ასეთი მდგომარეობაა:

შეერთ. შტ.	320 მილიარ. დოლ.
ინგლისში	90 „ „
საფრანგეთი	70 „ „
გერმანია	65 „ „
საბჭოთა კავშირი	55 „ „
იტალია	25 „ „

ეს ციფრები მეტად დამახასიათებელია, მაგრამ კიდევ უფრო დამახასიათებელია ის, რომ შეერთებული შტატების ზრდის ტემპი ბევრად უკან სტოვებს ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ზრდის ტემპს.

ას—ი.

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

5 ივნისის დილის სხდომა

ბრალდებული კუზმა

მოსკოვი, 6 ივნისი. 5 ივნისს დილის სხდომის დასასრულს სასამართლო გადადის იმ ცნობების გამორკვევაზე, რომლებიც ახასიათებენ ბრალდებულ კუზმას პიროვნებას.

ამხ. კრილენკოს კითხვაზე ბრალდებულის დამოკიდებულების შესახებ თებერვლის რევოლიუციისადმი, კუზმა უპასუხებს, რომ მიიღო ისე, როგორც ინტელიგენტურად დასაბუთებული, მიზანშეწონილი და საჭირო რევოლიუცია.

კითხვაზე ოქტომბრის რევოლიუციისადმი დამოკიდებულების შესახებ—ბრალდებული იძლევა მეტად ვრცელ განმარტებას, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ ოქტომბრის რევოლიუცია დონბასში მოხდა მხოლოდ 1920 წელს. აქამდის არსებითად არავითარი ცვლილება არ ყოფილა, ვინაიდან იყვნენ ძველი მეპატრონეები და იყო ძველი ურთიერთობა.

იმის შემდეგ, რაც სასამართლოსა და ბრალდების კითხვებზე კუზმა იძულებული გახდა აღიაროს, რომ 1917—1920 წლების პერიოდში დონბასში სწარმოებდა სამოქალაქო ომი, სასამართლოს წევრი ამხ. ვასილიევ-იუჟინი ეკითხება მას:

„ვისი გამარჯვება გსურდათ თქვენ?“

ამ პირდაპირ კითხვაზე ბრალდებული იძლევა ვრცელ განმარტებებს, რომლიდანაც უნდა გავიგოთ, რომ მისი სიმპატიები მუშებისკენ იყო. ბრალდებული უჩვენებს, რომ ბოლო ხანებში „როგორც საბჭოთა სახელმწიფო აღმშენებლობის მონაწილე“ ის ღებულობდა 700 მანეთ ჯამაგირს.

ამხ. კრილენკო სთხოვს ბრალდებულს მოიგონოს მოითხოვდა თუ არა ის მისთვის ტანტიების მიცემას, უფასო ბინას და ავტომობილს და აგრეთვე იმას, რომ ბრალდებულის გადასახადები შეეტანა დონუგოლს. ვინაიდან ბრალდებული ამაზე არ იძლევა გარკვეულ პასუხს, სასამართლო აქვეყნებს საქმეებში დართულ „დონუგოლის“ განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს კუზმა და რომელიც შეიცავს აღნიშნულ მოთხოვნილებებს.

5 ივნისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე სასამართლო შეუდგა იმის გამორკვევას, თუ როგორ მუშაობდა ბრალდებული კუზმა შჩეგლოვსკის მაღაროების სამმართველოს მთავარ ინჟინერად ყოფნის დროს.

მთავარი საკითხი, რომელიც აინტერესებს სასამართლოს, არის მუშაობა პასტუხოვის მაღაროს აღსადგენად სხვა მაღაროების, უმთავრესად, ბერესტოვის, ბოგოდუხოვის და გრიგორიევის მაღაროების საზიანოდ. დეტალურად ირკვევა საკითხი ბერესტოვის მაღაროს წყლით ამოვსების შესახებ.

ყველაზე უფრო დიდი იყო ბერესტოვის მაღარო, რომელიც იმამდე იძლეოდა 14 მილ. ფუთ ნახშირს წელიწადში, და პასტუხოვის მაღარო—10 მილიონი ფუთი პროდუქციით.

„ამ ორ მაღაროს შორის რომელი უფრო მეტ ღირებულებას წარმოადგენდა?“ ეკითხება ამხ. კრილენკო.

—„ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო, ისინი წარმოადგენდნენ ერთი მეორის გაგრძელებას, ვინაიდან ამუშავებდნენ ერთ და იმავე ფენას. მიუხედავათ ამისა, პასტუხოვკას უპირატესობა ჰქონდა ბერესტოვკის წინაშე დასამუშავებელი მადანის [illegible] მხრივ. ბერესტოვკა კი უკეთ იყო მოწყობილი.

ი. ნეკრასოვის ჩვენება

საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად გამოწვეულ იქნა ბრალდებული ივანე ნეკრასოვი. ის 1920 წელს განაგებდა ბერესტოვის მაღაროს და მაღაროს ამოვსება წყლით მოხდა მის დროს.

„ჰქონდა თუ არა რაიმე დამოკიდებულება თქვენთან იმ დროს კუზმას? ეკითხება ამხ. კრილენკო.

— იმ მომენტში არ ჰქონია,—უპასუხებს ნეკრასოვი. ჩემ დროს იყო პოლიტკომი.

შემდგომი განმარტებიდან ირკვევა, რომ პოლიტკომს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია საქმესთან; კუზმასთან ნეკრასოვს რამოდენიმეჯერ ჰქონდა ლაპარაკი და კუზმამ იცოდა, რომ მაღარო ამოავსეს წყლით.

ნეკრასოვი ირწმუნება, რომ მაღაროს წყლით ამოვსებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება. 1919 წელს, სამოქალაქო ომის დროს ყუმბარა მოხვდა ელექტრო სადგურის ღუმელში. მუშაობა შეჩერდა და თანდათანობით დაიწყო ერთ-ერთი ნაწილის წყლით ამოვსება.

— მაღაროსთვის რომ თავის დროზე გაეწიათ დახმარება, ის ნორმალურ მდგომარეობაში იქნებოდა მოყვანილი და მუშაობა განახლდებოდა. მაღაროს აღდგენის პროექტს ადგენდა კუზმა.

კუზმა უარჰყოფს, რომ პროექტი შედგენილ იქნა იმ ანგარიშით, რომ მას არ მიიღებენ.

„იყო თუ არა ლაპარაკი,—ეკითხება ამხ. როგინსკი,—იმის შესახებ, რომ პასტუხოვკას აღდგენა დანარჩენ მაღაროების ხარჯზე ხდებოდა ყოფილ მეპატრონეთა ინტერესებისათვის, ან თუ გნებავთ მათი დირექტივების მიხედვით?“

კუზმა აცხადებს, რომ ეს მას არ გაუგონია.

დეტერის ჩვენება

სასამართლომ გამოიძახა ბრალდებული დეტერი, პასტუხოვის მაღაროს ყოფილი გამგე.

დეტერი ამხ. როგინსკის კითხვაზე უპასუხებს გარკვევით:

— მართალია, ძველი მეპატრონეებისაგან იყო დირექტივები პასტუხოვის მაღაროს დამუშავების შეჩერების შესახებ. ამის შესახებ მე ველაპარაკე კუზმას. მე შევაქე ის პროექტის შედგენისათვის და უთხარი, რომ სავსებით ვეთანხმები ჩემი გამგეობის დირექტივებს.

„რომელი გამგეობის?“

— პასტუხოვის მაღაროს ძველი გამგეობის.

— არაფერი ასეთი არ ყოფილა,—აცხადებს კუზმა.

დეტერი გადაჭრით აცხადებს, რომ ასეთი ლაპარაკი იყო. კუზმას თანდათან აგონდება, რომ, შესაძლოა დეტერმა ელაპარაკა მას რამე ამის მსგავსი, მაგრამ მან, ალბად, ეს სხვანაირად გაიგო.

მოწმე სერეჟნიკოვის ჩვენება

მოწმე სერეჟნიკოვი, რომელიც 20 წელიწადია მუშაობს დონბასში, მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა ბერესტოვის მაღაროს წყლით ამოვსების შესახებ—მაღარო, მისი სიტყვით, წყლით ამოვსებულ იქნა არა იქამდის, სანამ კუზმა შევიდოდა, არამედ აპრილში, ორი თვით უფრო გვიან. მაღაროს წყლით ამოვსებას მოწმე დიდ შეცდომათ სთვლის. ამჟამად ბერესტოვკა ნანგრევებს წარმოადგენს.

მოწმე გრომოვის ჩვენება

მოწმე გრომოვი ადასტურებს გრიგორიევის მაღაროს წყლით ამოვსების ფაქტს, რასაც ადგილი ჰქონდა 1920 წლის დეკემბერში. მოწმეს ვერ გამოურკვევია ვის მიუძღვის დანაშაული ამ საქმეში. მოწმე აღნიშნავს, რომ გრიგორიევის მაღარო ნახშირის ხარისხით სჯობს პასტუხოვის მაღაროს და მას შეეძლო უკეთესად მუშაობა, მაგრამ მის აღსადგენად არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

მოწმეების ჩვენება

სასამართლო აქვეყნებს წინასწარ გამოძიების დროს დაკითხულ მოწმეების ჩვენებებს, რომლებიდანაც სჩანს, რომ კუზმა მონაწილეობას იღებდა ბერესტოვკის და გრიგორიევკის წყლით ამოვსებაში.

მოწმეთა ჩვენებებში, სხვათა შორის, არის შჩეგლოვის მაღაროების სამმართველოს მუშათა გამგეობის ყოფ. თავმჯდომარის ნიჩაევის ჩვენება, რომელშიაც ნიჩაევი აღნიშნავს, რომ შვირეზოვის მაღაროს წყლით ამოვსება მოხდა 1920 წლის იანვარში.

დამცველები შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე, რათა „დონუგოლისაგან“ გამოთხოვილ იქნეს დამატებითი ცნობა ბერესტოვის მაღაროს წყლით ამოვსების შესახებ. სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას და ამასთანავე ერთად აცხადებს, რომ გამოთხოვილ იქნება აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თუ როდის მოეწყო შჩეგლოვკაში მუშათა გამგეობა და როგორი იყო მისი შემადგენლობა.

ამით თავდება საღამოს სხდომა. (ადს)

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

მდგომარეობა ადგილებზე

5 ივნისს, თათბირის მეოთხე დღის საღამოს სხდომაზე სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაიწყო კამათი ადგილებზე წარმოებულ საბჭოთა აღმშენებლობის გარშემო. პირველი სიტყვა მიეცა შრომის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ჭელიძეს.

ამხ. ი. ჭელიძე

მომხსენებლები ადგილებიდან,—ამბობს ორატორი—შეჩერდნენ მეურნეობის და კულტურულ მშენებლობის ყველა საკითხებზე, მაგრამ სრულიად არაფერი სთქვეს, თუ როგორ არის შრომის დაცვის საკითხები მოწესრიგებული ადგილებზე. ჩვენ კი მოგვეპოვება ცნობები, რომ ადგილები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის დაცვას. ის ფაქტი, რომ დღემდე მარტო ქუთაისის და შორაპნის მაზრებმა მოითხოვეს შრომის ინსპექციის დაარსება, მოწმობს, თუ რა ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ ადგილობრივი აღმასკომები შრომის დაცვას. უმრავლეს მაზრებში ინსპექციები არ არსებობენ და თუ არსებობენ, მოკლებული არიან ადგილობრივი ორგანოების დახმარებას. სანიმუშოდ ავიღოთ უმუშევრობა ჩვენში. ამჟამად საქართველოში აღრიცხულია 25 ათასი უმუშევარი. უმუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაბნეულია სხვადასხვა კუთხეებში. ადგილობრივი აღმასკ. არა თუ უწევენ მათ დახმარებას, არამედ ისინი არ ასმარებენ მათ ჩვენ მიერ გადაგზავნილ თანხებს. შრომის დაცვის მხრივ სოფლად განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ მოჯამაგირეები. მოჯამაგირეთა მიერ დამქირავებლებთან დადებულ ხელშეკრულებების თემაღმასკომებში გატარებას მთელი თვეობით აგვიანდება. იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს აგრეთვე ხელფასის დაგვიანება მთელ რიგ მაზრებში. არანორმალური მოვლენაა აგრეთვე ის, რომ იმ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრებს, რომელიც მაზრის გარეთ მუშაობენ და მსახურობენ, არ ეძლევათ უფასო საექიმო დახმარება.

(ამხ. მამალაძე

(მთავარი საკურორტო სამმართველო)

მომხსენებლებმა მთავარ საკურორტო სამმართველოს უსაყვედურეს, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივ მნიშვნელობის კურორტებს. ადგილობრივ მნიშვნელობის კურორტების მეთვალყურეობა და ექსპლოატაცია არ შეადგენს მთავარ საკურორტო სამმართველოს პირდაპირ მოვალეობას. მათი მოვლა, პატრონობა და ექსპლოატაცია ადგილობრივი ორგანოების საქმეა. სამწუხაროდ, ეს ორგანოები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მათ მიმართ. სამკურნალო წყლების დიდი ნაწილი ან გლეხკომების, ან კერძო პირების ხელშია. სამაზრო აღმასკომები არც კი დაინტერესებულან გამოერკვიათ, თუ როგორ უძღვებიან ისინი ამ საქმეს. არ შეეფერება სიმართლეს აგრეთვე საკურორტო სამმართველოს მიმართ წაყენებული ბრალდება, თითქოს იგი გულგრილად ეკიდებოდეს საკურორტო მნიშვნელობის ტყეების განადგურებას. სამმართველო დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ტყეების გაჩეხვის წინააღმდეგ ერთი მხრით, და მეორე მხრით ყოველგვარ ღონისძიებებით ცდილობს ახალი ტყეების გაშენებას კურორტზე. მაგ. გასულ წელს გაშენებულია ახალი ტყე 1.500 დესეტინის სივრცეზე. შემდეგ ორატორი ჩერდება წითელი ჯვარის მუშაობაზე და ამბობს, რომ მაზრებში წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ჯანსახკომის დამხმარე ორგანიზაციას. ბევრ ალაგას წითელი ჯვრის საზოგადოება ასრულებს ჯანმრთელობის ორგანოების ყველა მოვალეობას. მიუხედავად ამისა ხშირად იგი მოკლებულია ადგილობრივი ორგანოების დახმარებას.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე

(ს. მ. უ. ს.)

აქ რამოდენიმე მომხსენებელმა ს. მ. უ. ს. ბრალად დასდო უყურადღებობა ადგილობრივ სამრეწველო მშენებლობისადმი. მაგ. ამხ. ქურდაძემ განაცხადა, თითქოს ს. მ. უ. ს. წარმომადგენელმა ვერ გამოუნახა მათ შესაფერი ადგილი საკონსერვო ქარხნის ასაგებად. თვით ადგილობრივი აღმასკომი მოითხოვდა, რომ ეს ქარხანა აგებულიყო სრულიად გამოუდეგარ ჭაობიან ადგილებზე; ს. მ. უ. ს. მთელი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ ქარხნის აგება დაწყებულიყო იქ, სადაც ეხლა შენდება. ამხ. ქურდაძის მეორე საყვედური შეეხებოდა იმას, რომ ს. მ. უ. ს.-მა აღმასკომს ნება არ დართო ახალი ქარხნისათვის მიღებული მანქანები დროებით გამოეყენებინათ ძველ ქარხანაში: ს. მ. უ. ს.-მა ახალი მანქანების გამოყენებაზე მართალაც უარი უთხრა მათ იმ მოსაზრებით, რომ ძველი ქარხანა ამ მანქანებით ვერ ისარგებლებდა, რადგან მათ მოხმარას სჭირია ახალი კვალიფიციური ძალები, რომელიც ძველ ქარხანას არ ყავს. ჩვენ რომ ის მანქანები მისთვის გადაგვეცა, მოსალოდნელი იყო განმეორებულიყო ის შემთხვევა, რომელიც ოზურგეთის თხილის საწმენდ ქარხანაში მოხდა. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ოზურგეთის თხილის საწმენდი ქარხნის გაჩერება ს. მ. უ. ს. დააბრალა, მაგრამ რა შუაშია აქ მეურნეობის უმაღლესი საბჭო. უყურადღებობის გამო, ქარხანა თვით მათ გააფუჭეს: თხილთან ერთად მანქანებში ცხენის ნალები ჩაყარეს. საერთოდ ორატორი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობის საკითხებში ჩვენ ვხვდებით სრულ შეუთანხმებლობას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ადგილობრივ აღმასკომებს შორის.

ამხ. დ. კანდელაკი

განათლების მხრით ჩვენი მაზრები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ის მაზრები, სადაც სკოლების ქსელი ფართოა, ხოლო მეორე ჯგუფს მაზრები, სადაც სკოლები საჭიროებაზე ნაკლებია. ამიერიდან ჩვენი სასკოლო პოლიტიკა შემდეგი გზით უნდა წავიდეს: იმ მაზრებში, სადაც სკოლების რიცხვი საკმაოა, სკოლების გამრავლება უნდა შევაჩეროთ და მთავარი ყურადღება მივაქციოთ მათ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩამორჩენილ მაზრებში სკოლების გახსნა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ სტიქიურ მშენებლობას სასკოლო დარგში ბოლო უნდა მოეღოს. სასკოლო ქსელის გაფართოებას საფუძვლად უნდა დაედოს წინასწარ გამომუშავებული გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მაზრების კულტურულ-ეკონომიურ შესაძლებლობას. საშუალო ტიპის სკოლების გამრავლება უნდა განისაზღვროს და მათი გახსნა არ უნდა ხდებოდეს უმაღლეს ორგანოების ნებართვის გარეშე. აქ ბევრი ილაპარაკეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებზე. უდავოა, რომ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები ყველა სკოლებზე უფრო შეეფერება ჩვენი სოფლის დღევანდელ საჭიროებას. მაგრამ წელს ამ სკოლების რიცხვს ჩვენ ვერ გავადიდებთ, იმიტომ, რომ საამისოდ ჩვენ არ გვყავს არც კვალიფიციური მასწავლებლები, არ გვაქვს ფიზიკური კაბინეტები, მოწყობილობა ლაბორატორიებისათვის და სხვა. უამისოდ თვით სოფლის ახალგაზრდობის სკოლები დაჰკარგავენ თავის მნიშვნელობას.

ამხ. იმედაძე

(პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო)

ორატორი აღნიშნავს, რომ მომხსენებლები არ შეეხებიან, თუ რა მდგომარეობაშია სოფლად პოლიტგანათლების დაწესებულებები. იმ დროს, როდესაც დღის წესრიგში დგას კულტურული რევოლიუციის საკითხების გადაჭრა, ასეთი უყურადღებობა პოლიტგანათლების საკითხისადმი დიდი შეცდომაა. შემდეგ ორატორი ახასიათებს პოლიტგანათლების დაწესებულებათა მუშაობას ცალკე მაზრების მიხედვით.

გუშინ, დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

ამხ. ტალახაძე

(იუსტიციის სახკომი)

ორატორი უმთავრესად შეეხო მიწათმოწყობის საკითხებს. მიწათმოწყობა მისი აზრით ჩვენი სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, ამიტომ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. მიწათმოწყობის ტემპის დასაჩქარებლად აუცილებელია მიწის მზომელთა რიცხვის გადიდება, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადადგმული სათანადო ნაბიჯი. შემდეგ ორატორი ეხება ამჟამად არსებულ მიწის კანონთა კრებულს და საჭიროდ სცნობს მიწის ყიდვა-გაყიდვასთან ბრძოლის გასაძლიერებლად, მიწის კოდექსის ზოგიერთ მუხლის შეცვლას. დასასრულ ორატორი საჭიროდ სცნობს აგრონომიულ დახმარების გაძლიერებას ადგილებზე და ხელის შეწყობას ძვირფასი კულტურების გავრცელებისათვის. ორატორი შეეხო ადგილებზე წარმოებულ მშენებლობას, აღნიშნა ის ნაკლულოვანებანი და მდგომარეობის გამოსასწორებლად ამ დარგში საჭიროდ აღიარა მშენებლობის მტკიცე განსაზღვრული გეგმის მიხედვით წარმოება.

ამხ. ე. კვანტალიანი

(ფოსტა-ტელეგრაფი).

ორატორების მიერ აქ აღნიშნული ნაკლულოვანებანი ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობაში შეუმჩნეველი არ არის თვით ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის. იგი თავიდანვე მიზნად ისახავდა ჩვენი ფოსტა-ტელეგრაფის მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუ შევადარებთ ფოსტის დღევანდელ მდგომარეობას იმას, რაც ამ ორი სამი წლის წინად იყო, მნიშვნელოვან წარმატებას შევამჩნევთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დეფექტებს სრულიად აღმოფხვრილად ვთვლით. იმაზე მეტის გაკეთება, რაც ჩვენ გავაკეთეთ ამ მოკლე ხანში, შეუძლებელი იყო. შემდეგ ორატორი მოკლედ ახასიათებს ფოსტა-ტელეგრაფის მდგომარეობას ცალკე მაზრების მიხედვით და აცნობს თათბირს იმ გეგმას, რომელიც სახალხო კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის ქსელის გასაფართოებლად არის გამომუშავებული.

ამხ. ფ. მახარაძე

მომხსენებლებმა ადგილებიდან ვერ აიღეს სწორი ხაზი. მათ უფრო მეტი ილაპარაკეს თავის მიღწევებზე და ნაკლებად შეეხენ ნაკლულოვანებებს. დაშვებულ შეცდომებსა და ნაკლულოვანებებში მთავარი ბრალი დასდეს ცენტრალურ დაწესებულებებს, ისინი სჩიოდენ, თითქოს ცენტრიდან მათ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, თითქოს არ ღებულობენ დახმარებას და სხვა. თუ როგორია საკუთარი საქმეებისადმი მათი ყურადღება, როგორია მათი ხელმძღვანელობა, მათი მუშაობის უნარი,—ამ კითხვებზე მათი პასუხი გაურკვეველი იყო. საქმე მარტო ცენტრის დახმარებასა და ფულის მიწოდებაში არ არის. მთავარი ის არის, თუ როგორ ვხმარობთ იმ სახსარსა და საშუალებებს, რომელიც მოგვეპოვება. ფაქტია ის, რომ დღემდე ჩვენ ვერ შევეჩვიეთ მეურნეობის წესიერ წარმოებას, მის სათანადო გაძღოლას, მის განვითარების ჩაყენებას ნორმალურ კალაპოტში. ეს ნაკლი ცოტათ თუ ბევრად ახასიათებს ყველა მაზრებს. მომხსენებლები ამას არ აღიარებდენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ადგილებზე ყველაფერი კარგად არის და თუ რამე ნაკლია, აქ დამნაშავე ცენტრალური ხელისუფლებაა. რასაკვირველია, ბრალი ცენტრსაც მიუძღვის, მაგრამ მთელი ბრალდების ცენტრზე გადატანა სწორი არ არის. ადგილებზე წარმოებულ მშენებლობის მთავარი ნაკლი არის უგეგმობა, უმომჭირნეობა, დაუკვირვებლობა. ამით აიხსნება აურაცხელი შეცდომები ჩვენს მშენებლობაში. ადგილობრივ მუშაკებს ჯერ კიდევ საკმაოდ გათვალისწინებული არა აქვთ შახტის გაკვეთილი. ისინი მეტისმეტი ნდობით ეკიდებიან იმ გეგმებს, რომელიც ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლად მუშავდება იშვიათი კრიტიკული მიდგომა ამა თუ იმ გეგმებისადმი; ხშირად არ ითვალისწინებენ, შეეფერება თუ არა გეგმა ჩვენს შესაძლებლობას და ჩვენს საჭიროებას. სანიმუშოდ კმარა ბორჯომის საკასრე ქარხანა. ამ ქარხნის აგებაზე დიდი ძალი თანხა დაიხარჯა. ეხლა ირკვევა, რომ ნედლი მასალით ეს ქარხანა უზრუნველყოფილია მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხატყეო აგარაკებში სავსებით გაჩეხილი იქნება ფიჭვოვანი ხის ჯგუფები. ეს კი ნიშნავს საკურორტო მნიშვნელობის ტყეების განადგურებას და ჩვენი კურორტების საშინელ დაზარალებას.

შემდეგ ამხ. ფილიპე მახარაძე უფრო ვრცლად ეხება ტყის დაცვის უნუგეშო მდგომარეობას. ტყეებს სჩეხს ყველა, ვისაც არ ეზარება. ტყეებს სჩეხენ საამშენებლო მასალის, ყავრის, შეშის დასამზადებლად. თემაღმასკომები მათთვის გადაცემულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებს სჩეხენ დაუზოგავად იმ იმედით, რომ მათ შემდეგ გადაეცემათ სხვა ნაჭრები. ასეთივე დაუზოგველობით ანადგურებენ ტყეებს დამამზადებელი ორგანიზაციები. თუ ამას ბოლო არ მოეღო, დიდი უბედურება მოგველის. რაც შეიძლება უნდა გავუფრთხილდეთ ამ ტყის მეურნეობას. შეშის მაგივრად ვიხმაროთ სხვა სათბობი, ყავრის ნაცვლად კრამიტი, საამშენებლო მასალად ქვა და აგური, რომელიც ყველა კუთხეებში უხვად მოიპოვება.

ამხ. მ. ტოროშელიძე

(ცეკავშირი)

ორატორი ეხება სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობას ადგილებზე და ამბობს, რომ საპაიო თანხის შეგროვება ყველგან თანაბრად არ სწარმოებს. ეკონომიურად ჩამორჩენილ ლეჩხუმის მაზრას უფრო მეტი აქვს შეგროვილი საპაიო თანხა თვითეულ წევრზე, ვიდრე შედარებით უფრო დაწინაურებულ შორაპნისა და სიღნაღის მაზრებს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს კვალიფიციური ძალების სიმცირეს სამეურნეო ორგანიზაციებში და კერძოდ კოოპერაციაში და საჭიროდ სცნობს ძირითადათ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაკების მომზადებას სპეციალური კურსების საშუალებით.

ამხ. ს. ჯუღელი

ეხება სამრეწველო მშენებლობას და ხაზს უსვამს სრულ უგეგმობას ამ დარგში. ჩვეულებრივ ჩვენში ქარხნების აგება იწყება ისე, რომ მას არ უძღვის იმ რაიონების ეკონომიური გამოკვლევა, სადაც ქარხანა შენდება. მაგ. გორის მაზრამ მოითხოვა სამი ხილის სახმობი ქარხნის აგება. გადაწყდა, რომ მაზრაში აგებულიყო მხოლოდ ორი ასეთი ქარხანა, მესამე კი ახალქალაქის მაზრაში. მხოლოდ ქარხნების დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ გორის მაზრაში ხილის მარაგი კმარა მხოლოდ ორი ქარხნის დასატვირთავად. ასე დაუკვირვებლად აშენდა გურიაში და ზუგდიდში თხილის სარჩევი ქარხნები. ეხლა ირკვევა, რომ ჩვენთვის უფრო სასარგებლო იყო გაურჩეველი თხილის გატანა, ვიდრე გარჩეულის, რადგან თხილის გარჩევა და მისი ექსპორტი უფრო ძვირი ჯდება. სენაკ-ზუგდიდის მაზრასათვის სავსებით საკმარისი იყო ერთი აგურ-კრამიტის ქარხანა. ამას ანგარიში არ გაუწია სენაკის მაზრამ და ააგო თავისი საკუთარი აგურის ქარხანა. ვერც ერთი ამ ქარხანათაგანი ვერ იმუშავებს სრული დატვირთვით და მაშასადამე არც მომგებიანი იქნება. ასეთივე მდგომარეობაა სახერხ ქარხნების მშენებლობაში. სახერხ ქარხნებს აგებს ყველა: ტრესტი, აღმასკომები, გლეხკომები და სხვ. ეს რომ დაუშვებელი შეცდომაა, ამას მოწმობს ახალციხის მაგალითი. ხატყეო ტრესტს აქვს ხე-ტყის დიდი ქარხანა. რომელსაც შეუძლია დაამუშაოს მილიონი კუბიკური ფუტი ხე-ტყის მასალა. ეს მასალა სავსებით საკმაოა მთელი რაიონის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, ამავე რაიონში ხე-ტყის ქარხნები ააგეს ახალციხის და ახალქალაქის აღმასკომებმა, გლეხკომებმა, ქარხანა მოეწყო ბორჯომში და სხვა. შედეგი ის არის, რომ ახალციხის ქარხანა სრული დატვირთვით არ მუშაობს და ამის გამო ზარალობს. რა საჭირო იყო ხე-ტყის ქარხნების აგება სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, როცა შენდება შამგონის გრანდიოზული ქარხანა.

შემდეგ ამხ. ჯუღელი ეხება მაზრების გაერთიანების საკითხს და ასაბუთებს მის მიზანშეწონილობას. უპასუხებს რა ამხ. ჭელიძეს, სამაზრო აღმასკომების მიერ მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემის დაგვიანებას, ამხ. ჯუღელი ხსნის იმ გარემოებით, რომ მაზრები (დეფიციტიანი ბიუჯეტებით) დროზე ვერ ღებულობენ დოტაციას, რაც იწვევს ჯამაგირების დაგვიანებას.

ამხ. კუჭაიძე

(ჯანსახკომი)

გადაჭრით უარყოფს ზოგიერთი მომხსენებლის ბრალდებას თითქოს ჯანსახკომი არ აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნილებას ექიმებზე. ჯანსახკომი მათ უგზავნის ექიმებს, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ მათ ბიუჯეტში შეტანილი არა აქვთ საამისო ხარჯები, მათ შენახვაზე უარს აცხადებენ. რენტგენისა და დისპანსერების გახსნა ამხ. კუჭაიძეს ზედმეტად მიაჩნია იქ, სადაც ჯერ საავადმყოფოები და საექიმო პუნქტები არ არის მოწყობილი. წამლების სიძვირე ჯანსახკომის ბრალი არ არის, რადგან წამლებზე არსებობს საკავშირო ორგანიზაციების მიერ გამომუშავებული ტარიფი, რომელიც ყველა ადგილებზე ვრცელდება. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საექიმო პუნქტების მდგომარეობა მეტ წილად ძალიან ცუდია. პუნქტებს არ გააჩნიათ ერთ ოთახზე მეტი. ამ ერთ ოთახში ექიმიც კიდეც ცხოვრობს და ავადმყოფებსაც ღებულობს. პუნქტები მოუწყობელია სათანადო საექიმო ინსტრუმენტებით და იარაღებით. ექიმებს მისვლა-მოსვლისათვის ყველგან არ ყავთ ცხენები და სხვ. ბრძოლა მალარიასთან მიმდინარე წელს უფრო გაძლიერებულია. საქართველო წელს მიიღებს 8.500 კილოგრამ ქინაქინს. იმუშავებს 8 დისპანსერი და რამოდენიმე სამალარიო სადგური.

ამხ. არ რუხაძე

(ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო)

ორატორი სტატისტიკის ნაკლულოვანებებს ხსნის ობიექტიური მიზეზებით, სტატისტიკას ვერ ხმარდება საკმარისი თანხები. თვით სტატისტიკური მუშაობის მეთოდები ყველა დარგებისთვის ჯერ გამორკვეული არ არის. მაგ სოფლის დიფერენციაციის გამოსარკვევად არ არსებობს გარკვეული მეთოდი, თუ ვინ ჩაითვალოს ღარიბ გლეხათ, ვინ საშუალოდ და ვინ შეძლებულად. ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები უზრუნველყოფილი არ არიან მომზადებული კვალიფიციური ძალებით. ხშირად იქ მუშაობენ სრულიად შეუფერებელი ძალებით.

ამხ. ნაფეტვარიძე

(სოფლის კავშირი)

მომხსენებლები არ შეხებიან სასოფლო-კოოპერაციის მდგომარეობას. მხოლოდ აღნიშნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელი სათანადოთ არ ფართოვდება. ამას თავის გასამართლებელი მიზეზები აქვს. ყოველი ახალი წერტილის მოწყობა იწვევს დიდძალ ხარჯებს. სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი მარტოდ თავისი საშუალებით უძლურია ყველა ადგილებში მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ორგანიზაციები. მას აუცილებლად ესაჭიროება ადგილების დახმარება, ყოველ ახალ ორგანიზაციას აუცილებლად საფუძვლად უნდა დაედოს საკუთარი თანხა. აღმასკომებმა უნდა გააძლიერონ ამ მხრივ მუშაობა ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, რაც შეეხება ცენტრის ხელმძღვანელობას, იგი თანდათან უმჯობესდება. სოფლის კავშირს ამჟამად ყავს ინსტრუქტორთა საკმაო შტატი, ასე რომ ყოველ ათ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობაზე მოდის ერთი ინსტრუქტორი. შემდეგ ორატორი ეხება საძოვრების განაწილების კრიზისს და საჭიროდ სცნობს, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ, რომელიც აერთიანებს მესაქონლეთა კოოპერატიულ ორგანიზაციებს, მონაწილეობა მიიღოს საძოვრების საკითხის მოწესრიგებაში.

გუშინ საღამოს სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღო საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ქართველიშვილმა, რომლის სიტყვასაც მოვათავსებთ ხვალის ნომერში.

—:—

შეცდომის გასწორება

ფოთის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლომთათიძის მოხსენების ანგარიშში („კომ.“ გუშინდ. №) ერთი წინადადება სისწორით არ გამოხატავს მომხსენებლის აზრს. სწერია, თითქოს ფოთს „არ ესაჭიროება იმდენი სკოლები და სამკურნალო დაწესებულებები, რომელთაც იგი ინახავს“.

მომხსენებლის აზრით, სკოლების და სამკურნ. დაწესებულებების არსებული ქსელი ფოთისთვის აუცილებელია, მაგრამ რამდენადაც იგი ემსახურება ფოთის მოსაზღვრე მაზრების (ოზურგეთის და სენაკის) მოსახლეობას, საჭიროა იმ დაწესებულებებს გაუწიონ დახმარება.

საბჭოთა კავშირში

ნაოსნობა დუნაიზე

მოსკოვი, 6 ივნისი. გერმანიის გაზეთების ცნობით, ამჟამად პრესბურგში (ჩეხო-სლოვაკია) ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლებთან ერთად იხილავს საკითხს დუნაიზე ნაოსნობის მოწყობის შესახებ საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ნავსადგურებსა და ცენტრალურ ევროპას შორის. ამ გზით ჩეხო-სლოვაკიიდან უკვე გაიგზავნა კავკასიაში 18.000 ტონა ნავთსადენის მილები (ადს).

რუსეთის სანაოსნო-სავაჭრო საზოგადოების გემების გაყიდვა

ოდესა, 6 ივნისი. მიღებულია ცნობები რომ რუსეთის სანაოსნო-სავაჭრო საზოგადოება ჰყიდის თეთრგვარდიელების მიერ მარსელში წაყვანილ ფლოტს. უკვე გაყიდულია 6 გემი. მეზღვაურებს, რომლებიც გაყიდულ გემებზე მსახურობენ, დღემდე არ მიუღიათ ჯამაგირი, რის გამო ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან (ადს).

კომკავშირის საზაფხულო მუშაობა

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო ახალგ. ლენინური კავშირის ცეკამ წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს საზაფხულო პერიოდი ფართოდ გამოიყენონ მასების აქტიური მონაწილეობისათვის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობასა და წითელი არმიის საზაფხულო სწავლებაში. იმ ადგილებში, სადაც უნდა ჩატარდეს ჯარების მანევრები, კომკავშირმა თავდაცვა-ავიაქიმთან ერთად უნდა შექმნას დროებითი სამხედრო ნაწილები, და სანიტარების სპეციალური რაზმები მანევრებში მონაწილეობის მისაღებად. აუცილებელია მოეწყოს ახალგაზრდათა ხშირი მისვლა ჯარების ბანაკში, რათა ისინი გაეცნონ წითელი არმიის ცხოვრებას, ყოფა-ცხოვრებას და სამხედრო მზადებას. ცეკა საჭიროდ სთვლის, რომ მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში მოეწყოს ახალგაზრდათა დამოუკიდებელი ლაშქრობანი, მინდვრად გასვლა, დაზვერვა და სხ.

რკინის გზელთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 6 ივნისი. 4 ივნისს დაიხურა რკინისგზელთა საკავშირო ყრილობა.

საბოლოო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი ამხ. ვოროშილოვი.

5 ივნისს შესდგა რკინისგზელთა ახლად არჩეულ ცეკას პლენუმი. კავშირის ცეკას თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ამოსოვი (ადს).

ნავთის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

მოსკოვი, 6 ივნისი. 5 ივნისს „გლავგორტოპმა“ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს თათბირს წარუდგინა ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი განვითარების გეგმა. გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს ნავთის ექსპორტის მაქსიმალურად განვითარებას და მისი რენტაბელობის გადიდებას ახალი ქარხნების აგებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბენზინის დამუშავების გადიდებას. ნავთის ამოღება 1931—32 წელში 1926—27 წელთან შედარებით გადიდებულ იქნება 73,7 პროცენტით. ნავთის ამოღების რაოდენობა თითო მშრომელზე ხუთ წლის განმავლობაში გადიდებულ იქნება 65 პროცენტით. სამუშაო ხელფასი ამ პერიოდის განმავლობაში მომატებულ იქნება 24 პროცენტით. კაპიტალური ხარჯების საერთო თანხა 1928—29 წლიდან 1932—33 წლამდე შეადგენს 1.473.000.000 მანეთს (ადს).

დიდი თეატრის გამოკვლევა დასრულდა

მოსკოვი, 6 ივნისი. დაასრულა მუშაობა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დაარსებული იყო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დიდი თეატრის გამოსაკვლევად. დადასტურდა, რომ დიდი თეატრი განიცდის შინაგან სამხატვრო-იდეოლოგიურ კრიზისს, რამაც ხანგრძლივი ხასიათი მიიღო იმის გამო, რომ თეატრი მოკლებული იყო სახალხო კომისარიატისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის საჭირო ხელმძღვანელობას. კომისიამ აუცილებელ საჭიროებად აღიარა დიდი თეატრის გამგეობის ძირითადი რეორგანიზაცია, ახალი დირიჟორების, რეჟისორების და არტისტიული ძალების მოწვევა და თავის უხეშობით და ანტისემიტობით განთქმულ დირიჟორ გოლოვანოვის მოხსნა დიდ თეატრში მუშაობიდან.

ავტომობილების დაჯახება

ზაპოროჟიე, 6 ივნისი. 4 ივნისს საღამოს დნეპროსტროის და კიჩკასის სარკინიგზო ხიდის შორის „ავტოპრომტორგის“ ავტობუსი დაეჯახა მსუბუქ მანქანას, რომელიც სრულიად დაიმსხვრა. დაჯახების დროს მოკლულია სამი მგზავრი, დაიჭრა ცხრამეტი, აქედან ოთხი მძიმედ. დაჭრილები დაუყოვნებლივ მიიყვანეს დნეპროსტროის საავადმყოფოში. კატასტროფის ადგილზე გაემგზავრნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. შექმნილია კომისია კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად. ავტობუსის შოფერი დაპატიმრებულია (ადს).

მოლა და ხანძარი

ვიატკა, 6 ივნისი. სოფელ ვერხნე ჩეტაიში 18 ვერსის მანძილზე ქალაქ მალმიჟიდან, ხანძარმა გაანადგურა 120 მოსახლე. სოფელი დასახლებულია თათრებით. ამ ცოტა ხნის წინად სოფელში გაჩნდა ხანძარი. ენერგიული ზომებით გლეხებმა ხანძარი ჩააქრეს, მაგრამ მოლამ შესძლო დაერწმუნებია მოსახლეობა, რომ ხანძარი ჩაქრა მისი ლოცვის მეოხებით. რამოდენიმე დღის შემდეგ ხანძარი მეორედ გაჩნდა. მოსახლეობამ მოლას ლოცვის იმედით ცეცხლს ენერგიული წინააღმდეგობა აღარ გაუწია, რის გამოც ხანძარი მალე გავრცელდა და გაანადგურა 120 მოსახლე. სხვათა შორის დაიწვა მეჩეთი და მოლას სახლი. ზარალი დიდია.

დედამიწის გარშემო მოგზაურობის მოგება

მოსკოვი, 6 ივნისი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში გამოცხადდა ლისენკო, ტვერის გუბერნიის სოფელ კუზნეცოვის მუშათა კოოპერატივის თანამშრომელი და წარმოადგინა ობლიგაცია, რომელსაც ხვდა დედამიწის გარშემო მოგზაურობის მოგება (ადს).

მოსკოვის პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

მ. გორკის პატივსაცემად

მოსკოვი, 6 ივნისი. 5 ივნისს საღამოს შესდგა მოსკოვის პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი გორკის პატივსაცემად.

გორკის როლი 1905 წლის რევოლიუციის კადრების აღზრდის საქმეში დაახასიათა ამხ. ტომსკიმ.

„მაშინ ჩვენ, ახალგაზრდა რევოლიუციონერები—სთქვა ამხ. ტომსკიმ—ვიზრდებოდით არა მარტო მარქსისტულ ლიტერატურაზე. არამედ აგრეთვე გორკის მხატვრულ ნაწარმოებებზედაც. გორკი ძვირფასია ჩვენთვის იმიტომ, რომ ისიც, როგორც ჩვენ აღიზარდა მუშათა ოჯახში, იმიტომ, რომ რევოლიუციის დროებითი მარცხის დროს მას არასოდეს სერიოზულად და დიდ ხნით არ დაუტოვებივართ. ჩვენი სურვილია, რომ გორკი დარჩეს საბჭოთა კავშირში და დაგვეხმაროს აღმშენებლობაში. მაგრამ თუ მისი ჯანმრთელობისათვის უმჯობესია, რომ ის უცხოეთში სცხოვრობდეს, ჩვენ არ გვეწყინება, თუ ის წავა. ჩვენ ვიცით, რომ სადაც არ უნდა იყოს გორკი, ის ყველგან ჩვენთან იქნება და დარჩება მუშათა კლასის შვილად“.

ამხ. ტომსკის შემდეგ გამოვიდნენ ცალკე პროფკავშირების, ფაბრიკების და ქარხნების წარმომადგენლები, რომლებმაც გადასცეს გორკის მისალმებები და და უძღვნეს სხვადასხვა საჩუქრები.

საპასუხო სიტყვაში გორკიმ აღნიშნა სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევები საბჭოთა კავშირში (ადს).

—:—

მ. გორკი „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა“-ს მუშებს შორის

მოსკოვი, 6 ივნისი. 5 ივნისს გორკიმ დაათვალიერა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა“-ს ფაბრიკა, სადაც ჩამოიარა საამქროები და გაეცნო წარმოებას. საამქროებში მუშები და მუშ ქალები მეგობრულად ესალმებოდნენ გორკის.

დასვენების დროს ღია ცის ქვეშ შესდგა მიტინგი. მუშები და მუშა ქალები ტაშით და „ურა“-ს ძახილით შეხვდნენ გორკის.

მუშა ქალმა შაგინმა 7.500 მუშის და მუშა ქალის სახელით სთხოვა გორკის, რომ ის აღარ დაბრუნდეს იტალიაში.

შემდეგ გამოვიდნენ მუშები და ქარხნის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და წრეების წარმომადგენლები.

მისალმებათა საპასუხოდ გორკიმ სთქვა:

„ის, რაც კეთდება ეხლა რუსეთში, არსად არ არის და არასოდეს არ ყოფილა. ამის გამოსახატავად საჭიროა განსაკუთრებით ძლიერი სიტყვები... მე არ ვიცი ასეთი სიტყვები. არაფრის თქმა არ შემიძლია... იყავით კარგად ამხანაგებო, იცხოვრეთ მეგობრულად. იმ საქმეს, რომელსაც თქვენ აკეთებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს“ (ადს).

კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 6 ივნისი. 5 ივნისს შესდგა კოლმეურნეობათა ყრილობის საბოლოო სხდომა.

ყრილობის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ოდინცოვმა გამოაქვეყნა ამხ. კრუპსკაიას წერილი ამხ. კრუპსკაია განათლების მუშაკთა სახელით აღუთქვამს კოლმეურნეობებს ყოველმხრივ დახმარებას მათ კულტურულ მუშაობაში.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს შახტის კონტრ-რევოლიუციონერების სასტიკად დასჯას; რეზოლიუციები მიღებულ იქნა აგრეთვე ყველა მოხსენებების გამო.

დასასრულ არჩეულ იქნა კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო საბჭო, რომელშიაც შევიდნენ: თავმჯდომარედ ამხ. კამინსკი, წევრებად—ამხ. მილიუტოვი, იაკოვლევი, კუბიაკი, კლიმენკო, ბაუმანი, მილიუტინი, ანცელოვიჩი, ბოიცენკო, ოდინცოვი და ულიხი, და აგრეთვე ნაციონალური რესპუბლიკების და აქვედა საფეხურის ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოში შედის 47 წევრი და 27 კანდიდატი (ადს).

ფრანც იოსების მიწა—საბჭოთა ტერიტორიაა

მოსკოვი, 6 ივნისი. იმ ცნობებთან დაკავშირებით, თითქოს ნობილე დაეშვა ფრანც-იოსების მიწაზე, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ სთხოვა საბჭოთა კავშირის მეცნიერებს ცნობები ამ შორეული არქიპელაგის შესახებ.

პროფესორები სამოილოვიჩი, რისოლიმო, ბერგი და ვიზე ამტკიცებენ, რომ ეს არქიპელაგი საბჭოთა ტერიტორიაა და რომ საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებები ღებულობენ ზომებს არქიპელაგზე სამეცნიერო ბაზის მოსაწყობად და რაიონის შესასწავლად.

ლენინგრადის გეოფიზიკური ობსერვატორიის უფროსმა ფიზიკოსმა ვიზემ განაცხადა:

„1926 წლის 15 აპრილს საბჭოთა კავშირის ცაკმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმად, ყველა ის მიწები, რომლებიც მდებარეობს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში საბჭოთა კავშირის სანაპიროების ჩრდილოეთით (ჩრდილოეთ პოლიუსამდე), წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას“.

საბჭოთა კავშირის ცაკის 1926 წლის 15 აპრილის დადგენილება თავის დროზე ეცნობა ყველა იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ისტორიული სახლი

ქუთაისი, 5 ივნისი. ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა ქუთაისის აღმასკომში აღძრა შუამდგომლობა, რომ მიღებულ იქნას ზომები ქუთაისში ცნობილ სოლომონ ლუღაძის სახლის დასაცავად, რომელიც მდებარეობს ყოფილ ლუღაძეების მოედანზე. ამ სახლში 1905 წლიდან არალეგალური მუშაობას ეწეოდა ქუთაისის რევოლიუციონური ჯგუფი, რომლის ბევრ წევრებს ამჟამათ უკავიათ საპასუხისმგებლო საბჭოთა და პარტიული პოსტები. ამ სახლში მოწყობილი იყო არალეგალური სტამბა, იმართებოდა ფარული კრებები და თათბირები. ქუთაისის მუზეუმი შუამდგომლობს, რომ ამ სახლში გაიხსნას რაიმე კულტურული დაწესებულება (ადს).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟის გამო ქუთაისში.

ქუთაისი, 5 ივნისი. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟის მოახლოების გამო გაიზარდა მოთხოვნილება სესხის ობლიგაციებზე. ადგილებზე დაგზავნილია ფურცლები სესხის მნიშვნელობის შესახებ—რუსულ და ქართულ ენაზე. ქალაქის ერთერთ კინო-თეატრში მოეწყობა შუქის გაზეთი, რომელიც მიძღვნილი იქნება მომავალ ტირაჟისადმი. ქუთაისში ტირაჟის დროს გაიხსნება სპეციალური კიოსკები ობლიგაციების გასაყიდად, მოგებათა გადასახდელად და ცნობების გასაცემად. (ადს).

სამხრეთ-ოსეთის გლეხკორთა კონფერენცია

ცხინვალი, 5 ივნისი. დამთავრდა სამხრეთ-ოსეთის გაზეთის „ხურზარინი“-ს გლეხკორთა მეორე საოლქო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 70-ზე მეტი დელეგატი. კონფერენციაზე განსაკუთრებით გაცხოველებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია საკითხმა „პრესა როგორც თვითკრიტიკის იარაღი“. გლეხკორები აღნიშნავდენ, რომ მათ ხშირად სდევნიან მამხილებელი მუშაობისათვის.

კონფერენციამ დაადგინა გაძლიერებულ იქნას კედლის გაზეთების მუშაობა ადგილებზე, ფართოდ მოეწყოს გლეხკორთა წრეები, და ქალები ჩაბმულ იქნან გლეხკორთა მუშაობაში. კონფერენციამ აირჩია სამხრეთ-ოსეთის გლეხკორთა ბიურო. დამყარებულ იქნა კონტაქტი სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან (ადს).

აზერბეიჯანი

სრულიად საკავშირო ყრილობა უშიშროების ტეხნიკის საკითხებზე

ბაქო, 6 ივნისი. 5 ივნისს გაიხსნა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა უშიშროების ტეხნიკის, სამრეწველო სანიტარიისა და პროფჰიგიენის საკითხებზე ნავთის მრეწველობაში.

ყრილობის დღის წესრიგშია: მოხსენება უშიშროების ტეხნიკის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობაში და მთავრობის და შინასამეურნეო ზედამხედველობის უახლოესი ამოცანების შესახებ მუშაობის უშიშროების საქმეში; მოხსენება უშიშროების ტეხნიკის მდგომარეობის შესახებ ნავთის მრეწველობაში და ამ ტეხნიკის გაუმჯობესების საშუალებები უახლოეს ხუთწლედში; მოხსენება პროფსანიტარიის მდგომარეობის შესახებ ნავთის მრეწველობაში, პროფესიონალურ მოწამვლათა და სხვ. შესახებ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს შრომის სახალხო კომისარიატის, ნავთის ტრესტების და მეშაღაროეთა პროფკავშირის 150 წარმომადგენელი.

ყრილობის პირველი სხდომა მოუნდა მრავალრიცხოვან მისალმებათა მოსმენას. ყრილობა დაახლოებით ერთ კვირას გაგრძელდება. ყრილობის მონაწილენი დაათვალიერებენ აზნავთის წარმოებებს იმ მიზნით, რათა გაეცნონ შრომის დაცვის და უშიშროების ტეხნიკის მდგომარეობას ბაქოს ნავთის მრეწველობაში (ადს).

აზერბეიჯანის პირველი აგრონომიული კონფერენცია

განჯა, 6 ივნისი. საანგარიშო მოხსენებით აზერბეიჯანის აგრონსექციის შესახებ გამოვიდა ამხ. პალად-ზადე. სექცია აერთიანებს 225 აგრონომს. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 19 დელეგატმა, რომელთაც უმთავრესად აღნიშნეს ცენტრალური ბიუროს სუსტი მუშაობა ადგილებზე ხელმძღვანელობის დარგში. ბევრი აღნიშნავდა, რომ სრულებით არ სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა; სამეურნეო მუშაკები და ზოგი ძველი სპეციალისტი-აგრონომები ცუდად ეპყრობიან სტაჟის მქონეთ და პრაქტიკანტებს. ორი დღის მუშაობის შემდეგ აგრონომთა ყრილობა დაიხურა. სექციის ახალ ბიუროში არჩეულ არიან: პალად-ზადე, პონომარიოვი და ვასილევსკი.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო აგიტ-პროპთათბირი

მოსკოვი, 6 ივნისი. სრულიად საკავშირო აგიტპროპთათბირმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა დაამუშაოს საკითხი ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ თვითკრიტიკის ლოზუნგთან დაკავშირებით. უკვე შესდგა ამ კომისიის თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 70 კაცმა, მათ შორის გაზეთების წარმომადგენლებმა, ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სასამართლო ორგანოების მუშაკებმა.

ამხ. ინგულოვი გამოვიდა მოხსენებით, რომელშიაც ჯამი გაუკეთა თვითკრიტიკის პირველ ეტაპს და დასახა ბეჭდვითი სიტყვის მორიგი ამოცანები თვითკრიტიკის შემდგომი გაფართოებისა და მასში ფართო მასების ჩაბმისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი შეცდომები, როცა კრიტიკა იქცევა თვით მიზნად, ხოლო მეორეს მხრივ, როცა კრიტიკის როლს საკმაოდ ვერ აფასებენ და როცა პარტორგანოები არ ეხმარებიან პრესას მის მუშაობაში.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი. ადგილობრივ გაზეთების რედაქტორები შეეხენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ცნობების შეთანხმება, წინასწარი შემოწმება, ადგილობრივი გაზეთის ურთიერთობა პარტკომთან, აღმასკომთან და პროფკავშირებთან, კრიტიკის ობიექტები, რედაქტორების პასუხისმგებლობა და სხვ. (ადს).

ნებაყოფლობით საზოგად. გამოცოცხლებისათვის

(თბილისის კომიტეტის დადგენილების გამო)

ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მუშაობის მთელ სისტემაში, რომელიც პარტიას აკავშირებს და აახლოებს მშრომელთა ფართო მასებთან. მაგრამ ქვედა საფეხურის პარტიული, კომკავშირთა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეითვისეს ეს აზრი.

პარტკომების განკარგულებაში მყოფი მასალები მოწმობს, რომ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად მუშაობის ამ დარგში გვაქვს დიდი ნაკლულოვანებებიც.

უკანასკნელი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაციების (საშეფო საზოგადოებანი, თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება და რომედსი) პოპულიარობა და გამოცოცხლდა მათი მუშაობა.

მაგრამ არსებობს ამის საწინააღმდეგო მოვლენაც: „ბავშვის მეგობარი“, „წერკუმსი“ და სხ. საზოგადოებანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. წარმოებათა და დაწესებულებათა უმეტეს ნაწილში მათი უჯრედები სავსებით დაიშალა, ხოლო დარჩენილი უჯრედების მუშაობა შესუსტდა და ისინი მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებიან. აქედან წარმოიშვა მასების პესიმისტური განწყობილება ამ ორგანიზაციებისადმი და პარტხელმძღვანელობის სრული შეჩერება ადგილებზე. ჩვენ გვაქვს აგრეთვე ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქვედა საფეხურის პარტორგანიზ. ვითარდება სხვადასხვა საზოგადოებათა უჯრედების ლიკვიდაციის ან შეერთების ტენდენცია.

დიდ დეფექტს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ პროფორგანიზაციები გულგრილად ეპყრობიან ამ საზოგადოებებს, ხშირად უარს უცხადებენ სრულებით უმნიშვნელო დახმარებაზედაც კი. თბილისის კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობის გამოცოცხლებისათვის. ამავე დროს თბ. კომიტეტმა დაუშვებლად სცნო ნებაყოფლობითი საზოგადოებათა ლიკვიდაცია ან შეერთება, როგორიც მაგალითად, ბავშვთა მეგობრების საზოგადოების შეერთება წერკუმსთან.

იმ მიზნით, რომ მშრომელები ფართოდ იქნან ჩაბმული ნებაყოფლობითი საზოგადოებებში და გამოცოცხლდეს ამ საზოგადოებათა მუშაობა, მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად „წერკუმსი“, „ბავშვთა მეგობარი“, „წითელი ჯვარი“ და სხვა საზოგადოებანი გატანილ უნდა იქნან კლუბებში, წითელ კუთხეებში და საბინაო ამხანაგობებში. პარტხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით მუშავდება სპეციალური დირექტივები კომუჯრედებისათვის.

ამავე დროს აუცილებლად იქნა ცნობილი პროფორგანიზაციების ყურადღების გაძლიერება ადგილობრივ ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობის მიმართ.

ამ ღონისძიებათა გატარება პარტიულ, კომკავშირთა და პროფეს. მასების აქტიური დახმარებით უეჭველად უზრუნველჰყოფს ნებაყოფლობითი საზოგადოებათა ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლებას.

იაკოვლევი.

საპაიო კამპანია ა.-კ. სატრ. კოოპერაციაში

(ლენრაიონის უჯრ. მდივანთა თათბირი)

5 ივნისს შესდგა ლენინის რაიონის პარტუჯრედების მდივნებისა და ადგილკომების კომფრაქციის წარმომადგენელთა თათბირი. სადაც მოსმენილ იქნა ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების („ზაკტპო“-ს) გამგეობის თავმჯდომარის ამხ. აკიმოვის ინფორმაციული მოხსენება საპაიო კამპანიის ჩატარების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კამპანიის ჩასატარებლად, წარმოებაში უნდა გამოიყოს სამეულები, რომელთაც დაევალება „ზაკტპო“-ს ძველი წევრების აღრიცხვა და კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. ამას გარდა მსხვილ წარმოებებზე „ზაკტპო“-ს გამგეობა მიამაგრებს თითო ინსტრუქტორს, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კამპანიას. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

დასასრულ თათბირმა შეიმუშავა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი კამპანიის ჩასატარებლად.

ს. ი.

კომკავშირში

ცვლილებები ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტში

გუშინ შესდგა ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად მოისმინა ამხ. პერვუშინის მოხსენება უჯრედთა ბიუროების მომავალი გადარჩევის შესახებ.

— ეხლანდელი გადარჩევა—სთქვა ამხ. პერვუშინმა, მთლიანად უნდა მიმდინარეობდეს პარტიის და კომკავშირის უკანასკნელ ყრილობების და ადგილობრივი კონფერენციების დადგენილებათა განხორციელების ხაზით. კულტურული რევოლიუცია, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, მასიური მუშაობის გაძლიერება, მუშაობის ახალ მეთოდებსა და ფორმებზე გადასვლა, საკავშირო დატვირთვის თანაბარი განაწილება—აი ჩვენი უჯრედის ძირითადი ამოცანები მომავალ კამპანიაში.

ბიუროების გადარჩევა დაიწყება 10 ივლისიდან. არჩევნების დროს ადგილი არ უნდა ექნეს წინასწარ შედგენილი სიების წამოყენებას.

მეორე საკითხი—ინფორმაცია არსრაიონის გაუქმების შესახებ, პლენუმს გააცნო ამხ. სილაძემ. არსრაიონის უჯრედები—სთქვა მან, მიეკუთვნება სხვა რაიონებს ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით.

მესამე საკითხად პლენუმის დღის წესრიგში იდგა ცნობა რაიკომების პლენუმთა მუშაობის შესახებ. ამ საკითხზედ ამხ. პერვუშინმა აღნიშნა, რომ რაიკომების პლენუმები არ ეხებიან ჩვენი ორგანიზაციის სასიცოცხლო საკითხებს. მომავლისათვის აუცილებელია ამ ნაკლის გამოსწორება.

უკანასკნელად პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული ხასიათის საკითხი: ამხ. სილაძე და პერვუშინი განთავისუფლებულ იქნენ კომკავშირში მუშაობიდან. თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. აზარაშვილი, აგიტპროპგანყოფილების გამგედ—ამხ. ხარჩვანი, ეკონომგანყოფილების—ამხ. ხომასურიძე, სასკოლო განყოფილების—ამხ. ჯავახიშვილი.

ირან.

ერთგვარ „ქველმოქმედების“ წინააღმდეგ

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. ყველა სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებსა და წარმოებებს

ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელებმა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კატეგორიული დირექტივა საბიუჯეტო წესების მტკიცედ დაცვის შესახებ, უკანასკნელ ხანებში ფართოდ განავითარეს ხარჯთ-აღრიცხვით გაუთვალისწინებელი ანარიცხების გადადება თავისი ფონდებიდან სხვადასხვა ორგანიზაციების სასარგებლოდ შემოწირულებათა სუბსიდიების და სტიპენდიების სახით. ასეთი „ქველმოქმედება“ უმთავრესად აიხსნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის არასწორი მეთოდით, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავის მუშაობაში უნდა ემყარებოდნენ მხოლოდ მასების თვითმოქმედებას და კოლექტიურ დახმარებას, ძალიან ხშირად მიმართავენ თავისი წარმომადგენლების საშუალებით დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაჟინებითი თხოვნით, რათა აღმოუჩინონ ფულადი დახმარება ამა თუ იმ საქმის წამოწყებისათვის.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი სცნობს, რომ ასეთი მეთოდი სავსებით ეწინააღმდეგება აგრეთვე დირექტივას მომჭირნეობის რეჟიმისა და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებს, სავსებით შესწყვიტონ ამგვარი ანარიცხების გადადება, და ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ანარიცხებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში შეაქვს პირადი ქველმოქმედების ჩვეულება და ამის გამო იგი უარყოფით გავლენას ახდენს მათი მოქმედების შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებაზე. მუშათა და გლეხთა ინსპექცია აფრთხილებს, რომ ყველა ამგვარი ანარიცხები, რომლებიც გადადებულია სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯზე, უახლოეს ხანში იქნას დაფარული.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი

ნაზარეტიანი.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის შედეგები

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულმა საგაზაფხულო თესვის კამპანიის მსვლელობის შემოწმებამ გამოარკვია, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებამ მნიშვნელოვანი მიღწევები მოგვცა გამოცდილების დაგროვების, მუშაობაში გარკვეული გეგმიანობის შეტანის და ნაკლულოვანებათა გამომჟღავნების მხრივ, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალში გავაუმჯობესოთ თესვის საქმე. მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, მუშათა და გლეხთა ინსპექცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასურველია საგანგებო სამეულები დატოვებულ იქნას საშემოდგომო თესვის კამპანიისათვისაც და ეხლავე იქნას შემოწმებული: შედგენილი არის თუ არა ადგილობრივ თესვის კამპანიის გეგმები, და თუ შედგენილია, რამდენად მიზანშეწონილია ეს გეგმები. სასოფლო მეურნეობაზე გეგმიანი, ორგანიზაციული ზემოქმედების მიზნით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ დაახლოებით ივლისის შუა რიცხვებში თბილისში მოწვეულ იქნას ამ.-კავკ. აგრონომთა თათბირი და ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალოს ამ თათბირის მუშაობის პროგრამის შემუშავება. აუცილებლად იქნა აგრეთვე ცნობილი, რომ მიღებულ იქნას ენერგიული ზომები ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოების მუშაობაში შემჩნეული ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად, განისაზღვროს კანონმდებლობის წესით რაიონის და მაზრის სტატისტიკოსების უფლება-მოვალეობანი და დაევალოს ადგილობრივ ორგანოებს აღმოუჩინონ მათ აქტიური დახმარება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ წარსულმა საგაზაფხულო კამპანიამ კვლავ დაამტკიცა სასოფლო მეურნეობის დამოკიდებულება სტიქიურ მოვლენათაგან, აუცილებლად სცნო სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია და რადიკალური ზომების მიღება წყალდიდობასთან საბრძოლველად. აგრონომთა მომავალმა თათბირმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხებს. ამასთან ერთად მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტების მიწოდების საქმეში არსებულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად და სოფლისათვის სასოფლო სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიწოდების საქმის გასაუმჯობესებლად.

სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაული

ფიზკულტურა სკოლებში

ფიზიკური კულტურა სკოლებში უნდა შეადგენდეს მთელი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს. ეს მოთხოვნილება გამომდინარეობს იმ პრინციპებიდან, რომლებსაც ემყარება თანამედროვე სკოლა. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ობიექტიურ მიზეზების და ფიზკულტურის საკითხის მნიშვნელობის არაჯეროვნად შეფასების გამო, ეს საქმე პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში ვერაა დაყენებული სათანადოთ.

მიუხედავად იმ პრინციპების ჩამოყალიბებისა, რომლებზედაც უნდა აშენდეს ახალი სკოლა, მთელი რიგი ობიექტიური ცნობები მოწაფეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოწმობს, რომ ფიზიკურ კულტურას არ ექცევა საკმაო ყურადღება სკოლებში.

ფიზიკური კულტურის მრავალი სახეების ერთბაშათ გამოყენება საძნელოა, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო დეტალურად შეესწავლა ფიზიკური აღზრდის საქმის დაყენება 1 და მეორე საფეხურის სკოლებში, გამოერკვია ამ საქმის განვითარების შემაფერხებელი ყველა მიზეზი და ამის შემდეგ მიეღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

უკვე გადაწყდა შემოღებულ იქნეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები მე-2 საფეხურის სკოლების მე-8 და 9 ჯგუფებში და აგრეთვე პირველი საფეხურის იმ სკოლების 1, 2, 3 და 4 ჯგუფებში, სადაც წინად არ იყო ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები.

მაგრამ მარტო ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების რაოდენობის გადიდებით არ შეიძლება მოსწავლეთა ჯანსაღების პრობლემის გადაჭრა, საჭიროა გამოყენებულ იქნეს ბავშვების ფიზიკური აღზრდის სხვა ფორმებიც, რომლებსაც ჩვენ აქვე დავასახელებთ:

ფიზიკური ვარჯიშობის ფართოდ გამოყენება; მეცადინეობის ჰიგიენა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა (აქ შედის სასკოლო შენობების ჰიგიენა, დღის სწორი რეჟიმი, ტანსაცმლის, საცხოვრებელი ბინების ჰიგიენა და სხვ). ფიზიკური კულტურის ბუნებრივი ფაქტორების (მზე, წყალი, ჰაერი) ფართოდ გამოყენება; ბუნებრივ შრომით მეთოდის გამოყენება განათლების პროცესში; ექსკურსიების, სეირნობის და სხვ. ფართოდ გამოყენება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ფიზიკური კულტურა მხოლოდ მაშინ გახდება მთელი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო კომპლექსის განუყრელი ნაწილი, როცა მასწავლებლობის ფიზკულტურული მომზადება გატარდება.

ამჟამად კი, როცა საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაული იმართება, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა დაირაზმება ახალგაზრდა თაობის ფიზიკური ჯანსაღების საკითხის გარშემო, და მომავალში ყოველნაირად შეუწყობს ხელს ამ საქმის განმტკიცებას და გაძლიერებას, ვინაიდან ჩვენი მომავალი—ბავშვებია.

გ. გორგაძე.

ფიზკულტურა ბანაკად გასულ ნაწილებში

გასულ წელს 1-ლ დივიზია საუკეთესოდ მომზადებული გამოვიდა არმიის სასპორტო შეჯიბრზე. ამას ხელი შეუწყო, რა თქმა უნდა იმ გარემოებამ, რომ დივიზიას მაშინ ჰყავდა სპეციალური მომუშავე სპორტის დარგში—ამხ. გალაუნია.

წელს კი მდგომარეობა შეიცვალა: ამხ. გალაუნია გადაიყვანეს დივიზიიდან, მის ადგილას კი ჯერ-ჯერობით არავინაა დანიშნული, ცენტრიდანაც არ მიგვიღია სამუშაო გეგმა. მიუხედავათ ამისა, ნაწილები მაინც ენერგიულად ეკიდებიან სპორტის საქმეს.

რამდენიმე ხნის წინად მოწვეულ იქნა ბანაკად მდგომ ნაწილთა ფიზკულტურის ინსტრუქტორების და კლუბის უფროსების თათბირი, რომელმაც განიხილა ბევრი საინტერესო საკითხი და აირჩია ფიზკულტურის საბჭო.

საბჭომ გამოჰყო შეჯიბრების ჩამტარებელი კომისიები (მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში და სხვ) და დაარსა შეჯიბრთა კომიტეტი.

სპორტული მოედანი ჯერ-ჯერობით არ არის მოწყობილი, რაც ძლიერ აფერხებს სავარჯიშო შეჯიბრების ჩატარებას. დივიზიაში უნდა მოეწყოს სისროლო სპორტიც. ამ დარგში არ უნდა იქნეს დაშვებული გასულ წლის შეცდომები. (მუშაობის გვიან დაწყება, მსროლელების შეურჩევლობა და სხვ.).

ყოველგვარ სასპორტო შეჯიბრებში მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ, რაც შეიძლება მეტი წ. არმიელები და არა „შეყვანილი" პირები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შარშან. საჭიროა უკეთ იქნეს დაყენებული სასპორტო ლიტერატურის გავრცელების საქმე ნაწილებში, ჟურნალი „საბჭოთა ფიზკულტურა" ფართოდ უნდა გავრცელდეს წ. არმიელთა შორის და ჩვენმა სამხედრომ სისტემატიურად უნდა ითანამშრომლონ ამ ჟურნალში.

ა. ბებია.

დღესასწაულის ქრონიკა

სოხუმი—გორი

გუშინ, საღამოს ა.-კ. ქვეითი ჯარის სკოლის მოედანზე გამართა მორიგი შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე.

თამაშობდნენ სოხუმის და გორის გუნდები. შეჯიბრი დამთავრდა 5:2 სოხუმის სასარგებლოდ.

თბილისი—ფოთი

მეორე მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და ფოთის გუნდები. შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა. იგი კიდევ უფრო გაცხოველებით ჩატარდებოდა, რომ ტალახს არ შეეშალა ხელი.

შეჯიბრი დამთავრდა თბილისის გამარჯვებით 4:1.

ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში

ფრანგული ჭიდაობის შედეგები ასეთია: თორხაძემ (თბილისი) 10 წუთში დასცა ხუციშვილი (ქუთაისი); ლიხოვსკიმ (ბათომი) 3 წუთში და 45 წამში დასცა არსენიძე (ქუთაისი); აკოფოვმა (თბილისი) 12 წამში დასცა კეზერაძე (ქუთაისი); პილიპიამ (თბილისი) 2 წუთში და 35 წამში დასცა პოლიმატიდი (სოხუმი). პეპინაძემ (თბილისი) 4 წუთში და 20 წამში დასცა ველიჩკო (ბათომი).

სიმძიმეების აწევა

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყო ძალოსნების შეჯიბრი სიმძიმეების აწევაში. თბილისმა პირველ დღესვე დაამყარა ორი ზეწევი, რომელიც აღემატებოდა ამიერ-კავკასიის ზეწევებს. ორი ხელით აწევაში შემდეგი მიღწევებია: ძეკონსკიმ (ერთის წონა) ასწია 74 კილო, ვალიშვილმა (საშუალო წონა) ასწია 92 კილო და 20 გრამი; ზაუტაშვილმა (მსუბუქი წონა) ასწია 82 კილო და 200 გრამი, რაც წარმოადგენს საქართველოს ახალ ზეწევს.

ცილობა კალათბურთში

ცუდი ამინდის გამო კალათ-ბურთში შეჯიბრი გამართა სასპორტო დარბაზში. ცილობა აშკარავებს პროვინციის ზოგიერთი გუნდების კარგ მომზადებას და შეთანხმებულ თამაშს.

გუშინ, ქუთაისი ეთამაშა სოხუმს (ქალები). თამაში დამთავრდა 39:9 ქუთაისის სასარგებლოდ. თბილისის „სინათლე" ეთამაშა სიღნაღს (ვაჟები). თამაში დამთავრდა 82:15 თბილისის სასარგებლოდ. ბათომი ეთამაშა სოხუმს—(ვაჟები). თამაში დამთავრდა 35:15 ბათომის სასარგებლოდ. თბილისი („სინათლე") ეთამაშა გორს (ვაჟები), თამაში დამთავრდა 92:8, თბილისის სასარგებლოდ. სოხუმი ეთამაშა ქუთაისს (ვაჟები). თამაში დამთავრდა 25:60—ქუთაისის სასარგებლოდ. ბათომი ეთამაშა სიღნაღს (ვაჟები). თამაში დამთავრდა 66:19—ბათომის სასარგებლოდ.

ფიზკულტურა ეკრანზე

სახკინმრეწვი იღებს სრულად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულის თვალსაჩინო შეჯიბრებს. ახლო ხანში სურათი ნაჩვენები იქნება თბილისის ყველა კინოებში.

კრივი

დღეს, დილის 8 საათიდან ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში იქნება ცილობა კრივში.

—:—

დღეს, 7 ივნისს შესდგება შეჯიბრი ძლეოსნობაში, კომპლექსში, ძალოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ჩოგბურთში, სროლაში და ხიშტით ფარიკაობაში. აგრეთვე მოხდება კალათბურთის შემდეგ გუნდთა ცილობა; ბათომი—ქუთაისი (ქალთა), თბილისი—სოხუმი (ქალთა), ბათომი—ქუთაისი (ვაჟთა), თბილისი—სოხუმი (ვაჟთა).

მუშათა ცხოვრება

პასუხისმგებლობის უპასუხისმგებლობა

ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელების მიერ შრომის კანონების დარღვევა და უმიზეზოთ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან მოხსნას ბოლო არ ეღება. იქმნება აუარებელი კონფლიქტები, იწყება დავა პროფკავშირებს და ადმინისტრაციას შორის და სხვა. კონფლიქტების ნაწილი გადადის შრომის სასამართლოში, ნაწილი კი შრომის კომისარიატში.

ხშირად ეს პროცესები მიმდინარეობს წლობით, იხარჯება უამრავი დრო და ფული და იტვირთებიან სასამართლოები. დასკვნა კი ხშირად ასეთია, რომ სამუშაოდან უკანონოდ მოხსნილი მუშა, სასამართლოს დადგენილებით იღებს წლების განაცდენ ხელფასს და ბრუნდება სამსახურში. ამას ამტკიცებს შრომის სასამართლოს ოქმები.

რაც შეეხება შრომის კომისარიატთან არსებულ შემრიგებელ კომისიებს, იქაც საქმის დიდი უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ წყდება. აქედან ჩანს, რომ უთანხმოების დიდი უმრავლესობა, შექმნილია ადმინისტრაციის მიერ ხელოვნურად, ან გაუგებრობით, რასაც დიდი ზარალი მოაქვს წარმოებისათვის. მუშისათვისაც სრულიადაც არ არის ხელსაყრელი, რომ მან დიდი ხნობით სდიოს საქმის გარჩევას, გაცდინოს თვეები, წლები და მერე კი განაცდენი მიიღოს ერთად. მას უნდა დამშვიდებული შრომა, რომ მის მუშაობას უფრო ნაყოფი ჰქონდეს. ამის საშუალებას კი ზოგიერთი ადმინისტრაცია არ ეძლევს მუშას.

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებიდან სამუშაოდან უმიზეზოთ მოხსნეს თანამშრომელი ელენტი. დათხოვნილმა აღძრა ძიება შრომის სასამართლოში, სადაც საქმე თანამშრომლის სასარგებლოდ გადაწყდა: ადმინისტრაციამ საქმე გადაიტანა უზენაეს სასამართლოში. თანამშრომელმა აქაც მოიგო და გამოიტანა 1200 მანეთის ღირებულების ფურცელი განაცდენი 10 თვის ხელფასის ანაზღაურებლად. ბოლოს კიდევ მორიგებით თანამშრომელმა მიიღო 900 მანეთი.

სასტუმრო „პალასში" ბუხჰალტრის თანაშემწედ მუშაობდა კანდელაკი, რომელმაც საჩივარი აღძრა კვირა უქმე დღეებში მუშაობის გასამრჯელოს მიღებაზე. სასტუმროს გამგემ, სვანიძემ ამის თაობაზე არ მიაქცია ყურადღება, რადგან მისივე სიტყვით ზედმეტი სამუშაოს თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს მოქ. კანდელაკი აღმასრულებელი ფურცლით ესტუმროს არა სვანიძეს, არამედ აღმასკომის პრეზიდიუმს.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა სამსახურიდან მოხსნა ვინმე მებუკე. ამის გამო მებუკემ აღძრა ძიება შრომის სასამართლოში, სადაც როგორც გავიგეთ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილია და აღმასრულებელი ფურცელიც აქვია. ასე, რომ მებუკეც მიიღებს 6 თვის განაცდენ ფულს.

აქ დანაშაული მიუძღვის როგორც ადმინისტრაციას, ისე აღმასკომის თანამშრომელს ბროიუნს, რომელიც მოვალეა მოაწესრიგოს სატარიფო საქმეები. ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორის წამოჭრილი უთანხმოება გადადის მოქ. ბროიუნის ხელში. მან აუცილებლად უნდა იცოდეს, რომელ საქმეზე გზავნის თანამშრომელს ძიების აღსაძვრელად, მაგრამ არ იცის. ის ყველას სასამართლოზე უთითებს ხელს. ეს კი დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფო სალაროს. ერთხელ და სამუდამოდ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ნ. მკ—ლი.

—:—

„აღმასკომის მეთვალყურე"

გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულ აღმასკომის კედლის გაზეთის „აღმასკომის მეთვალყურე"-ს სარეცენზიო წერილთან დაკავშირებით და ზოგიერთი პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, სარედაქციო კოლეგიამ 31 მაისს მოიწვია აღმასკომის მუშაკთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება კედლის გაზეთისა და მისი დანიშნულების შესახებ. რეცენზიაში აღნიშნული შენიშვნები და შესწორებები „აღმასკომის მეთვალყურეზე" აღმოჩნდა სწორი და მიუდგომელი. გაზეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაკლად უნდა ჩაითვალოს მასში დიდი და საერთაშორისო ხასიათის წერილების მოთავსება, მაგრამ ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს, ხშირად, სარედაქციო კოლეგიის წევრები იძულებული არიან კედლის გაზეთის სვეტების შესავსებად და გაზეთის თავის დროზე გამოსაშვებად დასწერონ დიდრონი წერილები და მოათავსონ გაზეთში. ეს მაშინ, როდესაც „აღმასკომის მეთვალყურეს" ჰყავს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუშკორთა წრე. ეს ნაკლი საბოლოოდ უნდა იქნეს გამოსწორებული.

კედლკორებმა ფხიზელი მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყოველგვარ მოვლენებს და გაამუქონ კედლის გაზეთში სადი კრიტიკის სახით ჩვენი დაწესებულების უარყოფითი მოვლენები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღმასკომთან არსებულ ახალგაზრდა კორესპონდენტთა წრე, გამოეხმაურება აღმასკომის მოწოდებას და ხელს შეუწყობს კედლის გაზეთის გამოცემის საქმეს.

ჯაფარ-ფაშა.

—:—

ვინ არის დამნაშავე?
(სადგური ქვეში)

5 ივნისს სად. ქვეშში, ერთ და იმავე დროს ორივე მხრიდან მესამე ლიანდაგში მიღებული იქნა მატარებელი № 511 და 338. ორივე მატარებლის მემანქანეებმა შენიშნეს ეს და მიღებული ზომებით მატარებლები დროზე შეაჩერეს.

სადგურის მორიგე და მეისრეები ამ შეცდომაში ერთმანეთს სდებენ ბრალს. რასაკვირველია რომელიმე მათგანი იქნება დამნაშავე, მაგრამ უფრო მეტ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ინსტრუქციის დარღვევა. მოძრაობის წესით აკრძალულია ერთ და იმავე დროს, სადგურის ორივე მხრიდან მატარებლების შემოშვება, რადგან შესაძლებელია ან მეისრე შეცდეს, (როგორც ამ შემთხვევაში) ანდა შემოსვლის დროს, რომელიმე მატარებელმა ვერ შეიკავოს თავი, გადასცდეს საზღვრის პალოს და დაეჯახოს მეორე მატარებელს. სამწუხაროდ ეს ძლიერ საჭირო დებულება ხშირად ირღვევა და ამის შედეგად მარცხიც ხდება.

საჭიროა მოძრაობის წესი სასტიკად იქნეს დაცული.

მემანქანე.

—:—

დახმარების მაგიერი?
(ტყავ-ტრესტის ქარხანა)

ტყავ-ტრესტის ქარხნის მეეზოვემ ამხ. პეტროსიანმა, 15 დღეში გამოიყვანა საუკეთესო ხარისხის ტყავი, რომლის დამზადება წინედ გარდა იმისა, რომ დიდ ხარჯებს თხოულობდა, საკმაო დიდ დროსაც ანდომებდნენ. ამხ. პეტროსიანი წლობით ეხვეწებოდა ადმინისტრაციას, რათა მიეცათ მისთვის საშუალება ტყავის ახალი წესით გამოყვანისა, მაგრამ როგორც ტრესტმა, ისე ქარხნის ადმინისტრაციამაც ყურადღება არ მიაქცია. ამხ. პეტროსიანის მიერ გამოყვანილი ტყავი წლიურად —200.000 მან. მოგებას მისცემს ტრესტს.

ამ მოვლენას ტრესტის „გულშემატკივარნი" ვერ შეხვდნენ სიხარულით. ისინი ყოველ მხრივ ხელს უშლიან პეტროსიანს ტყავის გამოყვანაში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 2 ივნისს, ღამით „სპეცები"-ს მიერ დაქირავებულმა მუშებმა პეტროსიანს მოპარეს ტყავისათვის დამზადებული 50 ვედრა წვენი და ჩაასხეს თავიანთ (სპეცების) ტყავების მოსამზადებელ ჭურჭელში. პეტროსიანი ამ წვენს კიდევ დაამზადებს და თავის საქმეს მიიყვანს ბოლომდე, მაგრამ სპეცებს კი, როგორც ამბობენ წვენი არ გამოადგებათ და ტყავი გაუფუჭდებათ, რაც არა ერთი ათასი მანეთი დაუჯდება წარმოებას.

რას გავს ეს? სად არის ქარხკომი? სად არის საწარმოო თათბირი. რატომ არ მიაქცევენ ამ მოვლენას ყურადღებას და არ მისცემენ მუშას საშუალებას გააუმჯობესოს წარმოება და შეამციროს ხარჯები? რატომ არ დაინიშნავენ ექსპერტს და არ შეადარებენ ამხ. პეტროსიანის ტყავსა და „სპეცების" მიერ დამზადებულ ტყავს, რომელიც გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე პეტროსიანის ტყავი?

სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას.

მაიელუემ.

საბჭოთა საქართველო

წერილები

კულტურული მეურნეობის ერთ-ერთი დარგი

ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურული მეურნეობის ფართოდ განვითარებას. აღდგენილ იქნა მევენახეობა, მებრეშუმეობა, მესიმინდეობა, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩაის კულტურის განვითარებას. გლეხობა საკრედიტო ამხანაგობებიდან მიღებული სესხით ყოველწლიურად აშენებს რამოდენიმე ასეულ დესეტინა ჩაის პლანტაციებს. საქართველოს საზოგადოება „საქართველოს ჩაი" ხსნის ჩაის დამამზადებელ ქარხნებს, იძენს ჩაის ფოთლს გლეხობისათვის, დასარიგებლად და საერთოდ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საქმეს.

ასეთ წარმატებით გზაზეა შემდგარი აგრეთვე კულტურული მეურნეობის სხვა დარგებიც, როგორიცაა მაგალითად თხილი, მანდარინი, ბამბა და სხვ. მხოლოდ უკანასკნელ დრომდე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული დაფნის ხის მოვლა-მოშენების საქმე, რომელიც ეს მეტად საინტერესო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ზუგდიდის მაზრის გლეხობისათვის. მისი ფოთოლი კარგ ფასებში იყიდებოდა ოდესის ბაზარზე და გაქონდათ აგრეთვე საზღვარ-გარეთაც. ამით წარმატებულმა გურიის გლეხობამ ომის წინა წლებში ფართოდაც დაიწყეს დაფნის ხის მოშენება, მაგრამ ომის დროს ბაზრის დაკეტვის გამო დაფნის ფოთლის გასაღება შეუძლებელი გახდა და გლეხობამაც თავი მიანება მის მოვლა-პატრონობას.

ამჟამად სათანადო ორგანოები ღებულობენ ზომებს დაფნის ფოთლის გასაღებისათვის სათანადო ბაზრების გამოსაძებნად. მიმდინარე წელში გადაწყვეტილია დაფნის დამზადებისა და გასაღების საქმეს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და დაფნის ფოთოლი გატანილ იქნეს, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარ-გარეთის ბაზრებზედაც. მართალია, დაფნის ფოთლის დღევანდელი ფასები ჯერ კიდევ არ არის გათანასწორებული ომის წინანდელ დროის ფასებთან, მაგრამ ის თანდათან მატულობს და მალე გათანასწორდება ნორმალურ ფასებს.

ამიტომ საჭიროა გლეხობამაც კვლავ მიყოს ხელი დაფნის ხის მოვლა-მოშენებას. საკრედიტო ამხანაგობებმა მეურნე გლეხებს ამ საქმეშიაც უნდა აღმოუჩინონ დახმარება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უნდა იკისროს მეურნეებისაგან ხელსაყრელ ფასებში დაფნის ფოთლის შეძენა.

თუ საჭირო ხელმძღვანელობას გაუწევთ გლეხობას დაფნის მოვლა-მოშენების და ფოთლის გასაღების საქმეში, ეს დარგი კვლავ გახდება ერთ-ერთი შემოსავლის წყაროდ სასოფლო მეურნეობაში.

სოფლელი.

დანიშნულებას არ ხმარდება
ჩხარის რაიონი, შორაპნის მაზრა

ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგდა საკრედიტო ამხანაგობებიდან გლეხების მიერ გამოტანილი სესხის თავის დანიშნულებისამებრ მოხმარების საკითხი. უმეტესი შემთხვევაში მიღებულ სესხს ხარჯავენ წვრილმან საოჯახო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ზოგიერთები კი სადღესასწაულოდ საკლავებს ყიდულობენ.

ამას წინად თავისას თემში შეადგინეს კოლექტივი ტყის მოსაშენებლად. 10 კაცმა გამოიტანა სესხად თითომ ასი მანეთი ტყის მოსაშენებლად, მაგრამ შემდეგ ამაზე არც კი უფიქრიათ და ეს „კოლექტივი" გამოდგა მხოლოდ „სესხის მიმღებ კოლექტივად". სესხად მიღებული ფული უმეტესმა ნაწილმა ტანსაცმლის შესაძენად დახარჯეს.

წესდებით არის გათვალისწინებული, რომ ვისაც სესხის მიღება სურს საკრედიტო ამხანაგობიდან, მან ნებართვა უნდა მიიღოს თემის სამეურნეო სექციიდან, რომ მართლა სჭირდება გლეხს მეურნეობისათვის სესხი, მაგრამ სექცია ამ საკითხში მხოლოდ ფორმალურ მხარეს ასრულებს და არ იღებს ზომებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ხმარდება გაცემული ფული მეურნეობის განვითარებას.

ჩვენის აზრით საჭიროა ვინც სესხს მიიღებს საკრედიტო ამხანაგობიდან მას უნდა გაეწიოს კონტროლი სასოფლო-სამეურნეო სექციიდან, ნამდვილად დახარჯა თუ არა დანიშნულებისამებრ გამოტანილი სესხი და თუ ბოროტად გამოიყენა ბანკის ნდობა, ასეთებს უნდა მოეთხოვოს პასუხი.

პლატონ ცინძე.

—:—

საყურადღებო საყვედური
ს. ყალამშა, ბორჩალოს მაზრა

ხსენებულ სოფელში არსებული ოთხწლედი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამიტომ სოფელი მოითხოვს შვიდწლედის გახსნას. გლეხობამ შვიდწლედის ასაშენებელი ადგილი უკვე გამოყო და სამაზრო აღმასკომს წარუდგინა სკოლის პროექტი. აღმასკომმა პროექტი დაამტკიცა. ეხლა საჭიროა შვიდწლედისთვის შენობის დაჩქარებით აგება და მასში სწავლის საქმის ნორმალურ დონეზე დაყენება. ოთხწლედში სწავლა ვერ მიმდინარეობს ნორმალურად, რის გამო გლეხობა საყვედურს გამოსთქვამენ.

თუმრუხი.

კახეთი ეხმარება ქუთაისს
(წერილი თელავიდან)

თელავის მაზრაღმასკომის პრეზიდიუმმა ამხ. ალ. მაისურაძის თავმჯდომარეობით გამოჰყო კომისია ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულების შესაკრებად.

პროფკავშირთა ბიურომ დაადგინა ჩატარონ მოხსენებები წარმოება-დაწესებულებებში და მოეწყოს ყველა კავშირის წევრთა დახმარება ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობისათვის.

თელავის და მისი მაზრის მოსახლეობას ყველა ფენებში ღრმა თანაგრძნობა ჰპოვა ქუთაისის ღარიბ მოსახლეობისადმი დახმარების სურვილმა. სათანადო ნაბიჯი უკვე გადადგმულია, შედგენილია ქუთაისის დამხმარე სამაზრო კომიტეტი და მალე მისი სიტყვა საქმედ იქცევა.

თავისთავად ცხადია, რომ მუშა-მოსამსახურეები გამოიტანენ დადგენილებებს დახმარების გაღების შესახებ, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიც არ დაიშურებს თავის წვლილს, მაგრამ ამით არ უნდა ამოიწუროს ეს დახმარება.

რამდენადაც დიდია დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქის უბედურება, იმდენად მეტი თანაგრძნობა უნდა ჰპოვოს მან ჩვენში. რამდენადაც ღრმაა სტიქიისაგან მიყენებული ჭრილობები, იმდენად მეტი იქნება ჩვენი დახმარება.

ასეთი დახმარების შეგროვება უნდა იწარმოოს არა მარტო თელავის მაზრაში, არამედ ყველგან, ქალაქად და სოფლად, ყველა ორგანიზაციასთან, ყველა დაწესებულებასთან, სასწავლებლებში, საკრ. ამხ-ში, კოოპერატივებში და სხვ.

ქუთაისის განადგურებული უბანი უნდა აღვადგინოთ შეერთებული ძალღონით და დაზარალებულ მოსახლეობისადმი უხვი დახმარების აღმოჩენით.

ვან—ლი.

—:—

დაგვეხმარეთ ამ დიდ საქმეში
წითელი-ქალაქის თემი, გორის მაზრა

წითელი-ქალაქის თემში შედის სოფელი ნიაბი. ამ სოფელში სცხოვრობს 100 კომლამდის გლეხობა, რომლებიც დიდ სიდუხჭირეს განიცდიან სასმელი წყლის უქონლობის გამო. გლეხობა დიდი ხანია ზრუნავს წყალსადენის გამოყვანისათვის, მაგრამ უსახსრობის გამო პატარა სოფელს არ ძალუძს ამ დიდი საქმის გაკეთება. გლეხობამ დახმარებისათვის მიმართა გორის სამაზრო ხელისუფლებას, რომელმაც გამოგზავნა ინჟინერი ლიაძე წყალსადენისთვის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად. ინჟინერმა შეადგინა როგორც გეგმა, ისე ხარჯთ-აღრიცხვა და გადასცა მაზრის ხელისუფლებას. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით წყალსადენის გამოყვანა გარდა მიწის სამუშაოსი ჯდება რვა ათასი მანეთი.

სოფელმა სამაზრო ხელისუფლების საშუალებით თბილისის კომუნალურ ბანკს სთხოვა სესხად ხსენებული თანხა რვა წლის ვადით და აღუთქვა ამ ვალის დაფარვას ნაწილ-ნაწილად დასესხებულ დროის განმავლობაში. ბანკის გამგეობამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და უარი სთქვა სესხის გაღებაზე. არც სოფელს და არც სამაზრო ხელისუფლებას ამჟამად არ გააჩნია ასეთი თანხები. მიუხედავად ამისა ჩვენი სოფლისათვის წყაროს გამოყვანა წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, უამისოდ გლეხობა მოელის დაავადებებს უვარგისი წყლის გამო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევს შრომელ გლეხობას, არ დასტოვებს ჩვენ სოფელს უყურადღებოდ და გაგვიწევს დახმარებას წყალსადენის გამოყვანის საქმეში.

ესტატე ლომიაშვილი.

გლეხკორთა წერილებიდან

თემსაბჭოს ულირსი წევრი
შინდისის თემი, გორის მაზრა

სოფელ ფხვენისიდან შინდისის თემსაბჭოს წევრად არჩეულია ჩიტო ეშმაკურაშვილი, რომელიც არ არის ღირსი ატაროს საბჭოს წევრის სახელწოდება. ეს ვაჟბატონი ნაცვლად იმისა, რომ გლეხობა წაახალისოს და მოუწოდოს მათ ენერგიულად იმუშაონ მეურნეობის აღსაორძინებლად, ემუქრება გლეხობას, თუ რამე ჭირნახულს მოიწევთ მთლიანად ჩამოგართმევთ. საჭიროა საბჭოს ულირსი წევრი შეცვლილ იქნეს ღირსეული და ენერგიული მომუშავით.

გლეხი ალი.

ნუ დასტოვებთ უყურადღებოდ
სამიქაო—მაიდნის თემი, ხონ. მაზრა

ხსენებული თემი აბაშიდან დაშორებულია 15 კილომეტრით, სადაც არსებობს საკრედიტო ამხანაგობა. ჩვენი თემის გლეხობა სიშორის გამო ვერ სარგებლობს საკრედიტო ამხანაგობით. ამიტომ არა ერთხელ აღიძრა შუამდგომლობა ამხანაგობის თემის ცენტრში გახსნის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი ჯერ ვერ მოგვარდა. იმედია გლეხობის სურვილს დააკმაყოფილებენ.

იქაური.

რა გაკეთდა 7 ს. სამუშაო დღეზე გადასასვლელად

საუბარი საქართველოს შრომის სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ჭელიძესთან

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საკითხების დასამუშავებლად საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაარსებულია მუშათა ქვე-კომისია საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის, საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ჩვენ თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საქმე, საქართველოს შრომის სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ჭელიძემ განაცხადა:

მუშათა ქვე-კომისიამ დაამუშავა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა წინასწარი საკითხები. ამჟამად დასახულია 8 წარმოება, რომლებშიაც ქვე-კომისიის აზრით შესაძლოა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ეს წარმოებებია:

1) თბილისის მაუდის ფაბრიკა,—რომლის დამთავრებაც განზრახულია 1929 წლის მარტისათვის. ამ ფაბრიკაში იმუშავებს 1.000-ზე მეტი მუშა. ფაბრიკა შენდება ისეთი ვარაუდით, რომ აქ ყველა ხელსაყრელი პირობები იქნება 7 საათის სამუშაო დღის შემოსაღებად.

2) ოზურგეთის და ხონის ახალი აბრეშუმსახვევი ფაბრიკები. ამ ფაბრიკების გახსნა განზრახულია ა. წ. პირველ ივლისისათვის. ოზურგეთის ფაბრიკაში იმუშავებს 400-მდე მუშა, ხოლო ხონის ფაბრიკაში 250 მუდმივი და 250 დროებითი მუშა.

3) თბილისის სპილენძის სატკეცი ქარხანა. კომისიამ მიიჩნია, რომ ამ ქარხანაში შესაძლებელია 7 საათის სამუშაო დღის განხორციელება, თუ ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება ნედლი მასალით და დატვირთული იქნება მუშაობით.

4) თბილისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, სადაც ამჟამად ორ წყებად მუშაობს 85 კაცი და შესაძლოა მესამე ცვლის შემოღება, „საქართველოს აბრეშუმს" შესაძლოდ მიაჩნია ამ ფაბრიკაში 7 საათის სამუშაო დღის შემოღება, მხოლოდ იმ პირობებში, თუ ფაბრიკას მიემატება მანქანები. ამიტომ მიღებულია ზომები ამ ფაბრიკისათვის დამატებითი მანქანების შესაძენად.

5) პოლიგრაფტრესტის წარმოებებში კომისიას შესაძლოდ მიაჩნია 7 საათის სამუშაო დღის შემოღება. აქ შემაფერხებელ გარემოებათ ითვლება სტამბების დატვირთვა სამუშაოთი.

6) მცხეთის ახალი სახერხი ქარხანა.

7) ბორჯომის სატკეპნი ქარხანა.

8) კომისიას შესაძლებლად მიაჩნია 7 საათის სამუშაო დღის შემოღება აგრეთვე ქუთაისის მაუდის ფაბრიკაშიც, თუ იქ დამატებული იქნება სათანადო მოწყობილობა.

ამხ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ მუშათა ქვე-კომისიის მიერ ჯერ ჯერობით ჩატარებულია მხოლოდ წინასწარი მუშაობა. კომისია განაგრძობს ცნობების შეკრებას. ცნობების შეკრებას და საკითხის საბოლოოდ დამუშავების შემდეგ, კომისია თავის დასკვნებს წარუდგენს მთავრობის კომისიას.

კომისიაში შემავალ დაწესებულებათა გარდა, აღნიშნული საკითხების დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციები.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საკითხი საბოლოოდ უნდა გამოირკვეს უახლოეს 2—3 კვირის განმავლობაში.

მიღებული ყოველგვარი ზომები, რომ მუშათა ქვე-კომისიამ არ მოუვიდეს რაიმე შეცდომა, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენი მრეწველობის განვითარებაზე.

ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების საკითხი.

ა.-კ. ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკე ორგანიზაციები აგვიანებენ საგეგმო-საფინანსო გეგმების წარმოდგენას, რაც დიდათ აფერხებს მთელი სისტემის მუშაობის გეგმიანობის მოწესრიგებას. ამასთანავე საგეგმო-საფინანსო გეგმის საკონტროლო ციფრების სახით წარმოდგენა მიჩნეულია არა საკმარისად და მთელი სისტემის მუშაობის ფართო შეფასებისათვის საჭიროთ არის ცნობილი უფრო ფართო ცნობები.

იმ ანგარიშების ფორმების შესამუშავებლად, რომლებიც „ზაკოოპ"-მა უნდა წარადგინოს სხვადასხვა უწყებებში, გამოყოფილია კომისია ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ა.-კ. საგეგმო კომისიის და „ზაკოოპ"-ის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ა.-კ. ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთ შედარებით ჩამორჩენილ ნაწილებში ორგანიზაციული ზრდა მიმდინარეობს არა საკმაო გეგმიანი ხელმძღვანელობით, რის შედეგადაც შენიშნულია, მაგალითად, ბრუნვის ზრდის ორგანიზაციულ ზრდასთან შეუსაბამობა.

„ზაკოოპ"-ს დაევალა დაჩქარებით დაამთავროს წევრების ხელახალი რეგისტრაცია, გამოარკვიოს მათი სოციალური დაჯგუფება და მიიღოს ზომები, რომ იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა შედარებით ნაკლებათ არის შეკავშირებული სამომხმარებლო კოოპერაციაში და ეს გარემოება გამოწვეული არ არის კოოპერაციის მიზეზებით, გამოსწორებული იქნეს ეს ნაკლი და გადიდებული იქნეს კოოპერაციაში შეკავშირებულ მოსახლეობის პროცენტი.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა შეისწავლოს ამიერ-კავკასიის სავაჭრო აპარატი, მისი ტერიტორიალური განაწილება და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით წარადგინოს ა.-კ. ეკონომსაბჭოში სათანადო სამუშაო პროგრამა.

ა.-კ. ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ ა.-კავ. სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვა სისტემატიურად იზრდება, როგორც საბითუმო, აგრეთვე საცალო ვაჭრობაში და თანდათან იდევნება ბაზრიდან კერძო ვაჭრობა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვა უფრო მეტის ინტენსივობით იზრდება აზერბეიჯანში, შედარებით ნაკლები ინტენსივობით—საქართველოში და საგრძნობი ჩამორჩენით სომხეთში.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ რესპუბლიკათა შორის საქონლის განაწილება სწარმოებს არათანაბრად. ამის გამო ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს და „ზაკოოპ"-ს მიეცათ წინადადება მოაგვარონ ეს საკითხი და გამოიმუშაონ საქონლის თანაბრად განაწილების წესი.

მზადება შაქრის ქარხნის ასაგებად

ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილების ცნობით, შაქრის ქარხნის ასაგებად დაწყებული სამუშაოები შემდეგ მდგომარეობაშია: ქარხნის ასაგებად გამოყოფილია გომი-ქარელის რაიონი, სადაც გაშენებულია ჭარხლის პლანტაციების უდიდესი ნაწილი. მიღებულია ზომები, რომ მომავალი წლიდან გაშენებულ იქნას ახალი პლანტაციები იმ ადგილებზე, სადაც დღემდე გლეხობა მისდევდა სიმინდის კულტურას.

ქარხნის საამშენებლო პროექტის დამუშავება გადაწყვეტილია მიენდოს უკრაინის შაქრის ტრესტის სპეციალისტებს, რომლებიც ქარხნის ასაგებ ადგილის დასათვალიერებლად ჩამოვლენ მომავალ კვირაში.

წელს მთელ გორის მაზრაში შაქრის ჭარხლის პლანტაციები გაშენებულია 60 ჰექტარზე. მუხრანის სასადგო მამულში დათესილია 10 ჰექტარი, ტირიფონის ველზე 6, დანარჩენი კი—გომის და ქარელის რაიონში. გასულ წელს თვითეულ ჰექტარ პლანტაციაზე მოვიდა 1.300 ფუთი ჭარხალი. წელს მოსავალს გაცილებით უკეთესი პირი უჩანს და ადგილობრივი აგრონომების ცნობებით თვითეული ჰექტარი მოგვცემს საშუალოდ—1400-1500 ფუთ ჭარხალს.

შეკრებილი ჭარხლის მოსავლის ნახევარი გაიგზავნება უკრაინის შაქრის ქარხნებში გადასამუშავებლად, ხოლო მეორე ნაწილი გადაეცემა გომის სპირტის სახდელ ქარხანას.

აჭარის-წყალის ელსადგურის ახალი პროექტი

ამიერ-კავკ. სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტში წარდგენილია აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურის ასაგები პროექტის ახალი ვარიანტი, რომლითაც გათვალისწინებულია ზოგიერთ ძირითადი სამუშაოთა მასშტაბის შემცირება და ზოგიერთი ნაგებობათა სხვა პრინციპით აშენება. აღნიშნული ვარიანტით სადგურის ასაგებად გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა შემცირებული იქნება 1.500.000 მანეთით.

ახალი ვარიანტის თანახმად დაკლებული იქნება სადგურის წნევის ძალა და ამასთან დაკავშირებით შემცირდება მთავარი სადგურის სამუშაოები. სულ აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის საერთო ძალღონე დარჩება 3.500 ცხ. ძალის. მომავლისათვის პროექტით გათვალისწინებულია ყველა ცალკე ნაგებობათა გაფართოება იმდენად, რომ სადგურის ძალღონება გაიზარდოს ერთი-ორად.

აღნიშნულ პროექტს ამიერ-კავკ. სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტი განიხილავს მახლობელ დღეებში და თავის დასკვნებს წარადგენს ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიაში.

საგეგმო კომისიაში

ქუთაის-წყალტუბოს ელექტრონის რკინის გზა

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ განიხილა ქუთაის-წყალტუბოს ელექტრონის რკ. გზის გაყვანის საკითხი და დაადგინა აღნიშნული რკ. გზის ხაზის გამოკვლევა დაიწყოს გუმბრის ფლორიდინის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზები

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო წინადადება მიეცეს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივ შეისწავლოს გზები, როგორც თავისი მნიშვნელობით, აგრეთვე კილომეტრაჟის მხრივ და ამ გზების საბოლოო სია აღმასკომებთან შეთანხმებით წარუდგინოს საქართველოს ეკონომ. საბჭოს არა უგვიანეს ამ წლის 1 სექტემბრისა.

ორწლიანი საფინანსო კურსები

ვინაიდან საფინანსო და ეკონომიური დარგის მუშაკებს საკმაო რაოდენობით და სათანადო კვალიფიკაციით ამზადებენ საქართველოში არსებული უმაღლესი, საშუალო და დაბალი სპეციალური სასწავლებლები (სოც. ეკონომიური ფაკულტეტი, ტეხნიკუმები, ცხრაწლედები და 6—8 თვიანი საბუჰალტრო და კოოპერატიული კურსები), საგეგმო კომისიამ ზედმეტად მიიჩნია თბილისში არსებულ ორწლიანი საფინანსო კურსების არსებობა მომავალში და საჭიროდ სთვლის აღნიშნული კურსების ლიკვიდაციას.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

პროფკავშირების მონაწილეობა ქუთაისის აღდგენის საქმეში

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების კამპანია პროფკავშირებში ინტენსიურად მიმდინარეობს კავშირების ხაზით აღნიშნული კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელმა ამხ. მარკმანმა, კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

ხანძრისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენას კავშირები განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ სათანადო დირექტივების მიღებისთანავე. კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, საქპროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა კავშირების ც. გ. წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი შემოწირულებათა ასაკრეფად. კავშირები გულმოდგინეთ გამოეხმაურენ აგრეთვე საქპროფსაბჭოს მოწოდებას კამპანიის დაწყების შესახებ და მთელ რიგ დაწესებულება-წარმოებებში ჩატარეს შემოწირულებათა შეკრება ქუთაისის აღსადგენად.

კამპანიის დაწყებიდან დღემდე კავშირების ცენტრ. გამგეობებმა აღნიშნულ მიზნისათვის საქ. პროფსაბჭოს სალაროში შეიტანეს 12.128 მანეთი. აქედან, განათლების მუშაკთა კავშირმა შეიტანა—3.114 მან., საბჭოთა მუშაკთა კავშირმა—3.302 მან.; ფეიქართა კავშირმა—634 მან., გემო-კვების მუშაკთა კავშირმა—1.013 მან., მედსანშრომის მუშაკთა კავშირმა—868 მან., ხელოვნების მუშაკთა კავშირმა—293 მან. და მშენებელთა კავშირმა—279 მ.

ზემოაღნიშნული ანარიცხებით არ ამოიწურება პროფკავშირების მონაწილეობა ქუთაისის აღდგენის საქმეში. კავშირების ცენტრ. გამგეობებისათვის ჯერ არ ჩაუბარებიათ მათ მიერ გაერთიანებული მუშა-მოსამსახურეთა შემოწირულებანი ქუთაისის სასარგებლოდ. დაახლოებითი გამოანგარიშებით, კავშირებში შეგროვილი თანხა აღწევს 40 ათას მანეთამდე.

ამ ახლო ხანში ადგილკომები თავიანთ ანარიცხებს ჩააბარებენ კავშირების ცენტრ. გამგეობებს, რომლებიც თავის მხრივ აღნიშნულ თანხებს შეიტანენ საქპროფსაბჭოს სალაროში ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების რესპუბლიკანურ კომისიაზე გადასაცემად.

—:—

რკანის შვიდწლედის მოწაფეებმა შემოგვაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ 11 მან. 89 კაპ. და ვიწვევთ შემდეგ სოფლების შვიდწლედებს: არგვეთის (სახერის რაიონი) კორბოულისას, ბორითისას და კაცხის.

მინდობილობით სკოლის გამგე **პ. ნადირაძე.**

—:—

ბესარიონ ლოლონაძის გამოწვევით შემოგვაქვს სამ-სამი მანეთი და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: სევერიან ბაბუხადიას, სიმონ სანატაშვილს, ევდოკი გვენეტაძეს, თედორე ადამაძეს, გიორგი მარდალეიშვილს, მარგალიტა გვენეტაძეს, სათო ჯიბლაძეს, ბაბილინა კაკაურიძეს, ტარასი ბუცხრიკიძეს, დავით გოგისვანიძეს, არსენ ლანჩავას, კატიუშა დახუნდარიძეს, მელი ასათიანს, აკაკი გამრეკელს, მისეილ წერეთელს, აკაკი წიკარიძეს, ისიდორე ჯანელიძეს, გოგუცა აბულაძეს.

კოლია ჟუჟარაძე და გრიშა ბურჯანაძე.

—:—

ეორსა კოდუას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ვახტანგ სანებლიძეს, რუსუდანა გიორგობიანს, კოტე ცხადაძეს, ვასოკო ამირანაშვილს, ვახტანგ ვამეკიძეს და ვერა კობახიძეს (ზესტაფონიდან).

მარგარიტა ქიკულაძე.

—:—

სიღნაღის სამაზრო საპატიმრო სახლის პატიმრებს შემოგვაქვს ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ 6 მანეთი და ვიწვევთ: შემდეგ საპატიმრო და გამსწორების პატიმრებს: თბილისის ცენტრ. გამსწ. სახლის სპეც. იზოლატორის, ქუთაისის, ბათომის, თელავის, დუშეთის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ფოთის, სენაკის, ზუგდიდის, რაჭის და ბორჩალოს ყველა პატიოსან და გასწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს.

სიღნაღის სამაზრო საპატიმრო სახლის კულტბანი.

—:—

ქ. თელავის პირველ 9 წლედის მეექვსე ჯგუფის მოწაფეობას შემოაქვს თხუთმეტი მან. ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და იწვევს ქ. თელავში არსებულ მეორე 9-წლედის, პირველ 7-წლედის და მეორე 7-წლედის მეექვსე ჯგუფის მოწაფეებს.

მოწაფეთა რწმუნებული **გ. კობაძე და ი. იაგორაშვილი.**

—:—

შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ დ. ღოლობერიძეს, ლ. ფოცხვერიას, დ. კაკაბაძეს, ხ. კოპალეიშვილს, ქ. სტურუას, ნ. ფრანგიშვილს, თ. შათირიშვილს, ა. რუხაძეს, ქ. ცაგარეიშვილს, ა. კანდელაკს.

გრიგოლ სტეფანოვი.

—:—

31 მაისს, დაბა მანგლისში შესდგა მედსანშრომის კავშირის კრება, რომელმაც დაადგინა: ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდოს ერთი დღის ხელფასი, რაც შეადგენს 62 მან. 50 კ., რომელიც შემოგვაქვს „კომუნისტის" კანტორაში და კრების დავალებით ვიწვევთ: წალკის, აბელიას, თიანეთის და საგარეჯოს მედმუშაკებს.

კრების მინდობილობით მანგლისის მედსანშრომის კავშირის ადგილკომის თავმჯდომარე **ექ. კონსტანტინე ცაგარეიშვილი.**

—:—

ბადრი რაჭველიშვილის გამოწვევით, ქუთაისელ ბავშვების დასახმარებლად შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: გივი ლორთქიფანიძეს, ნელი ალექსიძეს, თინიკო ყაუხჩიშვილს, ოთარ ქურუკაშვილს, ნუგზარ ყანჩაველს და ნანიკო დავითაშვილს.

გიზო ფაშალიშვილი.

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

საქ. ფინსახკომთან არსებული კომუჯრედს შემოაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ფონდში 30 მან. (ოცდა ათი მანეთი) და თავის მხრივ იწვევს ქალ. თბილისის მე-4 რაიკომში შემავალ ყველა უჯრედებს და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების ფინრწმუნებულების სამმართველოებთან არსებულ კომუჯრედებს.

საქ. ფინსახკომის კომუჯრედის პ.-მ. მდივანი **ი. შონია.**

—:—

თინიკო დევიძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევ: რევაზ (კუკი) ცაგარეიშვილს, ნელი ჩიჩინაძეს, ნათელა ჭრელაშვილს, თინიკო მიქელაძეს, გივი ქართველიშვილს, ქეთუნა რუხაძეს, ოთარ გიგინეიშვილს და შოთა ცაგარეიშვილს.

რევაზ ცაგარეიშვილი.

—:—

ამხ. ორიგავას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: ენუქი, ჯგვატა, თოთია, შოთა და არსენ გუგუშვილებს, კალი მანალუას, სარდიონ და ლუტუ თოფურიძეებს და სავლი ლაბარტყავას.

ვ. ლორთქიფანიძე.

—:—

ამხ. ორიგავას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: უმუხრან ნიჟარაძეს, მიშა გოცირიძეს, პოკია და შალვა აბულაძეებს, ნინა რუსიეიშვილს.

სიმონ ერისთავი.

—:—

რუზიკო ჩარკვიანის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ: ბარნაბ გვიჩიას, რიმა, კატუშა და ანჟელიკა შანშიაშვილებს და ნაზიუშა ქიმა, თამარა, ეთერი, თინა და ანტონინა ცინაძეებს.

ლილი კრიჭაშვილი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ვწირავ ერთ მანეთს და ვიწვევ: დათა და შოთა თენიეშვილებს, ლეილა და ნოდარ თათეიშვილებს, თამაზ თენიეშვილს, ვახტანგ თენიეშვილს, ცისანა ტულუშს და გურამ ჭავჭავაძეს.

გოგი ყორანაშვილი.

—:—

შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: კლარა გერსამიას, გიგლა ჯანაშიას, ნორა თოდუას, პლატონ შოთოდუას, გივი კვარაცხელიას, გივი კოდუას, ნორა კოდუას, დარეჯანა ცხადაიას, ნელი კოდუას, მიტუჩუნა და ბორიკო კვარაცხელიებს.

მერი თოდუა.

—:—

თანახმად კაკო და ეორა ბაქანიძეების გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: ნელი ელერიას, შოთა და ილენე მჭედლიშვილებს, გივი და შოთა ხორხელებს, მარგალიტა ლოთიშვილს, ეთერა, ნათელა და ვენერა რატიშვილებს.

გივი ლოთიშვილი.

—:—

ნათელა კალანდაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ქეთინო და გოგი მეძმარიაშვილებს, გოგა და შოთა უკლებაშვილებს, მიშიკო ჟუჟარაძეს, ოთარ და ქეთო გულბახარიშვილებს და სიმონიკა და რეზიკო ორჯონიკიძეებს.

ქეთინო და გოგი ცქიტიშვილები.

—:—

ლამარა მეიტარიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: ბუხუტია ჯგარიშვილს, თინიკო ჟორჟოლაძეს, ავთანდილ ამირანაშვილს, ცუცულიკა სკანდელს და ზურაბი ნანიტაშვილს.

ლადო ჟორჟოლაძე.

—:—

თამაზ კორძაიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: გოგი სპირინჭალს, ნასტია გეგენავას, თალიკო ქოიავას, სირა გერგავას, შალიკო ჩიქოვანს, ეორეკ შავდიას, კვირიკე გეგენავას, ალექსანდრე ტორონჯაძეს, ფორლე ხარებავას და ბაბუცი კორძაიას.

დათა კორძაია.

—:—

ლევან ხომერიკის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: ნათელა დუდუჩავას, რევაზიკო რონინიშვილს, ცისანა და მერი ქებულიძეებს, თინიკო და ლამარა ბარამიძეებს, ლადო ღამბაშიძეს, ქეთუნა შავიშვილს, მანიკო თავაძეს, გივი ისაკაძეს.

ლელი უშვერიძე.

—:—

დოდოშკა ბალანჩივაძის გამოწვევით შემოგვაქვს სამი მან. და ვიწვევთ: სპარტაკ ჯეჯელავას, ხუტული და გუგული მანჯგალაძეებს, ქეთო და ნორა კაკაბაძეებს, პაპუნო მგალობლიშვილს და ცოტნე ყუფარაძეს, ანიკო ბალანჩივაძეს და ბუნთულა იოსიძეს.

წუცა და კიკილო ბალანჩივაძეები.

გუშინ გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 150 მან. 39 კაპ.

სულ წინათ შემოსულთან ერთად 15.464 მან. 31 კაპ.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

განჯის ტირაჟის შემდეგ

გუშინ დილით თბილისში დაბრუნდა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო სესხების განყოფილების გამგე ამხ. ორიცფუზოვი, რომელიც გამგზავრებული იყო განჯაში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17-ე სერიის ტირაჟზე დასასწრებათ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ორიცფუზოვმა განაცხადა: განჯაში ჩატარებულმა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17-ე სერიის ტირაჟმა ნათლად დაგვანახვა, თუ რამდენად არის საჭირო, რომ ამიერ-კავკასიის პროვინციაში ფართო ახსნა განმარტებები ეძლეოდეს არა მარტო ჩვენი სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკის შესახებ, არამედ აგრეთვე სესხების გამოშვების პირობების, მათი რეალიზაციის მეთოდების და თვით მოგებათა გათამაშების ტეხნიკის შესახებ.

განჯაში ჩატარებულ ტირაჟს, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, ათასობით ესწრებოდენ განჯის და მისი რაიონის გლეხები. გლეხები განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ტირაჟის მსვლელობას და დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ტირაჟის ტეხნიკას.

ფართო საზოგადო სხდომებმა, პერიოდულმა მოხსენებებმა, შეკითხვებზე გაცემულმა პასუხებმა, მომგებ ნომრის სამჯერ გამოცხადებამ, სატირაჟო კუთების დათვალიერებამ, მომგებ ნომრების ჟურნალში ჩაწერის წესის გაცნობამ დაარწმუნა ყველა, ვინც ტირაჟს ესწრებოდა, რომ მოგებათა გათამაშების დროს ყოვლად შეუძლებელია რაიმე ბოროტმოქმედება.

ტირაჟისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს გლეხ დელეგატებმა, რომლებიც შეგროვილი იყვნენ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებიდან და ჩრდილო კავკასიიდან.

14 ივნისს ქუთაისში დაიწყება მე-51 სერიის ტირაჟი. ქუთაისში გაგზავნილია ტირაჟის მთელი მოწყობილობა და ეჭვს გარეშეა, რომ შედეგები ქუთაისში იქნება ისეთივე სასურველი, როგორიც განჯაში მივიღეთ.

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის წინ

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელი ჯარის რიგებში გაწვეულ იქნებიან 1906 წელში დაბადებული ახალგაზრდები. მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით, სამხედრო კომისარიატები აწარმოებენ გასაწვევ ახალგაზრდობის ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევას და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელებას.

ახალგაზრდები, დაბადებულნი 1906 წელში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მუშფაკები, ტეხნიკუმები და მეორე საფეხურის სკოლები და ის ახალგაზრდები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და არ გაუვლიათ წვევამდე უმაღლესი მზადება—შეღავათებით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით ისარგებლებენ საერთო წესის მიხედვით.

ის ახალგაზრდები კი, რომლებმაც გაიარეს წვევამდე უმაღლესი მზადება შეღავათებით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით გაწვევის დროს არ ისარგებლებენ.

წითელ ჯარში გაწვევის დროს ცხადდებიან ის მოქალაქენიც, რომლებსაც არა აქვთ ვინაობის დამამტკიცებელი საბუთები.

სამხ. საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის ცირკულიარის თანახმად, გამწვევმა კომისიებმა ასეთ უდოკუმენტო ახალგაზრდები უნდა გადაგზავნონ სათანადო სამილიციო რაიონებში ვინაობის გამოსარკვევად და პასუხისგებაში მისაცემათ.

ხსენებული ახალგაზრდები წითელი ჯარის რიგებში გაწვეულ იქნებიან მაშინ, როდესაც გამოირკვევა მათი ვინაობა და მიწერილნი იქნებიან გასაწვევ უბანზე.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

გამომუშავებულ ღონისძიებების მიხედვით, პირველ რიგში მოხდება საშუამავლო ორგანოების გამოკვლევა და საქმიანობის მოწესრიგება იმ მიზნით, რომ უმუშევრების სამუშაოზე გაგზავნის დროს, მტკიცედ იქნეს დაცული რიგი და ერთი კვალიფიკაციის უმუშევარი არ იგზავნებოდეს მისთვის უცხო სამუშაოზე.

გარდა ამისა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებთან დადებული იქნება ხელშეკრულება მათთვის საჭირო მუშა-ხელის თავის დროზე მიწოდების შესახებ. ამავე დროს გაძლიერებული იქნება მეთვალყურეობა, რომ წარმოება-დაწესებულებები უმუშევრებს ღებულობდენ მხოლოდ შრომის ბირჟების საშუალებით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უმუშევართა კვალიფიკაციის აწევის საქმეს, ამ მიზნით მოეწყობა სპეციალური კურსები და უმუშევრები დროებით გაიგზავნებიან შესაფერ წარმოებებში სრული კვალიფიკაციის მისაღებათ.

უმუშევრობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად მოეწყობა შრომის ახალი კოლექტივები და საზოგადო სამუშაოები.

მიღებული იქნება ენერგიული ზომები უმუშევრობის შესამცირებლად როგორც ქალთა, ისე მოზარდთა შორის შესამცირებლად.

კრედიტების განაწილება

საქართველოს სასოფლო მეურნეობისათვის მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ფინანსიური დახმარების აღმოჩენის მიზნით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გადაეცა ა.-კ. ბიუჯეტით გათვალისწინებული შემდეგი დანიშნულების კრედიტები: გადასახლება-გადმოსახლებისთვის—18.750 მანეთი; საკრედიტო კოოპერაციის ძირითად თანხების გასაძლიერებლად—16.000 მან.; ტრესტქმნილ საბჭოთა მეურნეობებისთვის—14.850 მან. და სოფლის ღარიბ მოსახლეობისათვის კრედიტების მისაწოდებლად—10.375 მან., სულ 59.975 მან:

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში მოწვეულმა საუწყებათაშორისო თათბირმა დაადგინა: გადასახლება-გადმოსახლების მიზნებით გამოყოფილი თანხები გაიცეს როგორც ავტონომიურ ტერიტორიალურ ერთეულებზე, ისე საკუთრივ საქართველოს ფარგლებში ნამდვილ საჭიროების მიხედვით; საკრედიტო კოოპერაციის ძირითად თანხების გასაძლიერებლად გამოყოფილი თანხა 16.000 მანეთის რაოდენობით თათბირმა განაწილა შემდეგნაირათ: სამხრეთ ოსეთის საკრედიტო კოოპერაციას—1.285 მან. და საკუთრივ საქართველოს საკრედიტო კოოპერაციას 14.715 მან. (ავტონომიურ ერთეულებს წინასწარ მიეცათ სათანადო კრედიტი).

ტრესტქმნილ საბჭოთა მეურნეობებისათვის კრედიტების მისაწოდებლად გამოყოფილი სესხი 14.850 მან. რაოდენობით თათბირის მიერ განაწილებულია შემდეგნაირათ: აფხაზეთს—1.560 მან., აჭარისტანს—595 მან., ოსეთს 445 მანეთი და საკუთრივ საქართველოს 12.250 მან.

ღარიბი გლეხობისათვის აღნიშნულ თანხებიდან გამოყოფილია 10.375 მან. გარდა ამისა, ამავე მიზნით ა.-კ. ბიუჯეტით საქართველოსთვის მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გამოყოფილია სპეციალური კრედიტი 72.750 მან. რაოდენობით. ამრიგათ, ღარიბი გლეხობის საკრედიტოთ მესამე კვარტალში გამოყოფილია სულ 83.125 მანეთი. ამ თანხიდან 5.000 მანეთი, თათბირმა გამოყო კოლმეურნეობათათვის საორგანიზაციო-საწარმოო დახმარების გასაწევად და ეს თანხა გადაეცა სოფლის კავშირთან არსებულ კოლმეურნეობათა სექციას.

დანარჩენი თანხა 78.152 მან. რაოდენობით განაწილებულია შემდეგნაირათ: აფხაზეთს—5.780 მან. (ინდივიდუალურ მეურნეობათ მოხმარდება—3.470 მან:, კოლმეურნეობათ—2.310 მან.); აჭარისტანს—2.580 მან: (ინდივიდუალ: მეურნეობათ—1.550 მან.; კოლმეურნეობათ—1.030 მანეთი), სამხრეთ-ოსეთს—2.425 მან:; (ინდივიდ. მეურნეობათათვის—1.455 მან:; კოლმეურნეობათათვის—970 მან.), საკუთრივ საქართველოს—67.340 მან. ინდივიდ. მეურნეობათათვის 40.400 მან. და კოლმეურნეობათათვის—26.940 მანეთი).

ღარიბი გლეხობის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებში ჩასაბმელად გამოყოფილია თანხა 31.500 მან. რაოდენობით. ეს თანხა თათბირმა გაანაწილა შემდეგნაირათ: აფხაზეთს—2.330 მან., აჭარისტანს—1.040 მანეთი, სამხრეთ-ოსეთს—980 მან. და საკუთრივ საქართველოს—27.150 მანეთი.

კრედიტების აღნიშნული განაწილება დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

ხელოვნება

საბავშვო თეატრის ექსპერიმენტალური კოლექტივი
„რობინ გუდ"

დადგმა ალ. თაყაიშვილისა, დეკორაცია მიხ. გოცირიძის.
ტექსტი დამუშავებულია აქ. ბელიაშვილის მიერ

მომავალი სეზონიდან თბილისში განზრახულია რეგულიარულად მომქმედი საბავშვო თეატრის დაარსება. ამისათვის საჭირო წინასწარი ცდების მოსახდენათ შეიქმნა ახალგაზრდა მსახიობთა კოლექტივი, რომელმაც უკვე სამი საბავშვო წარმოდგენა ჩაატარა. სამივე წარმოდგენა სრულიად სხვადასხვა ხასიათის იყო; როგორც თემატიურად, აგრეთვე სცენიური გაფორმების მხრივ, რაც ბავშვთა აუდიტორიის შესწავლის განზრახვით იყო გამოწვეული.

ამ კოლექტივის მუშაობის საუკეთესო მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ზაიაცის პიესის „რობინ გუდი"-ს დადგმა: თავისთავად პიესა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი და შესაფერი ეხლანდელი მოზარდი მაყურებლისათვის. მისი დადგმა — მხოლოდ საბავშვო რეპერტუარის მეტის-მეტი სიღარიბით უნდა აიხსნას. მიუხედავათ ამისა, პიესა იმდენათ უნაკლოთ იყო დამუშავებული, რომ იგი სავსებით იპყრობდა მრავალრიცხოვან ბავშვთა აუდიტორიას. პიესა წარმოადგენს კომედიას, რომლის სიუჟეტი აღებულია ძველი-ძველი ფეოდალური ურთიერთობის ეპოქიდან. გლეხების ჩაგვრა, ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრება, გლეხობის მოძრაობა ბატონების წინააღმდეგ და სოციალური ბრძოლის პრიმიტიული მეთოდები — ყაჩაღობა და სხვ. — აი პიესის სოციალური აზრი, რომელიც კომიკურ ფორმებშია განვითარებული.

ახალგაზრდა რეჟისორმა თაყაიშვილმა, რომელმაც ამ შემთხვევაში პირველად სცადა თავისი სარეჟისორო შესაძლებლობანი, სავსებით დაძლია ამოცანა. დადგმა ყოველმხრივ, უკიდურეს წვრილმანებშიაც კი მაქსიმალურათ იყო დამუშავებული. ყოველი როლი, ყოველი მიზანსცენა, იმდენათ დაფიქრებული იყო, რომ სპექტაკლის მხატვრული მთლიანობა — ადვილათ აღწევდა მოზარდ მაყურებლამდი. რეჟისორს სწორათ გაუგია პიესის სოციალური აზრი და ამის მიხედვით შეკვეცილია ტექსტი. დეკორატიული მხარე, იმ მატერიალურ რესურსების პირობებში, რომელიც ამ თეატრს აქვს, უებარ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. დადგმის კულტურა ნათლად ამჟღავნებს რეჟისორის მახვილ თეატრალურ გემოვნებას და ერუდიციას.

ახალგაზრდა მსახიობები უებარი ოსტატობით ასრულებენ როლებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსახიობი კვანტალიანი, რომელმაც თავისი საუკეთესო შესრულებით შერიფის მეტად მეორეხარისხოვან როლზე გადაიტანა პიესის სიმძიმის ცენტრი.

ცოცხლათ და შეგნებულათ ასრულებდენ როლებს გ. კუპრაშვილი, მერი და მედეა ქორულები, ჩხეიძე, მ. ჯაფარიძე, ბარბაქაძე განაძე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვი-მაყურებლები განუწყვეტელი სიცილით ხვდებოდენ წარმოდგენის განვითარების ყველა მომენტს, რაც სპექტაკლის სრულ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს,—აუდიტორიის რეაქციის მიღწევის თვალსაზრისით.

საჭიროა შესაფერი რეპერტუარის გამოსანახავად პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება.

გ. ჟ.

სასამართლო

ყაჩაღების თავდასხმა

უკვე ღამდებოდა, როცა მეწვრიმალე ფეხზე მოვაჭრეები შიმშონ ალილაშვილი და ეუშაკ ჯერემაშვილი სოფელ მუხას (ახალციხის მაზ.) მიუახლოვდნენ.

რამიზ დურსუნ-ოღლისას მიეჩქარებოდენ. ის იყო მათი მასპინძელი, არა ერთხელ გაუთევიათ ღამე მოხეტიალე მეწვრიმალეებს რამიზის ოჯახში.

ჩვეულებისამებრ თავაზიანად შეხვდა მასპინძელი დაგვიანებულ სტუმრებს. ვახშამთა ვახშამი, მოქანცულმა მეწვრიმალეებმა ვახშამი ნაჩქარევად დაასრულეს და მალე ლოგინებს მიაშურეს. დაწოლა და დაძინება ერთი იყო.

არ გასულა ერთი საათი, მოისმა ხმაურობა, ალილაშვილმა წამოჰყო თავი.

— ხელი არ გაანძრიო!—დაიყვირა სახე გამურულმა კაცმა და ვინტოვკა გულში მიუშვირა ალილაშვილს.

— ვაი, ვაი! მიშველეთ!—ინსტინქტურად იყვირა ალილაშვილმა, მაგრამ მალე თოფის კონდახი ისე მძლავრად მოხვდა თავში, რომ გრძნობა დაკარგული დაეცა ძირს, დაეცა და აღარც განძრეულა.

ამ დროს წამოვარდა ჯერემაშვილი, ეცა თოფში თავდამსხმელს. გაიმართა ბრძოლა. ჯერემაშვილი უფრო მძლავრი აღმოჩნდა. ლამის არის თოფი ხელიდან გამოგლიჯოს თავდამსხმელს. არის ბრძოლა კბილებით, ფეხით, თავით, გაუჭირდა ბოროტმოქმედს.

— ეი! შენ რაღას უყურებ მანდ! დაჰკარ!—დაუძახა ბოროტგამიზრახველმა ამხანაგს, რომელიც კარებში ატუზულიყო.

ამხანაგი წამოეშველა და როცა ჯერემაშვილმა თოფი თითქმის ხელთ იგდო, ამ დროს თავდამსხმელის ამხანაგის თოფის კონდახმა ძირს დასცა უგრძნობლად გამარჯვებამდე მისული ჯერემაშვილი.

თავდამსხმელებმა წაართვეს მეწვრიმალეებს ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდათ და გაიქცენ.

მეორე დღეს ბოროტმოქმედების ადგილას გამოცხადდა ადგილობრივი მილიციის უფროსი. მოიყვანეს ექიმი, ალილაშვილი უკვე მკვდარი დახვდა ექიმს, ჯერემაშვილი გადარჩა სიკვდილს.

მილიციის უფროსმა იმ წამსვე შეკრიბა სოფლელები, დაგზავნა ყველგან მზვერავები, მაგრამ ბოროტმოქმედთა აღმოჩენა ძნელი გახდა დიდ ხანს.

ერთ დღეს მილიციაში გამოცხადდა გლეხი ფაკრი მურთაზ-ოღლი და განაცხადა:

— იმ ღამეს, როცა ეს უბედურება მოხდა, ძილში ძაღლების ყეფა შემომესმა. გამოვვარდი გარეთ. მთვარიანი ღამე იყო. დავინახე ჩემს ეზოში გაირბინა ვინტოვკით ხელში ამალი ასლან-ოღლიმ...

დააპატიმრეს ამალი ასლან-ოღლი. პირველად გადაჭრით ივარა თავდასხმაში მონაწილეობა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე ჩამოთვალა ყველაფერი და დაასახელა თანამონაწილეები.

ახალციხის სამაზრო სასამართლომ თავდასხმის ინიციატორს ამალი ასლან-ოღლის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით; მის თანამონაწილეებს: ტარჯან ალი აშრაფ-ოღლის, ოსმან ხადიკ-ოღლის და კელეშ მურად-ოღლის მიესაჯათ ექვს-ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზერ.

ჯიშიანი ძაღლების გამოფენის შედეგები

დაიხურა საქართველოს მონადირეთა კავშირის ინიციატივით მოწყობილი ჯიშიან ძაღლების მე-7 გამოფენა. გამოფენის დახურვის წინ სპეციალისტ-კინოლოგებისაგან შემდგარმა ჟიურიმ საუკეთესო ჯიშის ძაღლებს დაურიგა ჯილდოები. სულ ჟიურიმ შეამოწმა 307 ძაღლი და გარდა ოქროს, დიდი ვერცხლის და პატარა ვერცხლის მედლებისა საუკეთესო ძაღლებს მიუსაჯა 40 ფასიანი ჯილდო.

პოინტერების ჯგუფიდან 1-ლი ჯილდო მიეცა ივ. მალაშვილის ძაღლს „შმალს", რომელსაც ხვდა ოქროს მედალი და 3 ფასიანი ჯილდო. იმავე ჯგუფიდან დიდი ვერცხლის მედლით დააჯილდოეს ლ. გლადკოვის ძაღლი „ჯიმ" და ვ. ხუტულაშვილის—„აბრეკი", რომელმაც საველე ნადირობაში რეკორდის დამყარებისათვის მიიღო ოქროს მედალი. ბ. კვირიკაშვილის ძაღლმა „დეზიმ" მიიღო ვერცხლის დიდი მედალი და მონადირეთა კავშირის სპეციალური ჯილდო, როგორც საუკეთესო მოშენებულმა.

„აბრეკმა" და „დეზიმ" მიიღეს ოქროს მედლები.

მეძებარი ძაღლებიდან გამარჯვება გ. სიჭინავას ძაღლმა „ამბაიმ", რომელსაც ხვდა ვერცხლის დიდი მედალი და 1 ფასიანი ჯილდო. ინგლისური ჯიშის სეტტერებიდან დაჯილდოებულ იქნა მოქ. ტოროშელიძის ძაღლი „მაკს",

ქრონიკა

„ზაკავტოპრომტორგის" ფინანსიური მდგომარეობის გამჯობესება

„ზაკავტოპრომტორგის" ფინანსიური მდგომარეობის გამოსარკვევად და გასაუმჯობესებლად საჭირო კონკრეტიულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, ა.-კ. ეკონომსაბჭოს მიერ გამოყოფილია კომისია ამხ. **ნაზარეტიანის** (თავმჯდომარე), **გაჯინსკის, გაბიევის, სამოილოვის, ფელზერის, ელენტის** და **ლაკობას** შემადგენლობით. კომისიამ წინადადება მიეცა ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინოს თავისი დასკვნები ა.-კ. ეკონომსაბჭოს.

ნაოსნობა მდინარე რიონზე

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა რიონის სანაოსნო საზოგადოებას დროისი დროზე შეადგინოს 1929 წლის ნავიგაციის გეგმა და იგი განსახილველად წარუდგინოს ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს.

ბეითლების გაგზავნა ადგილებზე

ს.ს.რ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს საბეითლო კომიტეტის განკარგულებით მოსკოვიდან საქართველოში სამუშაოდ ჩამოვიდა 22 ბეითალი-ექიმი. ისინი გამოგზავნილი არიან მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის განკარგულებაში. საქონლის სნეულებებთან ბრძოლის გასაძლიერებლად მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატმა ისინი მიავლინა შემდეგ ადგილებში: აჭარისტანში—1, სამხრეთ-ოსეთში—1, თბილისის მაზრაში—2, ახალქალაქის—2, ახალციხის—1, ქუთაისის—1, ოზურგეთის—1, ზუგდიდის—1, სენაკის—1, რაჭის—1, ზემო-სვანეთში—1, თბილისის ლაბორატორიაში—1.

გლეხის სახლი გორში

გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: ახლო მომავალში აგოს გორში გლეხის სახლი. გლეხის სახლის ადგილის გამოსაძებნად, გეგმის შესამუშავებლად და საჭირო სახსრების გამოსანახავად პრეზიდიუმმა აირჩია სპეციალური კომისია.

ინვალიდთა კოოპერატიული ნადი „გლარჯა"

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ექვს თვიანი ანგარიშის მიხედვით: თბილისში ინვალიდების კოოპერატიულ ნად „გლარჯა"-ს ჰქონია ძირითადი თანხა—1.025 მანეთი და 06 კაპ. საბრუნავი—9.117 მანეთი და 38 კაპ. საპაიო—3.812 მანეთი და 93 კაპ. და სათადარიგო—609 მანეთი და 55 კაპ. ნადის საერთო ბრუნვა ექვსი თვის განმავლობაში უდრის 1.289.384 მანეთს: „გლარჯა"-ში ამჟამად მოწყობილია და მუშაობს 411 კაცი, ამათში ინვალიდია—254 კაცი და ნივთიერად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი—157 კაცი.

სტუდენტების გაგზავნა კურორტებზე

პროლეტ-სტუდენტთა ბიუროს ცნობით წელს აბასთუმანში, ბორჯომში და პატარა-ცემში სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაიგზავნება—40 სტუდენტი, ლენინის სახელობის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან—15, ქართულ მუშფაკიდან—9, ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტიდან—4, სამხატვრო აკადემიიდან—2, რკინისგზის მუშფაკიდან—14.

სტუდენტების გაგზავნა კურორტებზე დაიწყება 15 ივნისიდან.

ინფუზორიტისა და ლიტოგრაფიული ქვის ექსპორტი

სამთო მრეწველობის ტრესტმა ხელშეკრულება დასდო ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან საზღვარ-გარედ ინფუზორიულ მიწისა და ლიტოგრაფიული ქვის გატანის შესახებ.

ხელშეკრულების დადებისთანავე საზღვარ-გარეთის ბაზარზე გასასაღებლად გაიგზავნება ლიტოგრაფიული ქვის 1-ლი პარტია. ამ პარტიის გასაღების შემდეგ გამზადებული იქნება მეორე პარტიაც. ამჟამად იგზავნება აგრეთვე ერთი ვაგონი საინფუზორიო მიწა, რომელზედაც, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში მიღებული ცნობებით, დიდი მოთხოვნილებაა იტალიაში, საფრანგეთის აღმოსავლეთ პროვინციებში და სამხრეთ-გერმანიაში.

თბილისის აღმასკომში

◆ **აგურის ახალი ქარხნები.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ღრმა ღელეში აგოს აგურის მექანიკურად დამამზადებელი ქარხანა.

◆ **თვალის საექიმო რაზმი.** ჯანმრთელობის განყოფილება თბ. მაზრაში აგზავნის თვალის საექიმო რაზმს.

მიწ.-მოქმ. სახ. კომისარიატში

◆ **მეაბრეშუმეობის კურსები.** მეაბრეშუმეობის ცენტრ. სადგურთან გაიხსნა მეაბრეშუმეობის 3 თვიანი კურსები, რომელზედაც ირიცხება 30 ქალი და კაცი.

◆ **სეტყვა.** მიწსახკომში მიღებული ცნობით 1 ივნისს გარე-კახეთში მოსულმა სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა ბაღ-ვენახები.

◆ **ხეხილის წამლობა.** გორის მაზრაში მიწსახკომის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ამჟამად სწარმოებს ხეხილის ბაღების წამლობა.

სხვადასხვა

◆ **კურსები** პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა თბილისში გახსნას რადიო-ტეხნიკოსთა მოსამზადებელი კურსები.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა გამომც. „ქართული წიგნის" მიერ გამოცემული წიგნები: 1) გოეტე—„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი", თარგმანი კონსტ. გამსახურდიასი; 2) კ. გამსახურდია—„გოეტე", გვ. 110, ფასი 30 კაპ.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინწინ, ნაშუაღამევს, ცეცხლი გაუჩნდა ლერმონტოვის ქ. მდებარე სახლს (№ 25), რომელმაც ჩქარა ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ მთელ შენობას ემუქრებოდა. მდგმურები იძულებული შეიქნენ ნივთები სხვაგან გადაეტანათ, რომ დაწვისაგან დაეცვათ. საჩქაროთ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 40 წუთის განმავლობაში. როგორც გამოირკვა, ხანძარი გამოიწვია „კერასინკის" აფეთქებამ. ზარალი უდრის 1000 მანეთს.

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინ, იოდით თავი მოიწამლა წინა ნიკოლოზის აულმა ჩადუნელმა (მცხ. სანაპირო ქ., № 8), ჩადუნელის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

— გუშინწინ, კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა სოფ. ნორიოს (თბილისის მაზრა) მასწავლებელმა ქალმა ანასტასია ივანეს ასულმა ცინცაძემ. ცინცაძის ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და მოათავსეს თავის ბინაზე.

დაჭრა

გუშინ, ვლადიმერ ალექსანდრესძე კაპანაძემ დანით მძიმედ დაჭრა არმენაკ ბაღდასაროვი. ბაღდასაროვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. კაპანაძე დაპატიმრებულია.

ფოტო-აპარატების „მოყვარულნი"

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გიორგი პეტრესძე ჩერნიშევი და მირიან არუთინისძე მანუხაჯევი, რომლებიც სახკინმრეწვის ფოტო-მაღაზიიდან სისტემატიურად იპარავდნენ ფოტო-აპარატებს.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: ნიკოლოზ იოსების ძე პერონკინი, ალექსი პავლესძე პატრიაშოვი, იოსებ ალექსანდრესძე იზზაინიანი და რუბენ პოღოსისძე ყარაბეგიანცი.

ქურდობა

გუშინ, დღისით, გაქურდეს მარიამ ჩიხლაძის ბინა (სასამართლოს ქ., 30),—წაიღეს 70 მანეთის საოჯახო ნივთები;—გაქურდეს კალისტრატე ცხვედიანის რესტორანი (პლეხანოვის პროსპექტი, 13),—წაიღეს ერთი ვერცხლის საათი და 30 მანეთი; — გაქურდეს ვ. პასტოვას ბინა (პლეხანოვის პროსპექტი, 118), წაიღეს 190 მანეთის ნივთები.

— სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: გიორგი ოგანესისძე საგინოვი, გეიდარ დადაშ-ოღლი, ალი მუსტაფა-ოღლი, იბრაგიმ-ოღლი და ბარსეგ კარაპეტისძე კარაპეტიანცი.

ჯიბგირობა

გუშინ, გეურქ ქსიანცს ცენტრალურ ბაზარში უცნობმა პირმა ამოაცალა 170 მანეთი და მიიმალა.

რკინისგზეზე

დანიშვნა

ამიერ-კავკ. რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიური განყოფილების უფროსად დაინიშნა ამხ. პაპულია ორჯონიკიძე.

ახალი გარიგება

ამიერ-კავკ. რკინის გზათა გამგეობამ დაამტკიცა საბარგო მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი, რომლის მიხედვით საგრძნობლად უმჯობესდება საბარგო ვაგონების მოძრაობა და მათი მუშაობა. აქამდე ასეთი გარიგება რკინის გზაზე არ იყო.

ახალი ჩიხი

„კიონზეს"-ის საჭიროებისათვის ამიერ-კავკ. რკინის გზათა სამმართველომ ქუთაის-გელათის შუა (მე-10 კილომეტრზე) მოაწყო ახალი ჩიხი. ჩიხის სიგრძე უდრის 460 მეტრს.

ხელშეკრულება მანქანების ტრესტთან

ა. კ. რკ. გზათა გამგეობამ ხელშეკრულება დასდო მანქანების ტრესტთან სხვადასხვა მოწყობილობათა დასამზადებლად, ღირებულებით 34.000 მანეთამდე.

ჭადრაკი

შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე

მეოთხე ტური

შეჯიბრის მეოთხე ტური აღინიშნა ებრალიძის მოულოდნელი დამარცხებით. თავში ებრალიძემ მოიგო ორი პაიკა, რასაც უნდა მოჰყოლოდა პარტიის მოგებაც, მაგრამ მოუფიქრებელი თამაშით მისცა მოწინააღმდეგეს ფედოროვს საშუალება ჩაეყენებინა იგი ცუდ მდგომარეობაში და ბოლოს შამათიც კი მიიღო.

გოგლიძე—კომაროვი (სიცილიური). პარტიის დასაწყისი კომაროვმა სწორად ჩაატარა და მიიღო თანასწორი მდგომარეობა, შემდეგში კომაროვი გაება გოგლიძის მიერ დაგებულ მახეში და წააგო პაიკა, რის შემდეგაც პარტიის მოგება გოგლიძისათვის არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს. პარტია დამთავრდა მე-31 სვლაზე კომაროვის წაგებით.

ტალვიკი—მედვედიევი (ლაზიერის პაიკთა დებიუტი). მე-14 სვლაზე მედვედიევმა წააგო პაიკა, შემდეგში ხარისხი და იძულებული იყო დანებებულიყო.

საროკინი—ოგანეზოვი (ლაზიერის პაიკთა დებიუტი). საროკინმა თავიდანვე ძალიან გაართულა მდგომარეობა და ოგანეზოვი იძულებული იყო მხოლოდ თავის დაცვაზე ეფიქრა; ხანგრძლივი თამაშის შემდეგ დაღლილმა ოგანეზოვმა დაჰკარგა ლაზიერი და დანებდა თუმცა იმ მდგომარეობაში ლაზიერიც რომ არ დაეკარგოდა პარტიის გადარჩენა ძნელი იყო.

მესამე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: გოგლიძე, საროკინი+3; ტალვიკი, ფედოროვი (+2), ებრალიძე+1 (1 დაუმთავრებელი); ოგანეზოვი (1 დაუმთავრ.), მედვედიევი, კომაროვი—0.

მცირე ჩემპიონატი

ჯოთუემ მოუგო ხალათოვს, კახპარიანმა მოუგო რუდნიცკს, ოგურცოვსკი—არუთინოვი (ყაიმი).

დღეს, 7 ივნისს, შესდგება შეჯიბრის მეხუთე ტური, თამაშობენ ტალვიკი—გოგლიძე; საროკინი—ფედოროვი; ებრალიძე—კომაროვი და ოგანეზოვი—მედვედიევი.

თამაში სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

ვ. გოგლიძე.

ებრაელთა მიწად-მომწყობ საზ-ბის მიერ გამართულ ლატარიის მოგებანი

ქვემოდ მოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა მხატვარ რიბაკის სურათების ალბომი.

820.078	840.078	860.078	880.078	907.190
821.802	841.802	861.802	881.802	917.190
822.359	842.359	862.359	882.359	927.190
825.393	845.393	865.393	885.393	937.190
827.302	847.302	867.302	887.302	947.190
830.078	850.078	870.078	890.078	957.190
831.802	851.802	871.802	891.802	967.190
832.359	852.359	872.359	892.359	977.190
835.393	855.393	875.393	895.393	987.190
837.302	857.302	877.302	897.302	997.190

ქვემოდ მოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა სასარსავი მოწყობილობა „ჟილეტ".

001.456	088.497	145.020	316.485	585.092
008.497	091.456	151.109	326.485	595.092
011.456	098.497	152.142	336.485	709.147
018.497	101.109	155.020	346.485	719.147
021.456	102.142	161.109	356.485	729.147
028.497	105.020	162.142	366.485	739.147
031.456	111.109	165.020	376.485	749.147
038.497	112.142	171.109	386.485	759.147
041.456	115.020	172.142	396.485	769.147
048.497	121.109	175.020	505.092	779.147
051.456	122.142	181.109	515.092	789.147
058.497	125.020	182.142	525.092	799.147
061.456	131.109	185.020	535.092	902.133
068.497	132.142	191.109	545.092	905.178
071.456	135.020	192.142	555.092	912.133
078.497	141.109	195.020	565.092	915178
081.456	142.142	306.485	575.092	922.133

ქვემოდ მოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა მარადი კალმები — „პარკერ".

008.527	171.189	393.705	480.026	755.100
008.713	177.477	398.683	486.129	759.077
018.527	181.189	400.026	488.925	761.140
018.713	187.477	406.129	489.131	765.100
028.527	191.189	408.925	490.026	769.077
028.713	197.477	409.131	496.129	771.140
038.527	206.953	210.026	498.925	775.100
038.713	216.953	416.129	499.131	779.077
048.527	226.953	418.925	501.270	781.140
048.713	236.953	419.131	511.270	785.100
058.527	246.953	420.026	521.270	789.077
058.713	256.953	426.129	531.270	791.140
068.527	266.953	428.925	541.270	795.100
068.713	276.953	429.131	551.270	799.077
078.527	286.953	430.026	561.270	806.959
078.713	296.953	436.129	571.270	807.429
088.527	303.705	438.925	581.270	809.678
088.713	308.683	439.131	591.270	816.959
098.527	313.705	440.026	701.140	817.429
098.713	318.683	446.129	705.100	819.678
101.189	323.705	448.925	709.077	826.959
107.477	328.683	449.131	711.140	827.429
111.189	333.705	450.026	715.100	829.678
117.477	338.683	456.129	719.077	836.959
121.189	343.705	458.925	721.140	837.429
127.477	348.683	459.131	725.100	839.678
131.189	353.705	460.026	729.077	846.959
137.477	358.683	466.129	731.140	847.429
141.189	363.705	468.925	735.100	849.678
147.477	368.683	469.131	739.077	856.959
151.189	373.705	470.026	741.140	857.429
157.477	378.683	476.129	745.100	859.678
161.189	383.705	478.925	749.077	866.959
167.477	388.683	479.131	751.140	867.429

ქვემოდ მოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა ქალისა და მამაკაცის საათი.

107.223	353.412	450.208	736.673	804.205
117.223	354.789	459.850	737.757	806.848
127.223	363.412	460.208	744.655	808.460
137.223	364.789	469.850	746.673	814.205
147.223	373.412	470.208	747.757	816.848
157.223	374.789	479.850	754.655	818.460
167.223	383.412	480.208	756.673	824.205
177.223	384.789	489.850	757.757	826.848
187.223	393.412	490.208	764.655	828.460
197.223	394.789	499.850	766.673	834.205
303.412	400.208	704.655	767.757	836.848
304.789	409.850	706.673	774.655	838.460
313.412	410.208	707.757	776.673	844.205
314.789	419.850	714.655	777.757	846.848
323.412	420.208	716.673	784.655	848.460
324.789	429.850	717.757	786.673	854.205
333.412	430.208	724.655	787.757	856.848
334.789	439.850	726.673	794.655	858.460
343.412	440.208	727.757	796.673	864.205
344.789	449.850	734.655	797.757	866.848

თავდაცვა-ავიაქიმის მეორე საკავშირო ლატარია

თვითეულმა ქვემოთმოყვანილ 23 ბილეთთაგან მოიგო დეტექტორული რადიო-მიმღები აპარატი (ღირებული 20 მან., შეიძლება შეცვლა შესაფერი ღირებულების მიწის სასუქით ან მეფუტკრეობის ხელსაწყოებით):

ბილ. №№	სერიების №№	ბილ. №№	სერიების №№
00.441	1—300	05.940	1—300
01.970	298	05.989	204
02.050	3 33 63 93 123 153 183 213 243 273	06.438	48
02.689	1—300	07.152	10 40 70 100 130 160 190 220 250 280
03.339	26	07.877	1—300
03.745	1—300	07.940	1—300
04.378	298	08.054	1—300
04.524	142	08.101	1—300
04.994	1—300	08.305	1—300
05.661	189	08.917	1—300
05.768	1—300	09.855	17 47 77 107 137 167 197 227 257 287
05.935	1—300		

მოგება —გადაფრენა: მოსკოვი—ნიჟნი - ნოვგოროდი — ასტრახანი
(ღირებული — 300 მან., შეიძლება შეცვლა სალეწი მანქანით)

ბილ. №№	სერიების №№	ბილ. №№	სერიების №№
02.055	17 47 77 107 137 167 197 227 257 287	08.366	24 54 84 114 144 174 204 234 264 294
02.204	27 57 87 117 147 177 207 237 267 297	08.948	16 46 76 106 136 166 196 226 256 286
08.167	25 55 85 115 145 175 205 235 265 295	09.075	8 38 68 98 128 158 188 218 248 278

მოგება — გადაფრენა: მოსკოვი — ლენინგრადი — მოსკოვი
(ღირებული 200 მან., შეიძლება შეცვლა ველოსიპედით):

ბილ. №№	სერ. №№	ბილ. №№	სერ. №№	ბილ. №№	ხერ. №№
01.598	96	02.434	101	09.376	22
02.263	87	03.337	97		

მოგება—ველოსიპედი
(ღირებული 200 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
05.181	289	08.376	96
06.995	154	08.802	281
08.362	239		

მოგება — გადაფრენა: მოსკოვი—ხარკოვი — მოსკოვი
(ღირებული 200 მან., შეიძლება შეცვლა სათიბი მანქანით)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
02.682	86	08.601	140
02.743	204	09.801	26
06.181	99		

მოგება — მოგზაურობა: მოსკოვი —სოხუმი — მოსკოვი
(ღირებული 750 მან. შეიძლება შეცვლა სას.-სამ. მანქ. კომპლექტით)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
02.643	185	09.421	85
07.051	190	09.810	273
07.228	19		

მოგება—მოგზაურობა: მოსკოვი — სევასტოპოლი — მოსკოვი
(ღირებულება— 750 მან., შეიძლება შეცვლა სახ.-სამ. მანქ. კომპლექტით)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
04.414	222	03.643	114
02.861	52	07.122	17
03.510	184		

ავიაქიმში

თათბირი გასამხედროების საკითხების შესახებ

5 ივნისს ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმში გაიხსნა თათბირი გასამხედროების საკითხების შესახებ. თათბირის ესწრებიან აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ავიაქიმების წარმომადგენლები, სექციების ხელმძღვანელნი და ორგანიზაციების პასუხისმგებელი მდივნები.

თათბირის პირველ სხდომაზე მოისმინეს იქნა რესპუბლიკანურ ავიაქიმის მოხსენება მოსახლეობის სამხედრო მომზადების შესახებ.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ თავდაცვის კვირეულის შემდეგ, მოსახლეობის გასამხედროება წარმატებით მიმდინარეობს. ყველა რესპუბლიკებში გაიზარდა სამხედრო კუთხეების რიცხვი.

მოსახლეობის გასამხედროების დარგში დიდი მიღწევები აქვს აზერბეიჯანის ავიაქიმს. აზერბეიჯანის ქალაქებსა და სოფლებში არსებობს 500-მდე სამხედრო ცოდნათა წრე, ავიაქიმი სისტემატიურად აწყობს მეცადინეობას ველად, რომლის საშუალებით წევრები ეცნობიან ტაქტიკას.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 7 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციური მუშათა პირველ სექციიდან:** ლავრენტი კობიაშვილი; მიხეილ კავთელიძე; სიმონ ვართაზაროვი; ევგენია გადალინა; დომენტი შავიძე; ლიუბა საგანელიძე; ალექსანდრე ტოფუზოვი; მარიამ გალუსტოვა; მარიამ მათეოსიანი; ნიკოლოზ ორლოვი; გიორგი ეზდაკიანი; არშაკ გალუსტიანი; ვართან ლარიბოვი; ბარბარე გაბელაშვილი და ლიზა შინჯიკაშვილი; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** თამარ გუგუშვილი; მიხეილ დიაჩკოვი;; ოლღა რატეკი; ივანე ხაჩატუროვი, ისაკ კუპროვა; ალექსი კალინინჩენკო, მიხეილ დარდიმანოვი; აოლეს ვაველოდოვი; ბ. ბიგიანი; ნინო უშეროძე; ოლღა გელუაშვილი; ევალე სადარუკი; მარიამ სიზოვა—ხათარიშვილისა; მარიამ განკევიჩი, ნადეჟდა გარალაშვილი; ანა დოროგოვა; ევგენია მეტრეველი; ანტონინა ზაბაროვსკაია; ნატალია ადამოვა; ვერა საფრონოვა; ვიქტორ მგელაძე; ნინო ელიაშვილი; ვერა კვირიკაშვილი; ლეონ გოკიელოვი; პავლე პეტროსიანი; ვლადიმერ ანისინი; ზაქრო ბაბიანცი; ნადეჟდა საცკოვა; იაზონ პეპინოვი; არტემ ხალათოვი; სედრაკ მუსაელიანი და ალექსანდრე ურგებაძე. **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** ანტონ ჩიქოვანი; ერშილე ძნელაძე; ალექსანდრე ჩიჩუაშვილი; შალვა ქორიდანია; ალექსი მახარაშვილი; არმენაკ პეტროსიანი; სიმონ ჯიქურიძე; მელიტონ ჯაგიანი; ვლადიმერ ბახტაძე; ნიკოლოზ ზახარიძე; მიხეილ ჩერქეზიშვილი; არამ ოგანეზოვი; გრიგოლ დალაქიანცი; გიორგი პეტროსიანი; დიავონ ჩაფიძე; ისაკ სარქისოვი; გიორგი გენგაური; ლეონიდ ანდრეევი; მისაკ შავერდოვი; ძარგ. ერეზოვი და ნიკოლოზ ხუროშვილი. **მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან:** ალექსანდრე რცველაშვილი; სტეფანე მამულაიშვილი; სედრაკ სოლოლაშვილი; ვლადიმერ ცუცქირიძე; ვანო ბებურიშვილი; გიორგი იმოევი; ალიევი მიგრან-მუსტაფა-ოღლი; ალექსანდრე კასაშვილი; გრიგოლ ლელუაშვილი; ივანე პეტურიძე; ნიკოლოზ ბაბრიკოვი სტეფანე ნასარიანცი; მამედ-ოღლი-იუსუფ; ნაველ-ოღლი-ჯალილ; ნიკოლოზ გრიგორიანცი და მისაკ კარაკოსიანი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 7 ივნისი

რადიო-გადაცემა ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სტუდიიდან—მოხსენებები და კონცერტები.

პარასკევი, 8 ივნისი

პარასკევს, 8 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

საუბარი ბუნებისმეტყველებიდან: მაიმუნიდან ადამიანამდე—რუსულ ენაზე.

საერთაშორისო მიმოხილვა—ოსურ ენაზე.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავი (მისალმებები)—ოსურ, ქართულ, რუსულ ენებზე.

პიონერთა გაზეთი—ოსურ ენაზე.

საკონცერტო განყოფილება.

სამხედრო სასწავლებლების შევსების შესახებ—მოხსენება თურქულ ენაზე.

პროსტიტუცია და მასთან ბრძოლა—მოხსენება თურქულ ენაზე.

კონცერტის ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

იურიდიული დახმარება

გ. შენგელაიას და ალ. შიშველაძეს

კითხვა

ვართ უღარიბესი გლეხის შვილები, თბ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები. გვიქირავს ერთი ოთახი, სივრცით 15 კვ., ვიხდით 10 მან. თვეში. რამდენი უნდა გადავიხადოთ თვეში?

პასუხი

თუ თქვენ არ მუშაობთ დაქირავებით და დედმამის ან სხვა ვინმეს კმაყოფაზე ხართ, უნდა იხადოთ ოთახის ქირა სამი მან. თვეში.

ივანე ქურდაძეს

კითხვა

მიქირავს ერთი ოთახი, რომელშიც დღემდე ვიხდიდი 8 მან., ოთახი შეიცავს 12 კვად. მეტრს. მყავს ორი ამხანაგი. სამთავენი ვართ მოწაფეები, ვართ გლეხის შვილები, არ გვაქვს არავითარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და აგრეთვე განთავისუფლებულნი ვართ სწავლის ფულის გადასახადისაგან სიღარიბის გამო. რამდენი უნდა ვიხადოთ ოთახის ქირა? ვართ თუ არა ვალდებულნი გადავიხადოთ წყლის ფული?

პასუხი

თუ დაქირავებით არ მუშაობთ, თვითეულ კვადრატულ მეტრზე უნდა აძლიოთ 4 კაპ. წყლის ფული ვალდებული ხართ იხადოთ.

კავშირის წევრს № 2859

კითხვა

ვცხოვრობ ცოლშვილით თბილისში; შემეძინა შვილი, არ მისარგებლია დამზღვევი სალაროდან ბავშვის სამშობიარო დახმარებით; აგრეთვე ვერ ვღებულობ ბავშვის საკვების დახმარებას თბილისის დამზღვევი სალაროს აზრით აღნიშნული დახმარება უნდა მივიღო იქიდან, სადაც დაიბადა ბავშვი (გორის მაზრაში). მაქვს თუ არა უფლება მივიღო ეს დახმარება იქ, სადაც მე ჩემი ცოლშვილით ვცხოვრობ.

პასუხი

თუ თქვენ დაზღვეული ხართ, შეგიძლიათ მიიღოთ დახმარება ქ. თბილისშიაც—სადაც თქვენ ეხლა ცხოვრობთ. მიმართეთ სოციალურ დაზღვევის სამმართველოს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის შექმნის შესახებ

საბინაო ფონდის გადიდებისა და დაცვისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქალაქებში ადგილობრივ ბიუჯეტების შედგენილობაში შეიქმნას საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალები.

2. საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალი უნდა იხარჯებოდეს მუნიციპალიზაციაქმნილი საბინაო ფონდის მოსავლელად, შესაკეთებლად და აღსადგენად და აგრეთვე ახალი საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

3. საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში შევა შემდეგი შემოსავალი:

ა) იმ საცხოვრებელი სადგომების წმინდა შემოსავალი, რომელთა ექსპლოატაციასაც უშუალოდ ადგილობრივი (კომუნალური) მეურნეობის განყოფილებანი ეწევიან.

შენიშვნა. იმ სახლის შესანახად საჭირო ბინის ქირა, რომლის ექსპლოატაციასაც უშუალოდ ადგილობრივი (კომუნალური) მეურნეობის განყოფილება ეწევა, დაიხარჯება მარტოოდენ ამავე სახლის საჭიროებაზე. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებული ნორმით, ხოლო წმინდა შემოსავალი მთლად შედის საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში ამა დადგენილების მეოთხე მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქციის თანახმად.

ბ) საბინაო-საიჯარო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სახლების წმინდა შემოსავალი.

შენიშვნა. სახლის შესანახად საჭირო შემოსავალი დაიხარჯება მარტოოდენ იმავე სახლის საჭიროებაზე, სათანადო აღმასკომის მიერ დაწესებული ნორმით, ხოლო წმინდა შემოსავალი შედის საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში.

გ) საცხოვრებლად იჯარით გაცემული მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების საიჯარო ქირა.

დ) საიჯარო ქირა და საამორტიზაციო ანარიცხები მუნიციპალიზაციაქმნილ სახლში სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ კანცელარიისათვის და სხვა, არა სამრეწველო და სავაჭრო ხასიათის საჭიროებისათვის დაჭერილია სადგომისა;

ე) კანონით ნებადართულ შემთხვევაში მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების გაყიდვით მიღებული თანხები;

ვ) სავაჭრო, სამრეწველო და სახელმწიფო სადგომის საიჯარო ქირის ანარიცხები იმ რაოდენობით, რასაც დააწესებენ სათანადო (სამაზრო, საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო არა ნაკლები 5 პროცენტისა;

ზ) საბინაო მეურნეობის აღსადგენი სპეციალური ხესხი;

თ) სხვა შემოსავალი, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

ი) საბინაო ფონდის კაპიტალის პროცენტები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და გამოსცეს ორი კვირის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1928 წ. ოქტომბრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ დ. აფციაური.

1928 წ. მაისის 9.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 7 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის ბიუროს კრება.

წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის ბიურო დღეს, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე (ქიმიურ აუდიტ. მე-3-ე სართული) იწვევს ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის და კომკავშირის უჯრედის გაერთიანებულ კრებას.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია [illegible] ამხ. [illegible] მიქაძეს გამოცხადდეს 9 ივნისს, დილის 9 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მე-3-ე სართული, ოთახი № 4).

დღეს, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის მორიგი გაერთიანებული კრება ალ. კ. ა. [illegible] უჯრედებთან ერთად.

დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ აღნიშნულ დროზე.

გულდათუთქული მშობლები ანა და ალექსი, დები: ლიდა და ნინა, სიძეები: მიშა გვასალია და ანტონ ზუხუბაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 5 ივნისს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ლიოლია ალექსის ასული გეგეშიძე (შ)

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგები: ო. აპბა, ლ. მელიქოვა, ე. ესაკია, ნ. ფარ ვანია, ქ. საჯაია, ვ. გვაზავა, ვ. კაკუბერი, ჟ. კუხალეიშვილი, ნ. კალანდარიშვილი, ნ. ქობულია, გ. ჯანელიძე, ნ. კვიცარიძე, მ. პრობელიძე ნ. ჯიჯიხია მ. ვეკუა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ მეგობრის

ლიოლია გეგეშიძის

უდროვოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 1 საათზე, მთის შესახვევი № 2.

Абхазское студенчество Тифлисских ВУЗ-ов с прискорбием извещает друзей и знакомых о безвременной кончине 5 июня после тяжелой операции незабвенного и любимого друга

Ольги (Лели) Алексеевны ГЕГЕШИДЗЕ

Гражданская панихида назначена сегодня, в 1 час дня, Давидовская площадь, Горный переулок, № 2. 2603

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგები: ნადია, ვალოდია და კოტე კობახიძეები, ფ. დობნაძე, ბენო და მიშა კანდელაკები, ბ. ჯანელიძე და ა. ჯმუხაძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 5 ივნისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და იშვიათი მეგობარი

ლიოლია ალექსის ასული გეგეშიძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 1 საათზე დავიდოვის მოედანი—მთის შესახვევი № 2. (შ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას ამხანაგის ამავე კურსის სტუდენტის

ლოლია (ოლღა) ალექსის ასულ გეგეშიძის

უეცარ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან: მთაწმინდის მოედანი, მთის შესახვევი № 2. (შ

ლადო, გრიშა, ნინა და ქეთევან მიროტაძეები ამით აცნობებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 5 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი მეგობარი, ენერგიით სავსე ახალგაზრდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი

ოლღა (ლოლია) ალექსის ასული გეგეშიძე

2589

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელისაბედი, და ეკატერინე, შვილები: ელენე, ნინო, რუსუდანი, ნიკოლოზი და დავითი; რძლები: მართა და მარიამი, სიძე—ლეონიდე ქკადუა, შვილისშვილები: ლია, მზია და დალი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 5 ივნისს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მარად სახსოვარი და საყვარელი

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძე

სამოქალაქო პანაშვიდი ხუთშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ვ რდისუბნის ქ. № 4, დაკრძალვა პარასკევს, 8 ივნისს, 4 საათზე, ახალ ვერის სასაფლაოზე. 2600

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა. წ. 5 ივნისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საღამოს 9 საათზე, გარდაიცვალა იშვიათი მშრომელი და დაუვიწყარი ამხანაგი

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძე

გამოსვენება პარასკევს, 8 ივნისს, საღამოს 4 საათზე, ვარდისუბნის ქუჩა № 4. 2591

ს.ს.ს.რ. განსახკომისარიატის პროფტეხნიკური განათლების მთავარმართველობა ღრმა მწუხარებით აუწყებს დაუვიწყარ, ძვირფას თანამშრომელ—მდივნის

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 8 ივნისს, დღის 4 საათზე, ბინიდან (ვარდისუბნის ქ. № 4). 2598

დამწუხრებული დედა პოლექსი, ცოლი ელეონორა, შვილები: გუგული და ვალე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ძვირფასი, ტრაგიკულად დაღუპულ აგრონომ

კალენიკე (კონსტანტინე) თემურაზის-ძე კუსიანის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 10 ივნისს, 12 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. მერჯევში (საჩხერის რაიონი). ნ. 1206

თბ. სახ. უნივერსიტეტთან არსებული მუშათა უნივერსიტეტის გამგეობა და პედაგოგიური პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს უხვეტაკეს ადამიანის და შეუდარებელ ლექტორის

აზიზო ლუკას-ძე კორიფაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 2586

სახკინმრეწვის კინოები	
საზაფხულო ეთერი	დუგლას ფერბენქსი, ადოლფ მენჟუ და ბარბარა ლა-მარ საუკეთესო სურათში „სამი მუშკეტერი"
მინიონი	
საზაფხულო დარბაზი	მეორე კვირა „კენიგსმარკ" პიერ ბენუას რომანის მიხედვით
საზაფხულო პალასი	დიდის წარმატებით მიდის „ზღვის გმირი" 1 და 2 სერია ერთად
აპოლო	კუინჯი და კუტუზოვი მხატვრულ სურათში „კვანძი"
სოლეი	ამერიკის საუკეთესო ტრიუკისტი ვილიამ დესმონდი საინტერესო კინო-რომანში „საიდუმლოებათა კუნძული" 1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	მხატვრული სურათი „სოროჩინის ბაზრობა" გოგოლის ნაწარმოების მიხედვით.
პროლეტარი ავლაბარი	„მეჟრაბპომ-რუს"-ის გამოშვება „ასეთი ქალი"

ანონსი:—ამ დღეებში კინო „ბანთიადის" გახსნა ნაძალადევში. 0—6

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (ყოფ. მუშტაიდი)

დღეს, 7 ივნისს,

სახელმწიფო ოპერის აკადემიური ორკესტრის (55 კაცი)

სიმფონიური ოკესტრი

სახ. მსახ. მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს 9 ს.

ბაღში კინო. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის. ნ. 1203

კინო-აპოლო
დღეს და ყოველდღე
კუინჯი
კუტუზოვი
იურენევი
მხატვრულ სურათში
კვანძი
საინტერესო სიუჟეტი
იშვიათი ანსამბლი
ხიმებიანი ორკესტრი
ცეიტლინის ხელმძღვანელობით.
ნ. 1207

კავკასიის მთავარ ქედზე გავლით და კასპიის ზღვათა შორის სატრანზიტო

საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზის

გამომკვლევი სააქციო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

აქციონერთა საერთო კრება

დანიშნულია ამა 1928 წ. 10 ივნისს საღამოს 4 საათზე სასტუმ. ორიანტში შემდეგ საკითხების განსახილველად:

1) საქმის საერთო მდგომარეობა.
2) დამტკიცება 1927 წ. ანგარიშისა, გაწეულ ხარჯების და მომავალ ხარჯთ-აღრიცხვა.
3) არჩევა გამგეობის წევრებისა. 2587

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

იყიდება

გიორგი გოგელიასეული სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—6 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქუთ. შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. მესხი

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივნისს, 1928 წ. დღის 12 საათზე სოფ. ტყაჩირში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კოწია აგიაშვილის დანაშთ ქონებას: ძროხას, სასიმიდეს და ქურებს შეფასებულს 180 მანეთად, ერისტო ყვანიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 აპრილი 1928 წ. თარიღით, № 973 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1205

ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 13 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში ქ. ქუთაისში ტროცკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ ელიოს-ძე მეგრელიშვილის მოძრავ ქონებას: ხელით საკერავ მანქანას, 6 მოძველო სკამს, ნიკელის სამოვარს და სხვა ოჯახის მოწყობილობას შეფასებულს 188 მანეთად, ალექსანდრე გიორგის-ძე ჯაფარიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 31 მარტის 1928 წ. თარიღით, № 1451 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, უკეთუ საჯარო ვაჭრობა აღნიშნულ დღეს არ შესდგა მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მოხდება ამავე წლის 21 ივნისს. ნ. 1205

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 9 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 83 ორჯონიკიძის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ილარიონ დიასამიძის მოძრავ ქონებას: უბრალო მაგიდებს, კუშეტკებს, ჭურჭლის შკაფს, პირისაბანს და სხვ. შეფასებულს 247 მანეთად, ტრიფონ სალუქვაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისს 1928 წ. თარიღით, № 2095 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1204

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. კილაძე

აცხადებს, რომ ა. წ. 11 ივნისს დღით ორშაბათს დღის 2 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** აწერილ მოძრავ ქონებისა დაბა საჩხერეში მოშე მიხეილის-ძე კიკოზაშვილისა 1. სამასსამოცი (360) ფუთი საწურე რეზინისა შეფასებული ორასსამოცდაჩვიდმეტ (277) მანეთად თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა გაცემული საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოს მიერ 12 მაისის 1928 წ. თარიღით № 754. დასაკმაყოფილებლად აბრამ მიხეილის-ძე კიკოზაშვილის 760 მანეთისა. მსურველებს საჯარო ვაჭრობისას შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა. 2594

დაკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 34228—ალი აბასოვის სახელზე, ჩ. გ. 2588

დაკარგა: საალრიცხვო წიგნაკი ფ. № 4 გაცემული გომის რაიონის სამხ. მაგიდიდან ზაქარია ქარუხნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2599

დაკარგა: განათლების მუშაკთა, პ | კავშირის მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 23622 ანეტა ტიტეს ასული კალაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 932, ანდრო დალაქიშვილის სახელზე, ჩ. გ.

სია

გაზეთ „კომუნისტის" იმ ხელის მომწერთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთს სწორი მისამართების უქონლობის გამო.

1. ტოგონიძე
2. გლურჯიძე საქარ. ლვ.
3. ახობაძე სიმონ
4. ოსიძე ვასილი
5. თოხაძე
6. ქუთათელაძე
7. კოდ-სოტი მიხ. საავად
8. კერვალიშვილი ხრის.
9. ბარამიძე
10. ჩომბოხაშვილი
11. ბატერიშვილი გიორგი
12. ტატიევი

აღნიშნულ ხელისმომწერლებს ვთხოვთ დაჩქარებით აცნობონ გაზ. „კომუნისტის" ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართები.

გაზეთ „კომუნისტის" ექსპედიცია.

მისამართი: კამოს (ყ. დიდი-მთავრის) ქ. № 68, ტელ. 5—43 0—2

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწთლებით
ელექტრონით და ხინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ეჭიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ა. ვ. მიქ ბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—9 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

დაკარგა: გლეხკომის წიგნაკი ფულის ხელწერილები, პირადობის მოწმობა და ქორწინების მოწმობა—არტემ კირვალიძის სახელზე, ჩ. გ. 2588

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი—ნათელა იაკობის ასული ღლონტის სახელზე, ჩ. გ. 2593

დაკარგა გორის მაზრის მედსანშრომის კავშირიდან გაცემული საკავშირო წიგნაკი № 118 და [illegible] მარე სალაროს წიგნაკი № 1 [illegible] იესეს-ძე ნიკურაძის სახელზე, ჩ. გ. 2592

დაკარგა: სამხედრო წიგნაკი № 49—ვასო ხახვიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2596

დაკარგა: სანგარიშო წიგნაკი № 244—გიორგი ფავლენიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2595

დაიკარგა პირადობის მოწმობა, შვილების წლოვანობის მოწმობები, ძმისშვილის (თამარა პელიძის) აპეკუნობის საბუთი სიმონ ფირანის-ძე პელიძის სახელზე, ჩ. გ. 2597

დაკარგა: ცხენის ნუსხა სერია ხ. დ. 4 № 36 გაცემული ბანძის რაისამხედრო მაგიდიდან ილიანე გვადას-ძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 2599

დაკარგა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 15 გაცემული მექვენის რაისამხედრო მაგიდიდან [illegible] ნესტორის-ძე მინდაძის სახელზე, ჩ. გ. 59[illegible]

მთავლიტი № 904 პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68